

სისსლის სეპარტლის ზოგადი და ქეჩო ნანილები სისსლის სეპარტლის პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2016, №4-6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2016, №4-6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2016, №4-6

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2016, №4-6

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

ზოგადი ნაწილი

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

სისხლის სამართლის კანონის უკუქალა

განაჩენი

საქართველოს სახელით

№ 108აგ-16

6 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ს სა-
კასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სის-
ხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7
ივლისის განაჩენით გ. გ-ე, – დაბადებული 19.. წელს, ნასამარ-
თლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ აზერბაიჯანის
რესპუბლიკის სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით (კონტრაბან-
და, ანუ საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით აზერბაიჯანის
რესპუბლიკის საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბ-
რძოლო მასალის გადაადგილება), 220-ე მუხლის პირველი ნაწი-
ლით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარე-
ბა, შენახვა, გადატანა შესაბამისი ნებართვის გარეშე), 213-ე
მუხლის მე-3 ნაწილით (სატრანსპორტო საშუალების გატაცება
მისი მითვისების მიზნის გარეშე, ჩადენილი წინასწარი შეთან-
ხმებით პირთა ჯგუფის მიერ), 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7, მე-8 ქვე-
პუნქტებით (ადრე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ
ორი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით, სხვა
დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზ-
ნით), 15,94-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 ქვეპუნქტებითა (ად-
რე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ ორი პირის გან-

ზრახ მკვლევლობის მცდელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სი-სასტიკით, მისი ჩადენის გადავილების მიზნით) და 93–5 მუხ-ლის მე-2 ნაწილით (ყაჩაღური თავდასხმა, წინასწარი მოლაპა-რაკებით, განმეორებით, იარაღის გამოყენებით, ბინაში შეღწე-ვით, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით, დაზარალებული-სათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით) და სასჯელის სა-ხედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწი-ლით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაცი-ით; სსკ-ის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავი-სუფლების აღკვეთა; სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7, მე-8 ქვე-პუნქტებით – უვადო თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 15,94-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 ქვეპუნქტებით – 15 წლით თავი-სუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით; სსკ-ის 93–5 მუხ-ლის მე-2 ნაწილით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 33-ე მუხ-ლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლე-ბად მკაცრი და საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლე-ბის აღკვეთა. გ. გ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 1997 წლის 13 თებერვლიდან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით დაკ-მაყოფილდა საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკუ-რორ ირაკლი დონდოლაძის შუამდგომლობა სასჯელის შემდგო-მი მოხდის მიზნით საქართველოს მოქალაქის – გ. გ-ს აზერბაი-ჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოყ-ვანის შესახებ.

იმავე განჩინებით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქა-ლაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩე-ნი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს სსკ-ით გათ-ვალისწინებულ მუხლებთან, კერძოდ: გ. გ-ს ქმედება დაკვალი-ფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესა-ბამისი მუხლებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით – უვადო თავისუფლების აღ-კვეთა; სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, ამავე მუხ-ლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 15 წლით თავი-სუფლების აღკვეთა; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-პუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტე-

ბით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საბოლოოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენის შესაბამისად, გ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 1997 წლის 13 თებერვლიდან.

3. აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ივლისის განჩინებით დარჩა უცვლელად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 მარტის განაჩენით გ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) – 15 წლით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებებით) – 11 წლით; სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) – 12 წლით; სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) – 15 წლით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის ცვლილებებით) – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გ. გ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა გ. გ-ს მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – უვადო თავისუფლების აღკვეთა და განაჩენთა ერთობლიობით გ. გ-ეს საბოლოოდ შეეფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

გ. გ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტითა (1960 წლის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის ცვლილებით) წარდგენილ ბრალდებაში (ა. თ-ის ეპიზოდი).

გ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 104-ე

მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებით, ო. კ-ის ეპიზოდი), სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია, ჯ. გ-ს ეპიზოდი) და განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით – 15 წლით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 11 წლით; სსკ-ის 105-ე მუხლით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. გ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – უვადო თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ შეეფარდა – უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 1997 წლის 17 თებერვლიდან 2012 წლის 22 მარტამდე. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო – 2012 წლის 22 მარტიდან.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 აპრილის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. გ-ეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული

სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით – „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელეზი შეიკრიბა სრულად და გ. გ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 28 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენში საქართველოს სსსკ-ის 289-ე მუხლის მე-9 ნაწილის, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-13 პუნქტისა და „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ:

გ. გ-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით (კონტრაბანდა, ანუ საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაადგილება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით – შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 5 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარება, შენახვა, გადატანა შესაბამისი ნებართვის გარეშე) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 228-ე მუხლის პირველ ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 ნაწი-

ლებთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით – შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით (ადრე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ ორი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარეობით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 120.2.4., 120.2.6, 120.2.7., 120.2.10 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 15,94-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებით (ადრე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, მისი ჩადენის გაადვილების მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 29, 120.2.4., 120.2.6., 120.2.7 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით – შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 93–5 მუხლის მე-2 ნაწილით (ყაჩაღური თავდასხმა, ნინასნარი მოლაპარაკებით, განმეორებით, იარაღის გამოყენებით, ბინაში შეღწევით, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით, დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 181.2.1., 181.2.2 და 181.2.5 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სის-

ხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით – შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

საბოლოოდ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენის შესაბამისად, გ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. გ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეიკრიბა სრულად და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ გ. გ-ეს განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გ. გ-ეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩათვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 1997 წლის 17 თებერვლიდან 2012 წლის 22 მარტამდე. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 22 მარტიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 20 აგვისტოს განაჩენით დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 აპრილის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით (ადრე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ ორი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით) დანიშნულმა სასჯელმა, რომელიც

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 120.2.4; 120.2.6, 120.2.7, 120.2.10 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებთან, უვადო თავისუფლების აღკვეთამ (ამნისტიის გათვალისწინებით) შთანთქა: აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 15,94-ე მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტებით (ადრე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, მისი ჩადენის გაადვილების მიზნით) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით), რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 29, 120.2.4, 120.2.6, 120.2.7 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებთან, 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 93–5 მუხლის მე-2 ნაწილით (ყაჩაღური თავდასხმა, წინასწარი მოლაპარაკებით, განმეორებით, იარაღის გამოყენებით, ბინაში შეღწევით, სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით, დაზარალებულისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებით) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით), რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 181.2.1, 181.2.2 და 181.2.5 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებთან, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით (კონტრაბანდა, ანუ საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარზე ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაადგილება) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით), რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილთან, 5 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა; აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარება, შენახვა, გადატანა შესაბამისი ნებართვის გარეშე) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით), რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 228-ე მუხლის პირველ ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 ნაწილებთან, 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით) – 11 წლითა და 3 თვით; საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით) – 9 წლით; საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებით) დანიშნული სასჯელი (ამნისტიის გათვალისწინებით) – 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, გ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 1997 წლის 13 თებერვლიდან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 19 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

8. 2016 წლის 12 იანვარს მსჯავრდებულმა გ. გ-ემ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა განაჩენის გადასინჯვა შემდეგი საფუძვლებით: აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 1997 წლის 28 იანვარს ჩადენილი დანაშაულისათვის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, მის მიერ დანაშაულის ჩადენის დროს, კერძოდ – 1997 წლის 28 იანვარს, არც საქართველოს და არც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობები სასჯელის სახით არ ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს კანონმდებლობაში სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთა ამოქმედდა მხოლოდ – 1997 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო აზერბაიჯანის კანონმდებლობაში – 1998 წლის 10 თებერვლიდან. საქართველოს სასამართლო ხელისუფლებამ ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისას არ გამოასწორა აზერბაიჯანის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა, რითაც დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 289-ე მუხლის მე-8 ნაწილის, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს სსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლებისა და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-7 მუხლის მოთხოვნები. გ. გ-ემ შუამდგომლობაში ასევე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომელშიც განმარტებულია კანონის რეტროაქტიულობის აკრძალვის პრინციპი.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 აპრილისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 20 აგვისტოს განაჩენები დარჩა უცვლელად.

10. მსჯავრდებული გ. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენის გაუქმებასა და უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლას – ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა შევიდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილებით საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია გ. გ-ს საქმეში გამოყენებუ-

ლი სისხლის სამართლის კანონი, პალატა მოკლებული იყო შე-
საძლებლობას, შეეფასებინა მსჯავრდებულის მიერ შუამდგომ-
ლობაში მითითებული გარემოებები. მართალია, ხსენებული გა-
დანყევტილებით საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტი-
ტუციურად არ უცვნია გ. გ-ს საქმეში გამოყენებული სისხლის
სამართლის კანონი, თუმცა განმარტა კანონის რეტროაქტიუ-
ლობის აკრძალვის პრინციპი, კერძოდ: „საქართველოს კონსტი-
ტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი არ უტოვებს კანონმდებელს
თავისუფლებას იმის გადაწყვეტისას, თუ როდის აქვს ან არ აქვს
სამართალდარღვევებისა და მათ გამო პასუხისმგებლობის დამ-
დგენ კანონებს უკუძალა. მე-5 პუნქტის პირველი წინადადება
ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ ათვლის წერტილი გამოსა-
ყენებელი კანონის დასადგენად არის ქმედების განხორციელე-
ბის დრო. შესაბამისად, იმის გადაწყვეტისას, პირის მიერ გან-
ხორციელებული ქმედება არის თუ არა სამართალდარღვევა და
დადებითი პასუხის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა უნდა
დაეკისროს პირს მისთვის, კანონმდებელს გააჩნია სრულიად
გარკვეული კონსტიტუციური დირექტივა, რომ გამოსაყენებელ
კანონად უნდა ჩაითვალოს ქმედების ჩადენის დროს მოქმედი
კანონი. რომელიმე სხვა უფრო გვიან მიღებული (გამოცემული)
კანონის გამოყენება სამართალდარღვევებისა და პასუხისმგებ-
ლობის განსაზღვრისთვის ჩაითვლება უკუძალის მინიჭებად და
კონსტიტუციის დარღვევადაც, თუ პასუხისმგებლობის შემამ-
სუბუქებელ ან გამაუქმებელ კანონთან არ გვაქვს საქმე“.

3. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. გ-ეს ბაქოს საქა-
ლაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის
საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩე-
ნით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 1997 წლის 28-29 იანვარს ზ.
ა. ა-ისა და უ. ა. ა-ას დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი
განზრახ მკვლელობებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის
სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7, მე-8 ქვეპუნქტებით მიესაჯა
უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომელიც თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბა-
მისობაში მოვიდა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნა-
წილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებთან და ამ მუხლით გ. გ-ეს სასჯელად
განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

4. მართალია, გ. გ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინების გამოტანის დროს
მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე
მუხლის მე-3 ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებდა უვადო
თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ გ. გ-ს მიერ აზერბაიჯანის

რესპუბლიკაში დანაშაულის ჩადენის დროს (1997 წლის 28-29 იანვარი) მოქმედი საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის რედაქცია (1960 წლის რედაქცია) სანქციის სახით ითვალისწინებდა – 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, გასახლებით ვადით 5 წლამდე ან უამისოდ, ან სიკვდილით დასჯას. ამდენად, გ. გ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლი სამართლის კოდექსი სანქციის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებდა.

5. „საქართველოს სისხლის სამართლის და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 1996 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონით, რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 1 თებერვლიდან, ცვლილება შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის (1960 წლის რედაქცია) სანქციის ნაწილში შემდეგი მიმართებით: სიტყვები „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ“ შეიცვალა სიტყვებით: „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ან უვადო თავისუფლების აღკვეთით“. ამდენად, უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის სახით გამოყენება დასაშვები გახდა მხოლოდ – 1997 წლის 1 თებერვლიდან, მაშინ, როდესაც გ. გ-მ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინა 1997 წლის 28-29 იანვარს – „საქართველოს სისხლის სამართლის და საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 1996 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის ამოქმედებამდე.

6. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის თანახმად: „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როდესაც მოქმედებდა ამსრულებელი ან თანამონაწილე ანდა უნდა ემოქმედა მას. შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს“. იმავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ანესებს ქმედე-

ბის დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს“.

7. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს“. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადება ახდენს უფრო მძიმე სასჯელის დაკისრების პრევენციას, ვიდრე დაკისრებული იქნებოდა დანაშაულის ჩადენის მომენტში. ეს პრინციპი დაირღვა საქმეზე „გაბარი მორენო ესპანეთის წინააღმდეგ“ (Gabarri Moreno v. Spain), ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს შეემცილებინათ მომჩივნის სასჯელი შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ კანონის შესაბამისი დებულებების მიხედვით. საქმეზე „ეჯერი და ზეირეჟი თურქეთის წინააღმდეგ“ (Ecer and Zeyrek v. Turkey), სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მათ სასჯელი განესაზღვრათ 1991 წლის კანონით იმ დანაშაულისთვის, რომელიც მათ ჩაიდინეს 1988 და 1989 წლებში, რაც ქურთული მუშათა პარტიის დახმარებაში გამოიხატებოდა. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათი ბრალდების შემდეგ უფრო მკაცრი სასჯელი დაეკისრათ, ვიდრე მათ მიერ დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა. საქმეზე „სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ“ (Scoppola v. Italy)(2), დიდი პალატის შემადგენლობამ ხმათა უმრავლესობით შეცვალა ევროკომისიის პრეცედენტული სამართალი, დაადგინა რა, რომ კონვენციის მე-7 მუხლი ასევე მოიცავს შედარებით უფრო მსუბუქი სისხლის სამართლის რეტროაქტიულობის პრინციპს. ეს კი, შესაბამისად, ნიშნავს იმას, რომ როდესაც არსებობს განსხვავება დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ძალაში შესულ სისხლის სამართლის კანონმდებლობას შორის, სასამართლო ვალდებულია, გამოიყენოს იმ კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც უფრო კეთილგანწყობილია განსასჯელის მიმართ. მომჩივანს ბრალი წაუყენეს, *inter alia*, მისი მეუღლის მკვლელობისთვის და მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა 2002 წელს, მას შემდეგ, რაც მან აირჩია, რომ მისი

საქმე განხილულიყო დაჩქარებული პროცედურებით. მაგრამ, ვინაიდან უფრო მსუბუქი სასჯელი იქნა დადგენილი, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ (კონკრეტულად კი – 30-წლიანი პატიმრობა), სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-7 მუხლის დარღვევას.

8. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენში გ. გ-ს მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება და მსჯავრდებულ გ. გ-ეს ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით (ადრე განზრახ მკვლელობის ჩამდენი პირის მიერ ორი პირის განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 120.2.4., 120.2.6, 120.2.7., 120.2.10 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეეცვალოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, გ. გ-ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, რომელიც ამ დანაშაულისათვის სხვადასხვა დროს აწესებდა სასჯელის განსხვავებულ ზომებს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი“. მოცემულ შემთხვევაში ყველაზე მსუბუქია ის კანონი, რომელიც მოქმედებდა გ. გ-ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას და რომლის სანქციაც სასჯელის მაქსიმალურ ზომად ითვალისწინებდა – 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამდენად, გ. გ-ს მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის (1960 წლის რედაქცია) გათვალისწინებით, რომელსაც შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის ამჟამად მოქმედი რედაქციის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტები, გ. გ-ეს სასჯელად უნდა განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

9. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას, ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ.

10. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გ. გ-ეს დანაშაული, რომლისთვისაც მსჯავრი დაედო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განაჩენით, ჩადენილი აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენის გამოტანამდე, კერძოდ – 1996 წლის 5 ნოემბერს, იმავე წლის – 29 ნოემბერსა და 7 დეკემბერს. იმ დროისათვის გ. გ-ე იყო ნასამართლობის არმქონე პირი. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. გ-ეს სასჯელი უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილების შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. გ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართ-

თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

4. გ. გ-ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 120.2.4., 120.2.6, 120.2.7., 120.2.10 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებთან, დანიშნული სასჯელი – უვადო თავისუფლების აღკვეთა – შეეცვალოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთით და მოსახდელად განესაზღვროს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდეს 1/4-ით და განესაზღვროს – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4, მე-2 ნაწილების თანახმად, მსჯავრდებულ გ. გ-ს მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 94-ე მუხლის 1-ლი, მე-7 და მე-8 ნაწილებით დანიშნულმა სასჯელმა, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 120.2.4; 120.2.6, 120.2.7, 120.2.10 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებთან – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ (ამნისტიის გათვალისწინებით) შთანთქმას:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის ბაქოს საქალაქო სასამართლოს პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 7 ივლისის განაჩენით:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 15,94 მუხლის მე-4,

მე-6, მე-7, მე-8 პუნქტებით დანიშნული სასჯელი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 29, 120.2.4, 120.2.6, 120.2.7 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებთან, 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 93–5 მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 181.2.1, 181.2.2 და 181.2.5 მუხლზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებთან, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილთან, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 5 წლითა და 1 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– აზერბაიჯანის რესპუბლიკის სსკ-ის 220-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით 2006 წლის 1 აგვისტოს გადაკვალიფიცირდა ამავე ქვეყნის სსკ-ის 228-ე მუხლის პირველ ნაწილზე და თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 დეკემბრის განჩინებით შესაბამისობაშია მოყვანილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-3 ნაწილებთან, 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

• თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 17 დეკემბრის განაჩენით:

– საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტით (1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

– საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

– საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის ცვლილებით) დანიშნული სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა – 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ გ. გ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 1997 წლის 13 თებერვლიდან.

6. მსჯავრდებულ გ. გ-ეს დანიშნული სასჯელი ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან.

7. სხვა ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა
სასჯელის შემსუბუქება

№54აპ-16

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

ბანაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ბ. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. კ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის განაჩენით:

ბ. დ-ე, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევ, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენით ბ. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილი ჰქონდა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 4 თვე და ბ. დ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 4 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 4000 ლარი.

მსჯავრდებულ ბ. დ-ეს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 18 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისის ჩათვლით.

გაუქმდა ბ. დ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება –

პატიმრობა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ი. ო-ი, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი, რაც საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 2015 წლის 10 მარტიდან იმავე წლის 18 ივნისის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმცირდა – 1000 ლარით და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი.

გაუქმდა მსჯავრდებულ ი. ო-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

ლ. ლ-ე, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარი, რაც საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 2015 წლის 10 მარტიდან იმავე წლის 18 ივნისის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმცირდა – 1000 ლარით და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი.

გაუქმდა მსჯავრდებულ ლ. ლ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და იგი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

2. აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულებს: ხ. დ-ეს, ი. ო-სა და ლ. ლ-ეს მსჯავრი დაედოთ ხულიგნობაში, ესე იგი ქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 00.20 საათზე, ... რაიონის სოფელს ცენტრში ი. ო-მა, ხ. დ-ემ და ლ. ლ-ემ, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, ძალადობის გამოყენებით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც რ. თ-ეს, ასევე ხულიგნობის აღმკვეთ პირს, ი. კ-ეს, რითაც დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რომან ბოლქვაძემ და ითხოვა მსჯავრდებულების: ი. ო-ის, ლ. ლ-სა და ხ. დ-ვის უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივად. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის განაჩენში შევიდა მსჯავრდებულ ხ. დ-ს საუარესო ცვლილება სასჯელის ნაწილში, ხოლო განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად, კერძოდ:

ხ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენით ხ. დ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენით ხ. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული მოუხდელი სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ხ. დ-ეს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალია დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 18 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისის ჩათვლით.

5. 2016 წლის 21 იანვარს მსჯავრდებული ხ. დ-ე დააკავეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის აჭარის ა/რ-ის სამმართველოს თანამშრომლებმა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ხ. დ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. კ-ემ, რომელმაც ითხოვა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის უცვლელად დატოვება შემდეგ გა-

რემოებათა გამო: ხ. დ-ეს მსჯავრი დაედო ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში, აღიარა დანაშაული, ნებაყოფლობით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და დაზარალებულებს მის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ხ. დ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. კ-ემ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლეს მისი დაკმაყოფილება.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა რ. ბ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ხ. დ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები: დაზარალებულ რ. თ-ესა და მსჯავრდებულს შორის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა ატარებდა ორმხრივ ხასიათს; დაზარალებულ ი. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ დაზარალებული რ. თ-ე იყოს ნასვამი; ხ. დ-ეს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარების ფაქტი არ დაუდგინდა; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 ივნისის განაჩენის გამოტანის მომენტისათვის მსჯავრდებული 4 თვე იმყოფებოდა საპატიმრო დაწესებულებაში.

3. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდუვალობა განაპირობებს. მთავარია, არა დამნაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს დამნაშავის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მი-

მართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების ადეკვატური.

4. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა, არასაპატიმრო ალტერნატივები. შესაბამისად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ხ. დ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: ხ. დ-ეს საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უნდა გაუქმდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენით ხ. დ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი.

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები უნდა შეიკრიბოს და ხ. დ-ეს უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით და თავისუფლების აღკვეთა – 6 თვის ვადით. ხ. დ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავებიდან – 2016 წლის 21 იანვრიდან და სასჯელის ვადაში უნდა ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 18 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისამდე და 2016 წლის 21 იანვრიდან იმავე წლის 7 ივნისის ჩათვლით, სულ – 8 თვე და 17 დღე; იგი უნდა ჩაითვალოს სასჯელ-

მოხდით და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. ხ. დ-ეს საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, უნდა შეუმსუბუქდეს დანიშნული ჯარიმა – 500 ლარით და განესაზღვროს ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ხ. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ჯ. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 14 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს სასჯელის ნაწილში:

3. ხ. დ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განაჩენით ხ. დ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და ხ. დ-ეს განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით და თავისუფლების აღკვეთა – 6 თვის ვადით.

6. ხ. დ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავებიდან – 2016 წლის 21 იანვრიდან და სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 18 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისამდე და 2016 წლის 21 იანვრიდან იმავე წლის 7 ივნისის ჩათვლით, სულ – 8 თვე და 17 დღე; იგი ჩაითვალოს სასჯელმოხდითად და გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

7. ხ. დ-ეს საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, შეუმსუბუქდეს დანიშნული ჯარიმა – 500 ლარით და განესაზღვროს ჯარიმა – 3500 ლარის ოდენობით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს

განაჩენი საქართველოს სახელით

№21აპ-16

11 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ მამუკა კოპალიანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 აგვისტოს განაჩენით გ. მ-ი, – დაბადებული 19... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით მსჯავრად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი.

2. საქართველოს სსკ-ის 65-66-ე მუხლების საფუძველზე გ. მ-ს დაევალა პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, ამასთან, მის ყოფაქცევაზე კონტროლის და დანმარების განხორციელება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს, პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

3. ნივთმტკიცება – 1 დისკი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს მისი შენახვის ვადით.

4. განაჩენით მსჯავრდებულ გ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 2 ოქტომბერს, დაახლოებით 00.50 საათზე, თბილისში, ... №...-ში მდებარე შპს „...“ გ. მ-ი ფარულად დაეუფლა საკვებ პროდუქტს და ავტომანქანის არომატიზატორებს. გ. მ-ის დანაშაულებრივი ქმედებით შპს „...“ მი-

ადგა 60 ლარისა და 75 თეთრის ქონებრივი ზიანი.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

6. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორი მამუკა კოპალიანი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანასა და მსჯავრდებულ გ. მ-ის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის კანონით დადგენილი შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – ბ. ფ-სა და ო. ნ-ის ჩვენებებით, გ. მ-ის მოწმისა და ბრალდებულის სახით დაკითხვისას მიცემული ჩვენებებით, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმით, ვიდეოსათვალთვალ კამერების ჩანაწერების დათვალიერების ოქმითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დასტურდება მის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

3. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

4. საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 მარტის განაჩენით გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად დაენიშნა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალი პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

5. 1-ლი ინსტანციით საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკმაყოფილდა სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა და საქმეს დაერთო შემდეგი დოკუმენტები: 2015 წლის 15 მაისის მიმართვის წერილი თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2015 წლის 8 ივნისის მიმართვის წერილი თბილისის საქალაქო სასამართლოდან თანდართული ქვითრის ასლებით, 2015 წლის 3 ივლისის მიმართვის წერილი აღსრულების ეროვნულ ბიუროს და 2015 წლის 7 ივლისის წერილი აღსრულების ეროვნული ბიუროდან.

6. ამ დოკუმენტების თანახმად, გ. მ-ს სრულად არ აქვს მოხდილი აღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელი, კერძოდ, მას დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის ნაწილი – მხოლოდ 1000 ლარი აქვს გადახდილი, ხოლო დარჩენილ 1000 ლარზე მიმდინარეობს იძულებითი სააღსრულებო მოქმედებები.

7. საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

8. ამდენად, მსჯავრდებული გ. მ-ი ახალი დანაშაულის ჩადენისათვის განაჩენის გამოტანის დროისათვის – 2015 წლის 12 აგვისტოსათვის ითვლება ნასამართლობის მქონედ, შესაბამისად, სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი.

9. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას სასჯელის სახედ და ზომად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 1-დან 3 წლამდე ვადით. მსჯავრდებულ გ. მ-ს აღნიშნული განაჩენით სასჯელად დანიშნული აქვს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით.

10. საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

11. აღნიშნული არ მიუღია მხედველობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 აგვისტოს გ. მ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის დანიშვნისას.

12. სახელმწიფო ბრალმდებელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 აგვისტოს განაჩენი გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულ გ. მ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნის

მხედველობაში მიღებით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალდებლის სააპელაციო საჩივარი იმ საფუძველით, რომ ბრალდების მხარეს 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას არ ეკავა ანალოგიური პოზიცია და მიუთითა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

13. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცულია საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები. სახელმწიფო ბრალდებელს ასეთი პოზიცია ეკავა 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას და სწორედ ამ მოთხოვნით გაასაჩივრა 1-ლი ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენი, კერძოდ: 1-ლი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, მხარეებმა სადავო არ გახადეს როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რაც საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიღო გამოკვლევის გარეშე და ამასთან, დაკმაყოფილდა პროკურორ გოჩა ქორაიას შუამდგომლობა, სისხლის სამართლის საქმეს დაერთო ზემომითითებული წერილობითი დოკუმენტები. დოკუმენტების მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, მსჯავრდებული გ. მ-ი ითვლება ნასამართლობის მქონედ.

14. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სახელმწიფო ბრალდებლის მიერ აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა მტკიცებულებების სახით მიუთითებს მის პოზიციაზე, რომ ეს მტკიცებულებები უნდა გათვალისწინებულიყო განაჩენის გამოტანის დროს; სასამართლოს კი აღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, რისი ვალდებულებაც მოსამართლეს ჰქონდა, სასჯელი უნდა დაენიშნა რეციდივის გათვალისწინებით.

15. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები მთლიანად დაცულია: ბრალდების მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა ისეთი მოთხოვნით, რომლის შესაბამისი პოზიციაც ეკავა 1-ლი ინსტანციის სასამართლოში.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას

მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და მსჯავრდებულ გ. მ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

17. ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, პირად და ეკონომიკურ პირობებს, აგრეთვე იმას, რომ მსჯავრდებული თავს ცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რის გამოც მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ გ. მ-ს სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაეთვალოს პირობითად.

18. გ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 წელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ მამუკა კოპალიანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. გ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯოს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი.

4. საქართველოს სსკ-ის 65-66-ე მუხლების საფუძველზე გ. მ-ს დაევალოს პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, ამასთან, მის ყოფაქცევაზე კონტროლის და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სას-

ჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს, პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. ნივთმტკიცება – 1 დისკი დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს მისი შენახვის ვადით.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**პირადი მოხმარების მიზნით გამოშვრალი
„მარინუანა“-ს შიქინა-შინახვინათვის დანიშნული
სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№605აპ-15

25 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
ბ. ალავიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ლ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განაჩენით ი. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ი. ლ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 11 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო. ი. ლ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კა-

ნონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

2. განაჩენის მიხედვით, ი. ლ-მ ჩაიდინა თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 10 დეკემბერს, დაახლოებით 05:35 საათზე, ნიღბიანი და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ი. ლ-ა დაუდგენელ პირთან ერთად თავს დაესხა ქ. ფოთში, ... ქ. №...-ში მდებარე ბენზინგასამართ სადგურ „...-ში“ ამავე სადგურის თანამშრომლებს – ვ. ზ-სა და ზ. ც-ს, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცა მკვ „...“ კუთვნილი თანხა – 244 ლარი.

3. ამავე განაჩენის მიხედვით, ი. ლ-მ ასევე ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში: ი. ლ-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და ინახავდა 8,02 გრამ ნარკოტიკულ საშუალება – გამომშრალ „მარიხუანას“, რაც 2014 წლის 11 დეკემბერს ფოთში, ... და ... ქუჩების გადაკვეთაზე მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განაჩენი შეიცვალა: ი. ლ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია). ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ი. ლ-ს ინტერესების დამ-

ცველმა, ადვოკატმა ი. შ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ი. ლ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა შემდეგ გარემოებათა გამო: ი. ლ-ს სხვა პირთან ერთად არ დაუყარალებია ბენზინგასამართი სადგური, არც ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ შეუძენია და შეუნახავს. ეს ყველაფერი ფოთის პოლიციის თანამშრომლებმა შეთხზეს, რათა გახსნილად გამოეცხადებინათ ყაჩაღობის ფაქტი; ყაჩაღობის დროს ი. ლ-ა იმყოფებოდა ახლობლის – ლ. ვ-ს ოჯახში, სადაც ის ცხოვრობს საკუთარი ბინის და გირაგების შემდეგ; 2014 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით 13 საათზე, იგი დააკავეს და კუთვნილი ნივთებიდან პოლიციელებმა ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“, რომელიც მას არ შეუძენია, არ შეუნახავს და არ ეკუთვნოდა; პოლიციელებმა მას „ჩაუდეს“ ნარკოტიკული ნივთიერება, რათა „გაეპრავეებინათ“ ი. ლ-ს უსაფუძვლო შეჩერება და დაკავება. მათ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს ერთი-ერთი დამყარებლის მიერ დატოვებული ურო და ნიღაბი, რომლებიც ი. ლ-ს დაკავების შემდეგ, ჩხრეკის ჩატარებამდე, მიიტანეს და დადეს ლ. ვ-ს სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, რათა შემდგომ დაკავება „გაეპრავეებინათ“. გამოძიებამ თავიდანვე „დამნაშავე“ უნოდა ი. ლ-ს, რითიც დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია და საფუძველი ჩაუყარა მის მიმართ არაობიექტური, უკანონო და ტენდენციური გამოძიების ჩატარებას; ყაჩაღობის რეალურად ჩამდენი პირების დადგენის ნაცვლად გამოძიებამ აიჩიო მარტივი გზა – ვინმესთვის დაებრალებინათ ეს დანაშაული და საქმე გახსნილად გამოეცხადებინათ. ამასთან, დაზარალებულებმა თავიანთ ჩვენებებში განაცხადეს, რომ ყაჩაღების ვიზუალური ამოცნობა არ შეეძლოთ. შესაბამისად, სასამართლომ სათანადოდ ვერ შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები, რომლებიც მსჯავრდებულის უდანაშაულობაზე მეტყველებდა, დაადგინა უკანონო განაჩენი, რომელიც ემყარება მხოლოდ დაუსაბუთებელ ეჭვებსა და ვარაუდებს და არ გამომდინარეობს ობიექტური რეალობიდან, ვინაიდან საქმეში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ი. ლ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის დასადასტურებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემ-

დეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ი. ლ-ს მიერ გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, კერძოდ: მოწმეების – ზ. ც-ს, ვ. ზ-ს, ვ. თ-ს, თ. ჟ-ს, ა. ლ-ს, ბ. კ-ს, ო. მ-ს, უ. ძ-ს, ა. ნ-სა და ვ. ბ-ს ჩვენებებით; ექსპერტიზების დასკვნებითა და მოწმე ექსპერტების ჩვენებებით; მსჯავრდებულ ი. ლ-ს სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონით განხორციელებული შემაჯავალი და გამაჯავალი ზარების დეტალური ამონაწერი; „...-ის“ ბენზინგასამართი სადგურისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურის ცენტრალური სარემონტო საამქროს მხარეს დამონტაჟებული სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანაწერებითა და მათი დათვალიერების ოქმებით; აგრეთვე, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით. აღნიშნული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც მოპოვებულია კანონიერი გზით, ქმნის დასაბუთებულ საფუძველს დასკვნისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი მსჯავრდებულ ი. ლ-ს მიმართ გამოტანილია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით და არ არსებობს კანონიერი საფუძველი მისი გაუქმებისათვის.

3. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ი. ლ-ს საცხოვრებელ ბინასა და ლ. ვ-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის, ასევე ი. ლ-ს პირადი ჩხრეკის დაწყებამდე, გამოძიებელს არ წარუდგენია დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, რასაც პირდაპირ ითვალისწინებს საპროცესო კანონი. აქვე პალატა აღნიშნავს, რომ მსგავს ვითარებაში შესაძლოა, ვერ მოესწროს აღნიშნული დადგენილების დროულად გამოტანა და ამის გარეშე ჩატარდეს ჩხრეკა, მაგრამ ასეთი რამ დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რის გამოც ჩხრეკის თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შესაძლოა, მართლაც გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგი – დანაშაულის კვალის წაშლის, მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის ან გადამალვის სახით და ა.შ. თუმცა, მსგავს შემთხვევაშიც აუცილებელია, დაცულ იქნეს საპროცესო კანონის მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკის, ასევე, ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა

შეამონმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე (აღნიშნულ საპროცესო მოთხოვნებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 120-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილები და 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ი. ლ-ს საცხოვრებელ ბინასა და ლ. ვ-ს საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების, ასევე ი. ლ-ს პირადი ჩხრეკის შემდეგ, რა დროსაც ამოღებულ იქნა ნივთმტკიცებები, შესაბამისმა პროკურორმა შუამდგომლობებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს ამ ჩხრეკების კანონიერების შემოწმების თაობაზე, მაგრამ მოსამართლემ განჩინებებით პროკურორის შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა, რაც იმით დაასაბუთა, რომ, რადგან არსებობდა ბინების მესაკუთრეთა თანხმობები და პირადი ჩხრეკის შემთხვევაში ი. ლ-ს თანხმობა ჩხრეკების ჩატარებაზე, საჭირო აღარ იყო ჩხრეკის კანონიერების სასამართლო წესით შემოწმება. მოსამართლის ასეთი პოზიცია აშკარად არ შეესაბამება საპროცესო კანონით დადგენილ იმ წესებსა და მოთხოვნებს, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე, 120-ე და 131-ე მუხლებით გათვალისწინებული, უაღრესად მნიშვნელოვანი საპროცესო ინსტიტუტის არსისა და ფუნქციური დანიშნულების არაერთგვაროვანი გაგების შედეგს (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 19 მაისის №609აპ-15 განაჩენი).

4. აღნიშნული დარღვევა, მოცემულ შემთხვევაში, გავლენას მაინც ვერ იქონიებს საქმის შედეგზე, რადგან საქმეში მოიპოვება სხვა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა ი. ლ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე მსჯავრდებულის ადვოკატის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის განხილვის შემდეგ, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 თებერვლის №3/1/708, 709, 710 განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეტანილი წარდგინების საფუძველზე იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვა-

ლისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანის“ (იხ. „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალური გრაფა) პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმენა-შენახვის გამო.

6. აღნიშნული განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ზემოხსენებული ნორმატიული შინაარსი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის მიმართ სასჯელის სახით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა მის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედების გამო, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების – გამომშრალი „მარიხუანის“ უკანონო შექმენა ან შენახვა, როდესაც არ არის დადგენილი გასაღების მიზნის არსებობა ასეთი ქმედების ჩადენისას. მოცემულ საქმეში მსჯავრდებული ი. ლ-ა გასაჩივრებული განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი მხოლოდ იმაში, რომ მან უკანონოდ შეიძინა და შეინახა 8,02 გრამი ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარიხუანა“, ამასთან, განაჩენით არ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულმა ხსენებული ნარკოტიკული საშუალება შეიძინა და ინახავდა გასაღების მიზნით.

7. ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულ ი. ლ-ს მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით, რადგან ამავე კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში.

8. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საბოლოოდ ასკვნის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს: ი. ლ-ა სასჯელის დაუნიშნავად ცნობილი უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ნარკოტიკული საშუალება – გამომ-

შრალი „მარიხუანის“ უკანონო შექმენისა და შენახვისათვის, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემო-აღნიშნული გადაწყვეტილებით მოხდა მის მიერ ჩადენილი ქმედების არა დეკრიმინალიზაცია, არამედ – დეპენალიზაცია, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დაადგინა:

1. მსჯავრდებულ ი. ლ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. შ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებული ი. ლ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში, მათ შორის – ი. ლ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დარჩეს უცვლელად.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქვიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული
საშუალების („მარისუანა“) უკანონოდ
მოხმარებისათვის სასჯელის განსაზღვრის წესის
თაობაზე**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№34აპ-16

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-სა და მისი ადვოკატის – ტ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით გ. ა-ი, – დაბადებული ..., – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ გ. ა-ს სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2015 წლის 12 ოქტომბრიდან.

2. განაჩენით გ. ა-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენით გ. ა-ი გასამართლებულია საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფ-

ლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლევ გ. ა-ს 2015 წლის 24 ივნისს, ნარკოლოგიური შემონმებისას, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება – „ტეტრაპიდროკანაბინოლის“ მოხმარების ფაქტი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. მსჯავრდებულმა გ. ა-მა და მისმა ადვოკატმა – ტ. ბ-მა საკასაციო საჩივრით ითხოვეს გ. ა-თვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნა, ხოლო საბოლოო სასჯელისას სასჯელთა შთანთქმის წესის გამოყენება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება გ. ა-თვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რასაც სადავოდ არც კასატორები ხდიან.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ა-ის მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბ. წ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ შექმნა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიასისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

7. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად არასაკმარისია პასუხისმგებლობის სხვა, არასაპატიმრო ალტერნატივები.

8. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმე-

დების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

9. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშულ მსჯელობას და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული გ. ა-ი წარსულში ნასამართლევი და სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, მიაჩნია, რომ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილსაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ა-ის სასიკეთოდ სასჯელის ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ა-სა და მისი ადვოკატის – ტ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. გ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 2000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ გ. ა-ს სასჯელის სახით განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი; პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, გ. ა-ი მთლიანად გაათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4. გ. ა-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვას საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური საქმიანობის უფლება, სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

5. აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს თანხა – 500 ლარი განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში დაუბრუნდეს მის შემტან პირს.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქვიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული
საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის
ნასამართლავი პირის მიმართ სასჯელის
განსაზღვრის წესის თაობაზე**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№101აპ-16

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. დ-ს სა-
კასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სის-
ხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის
განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის
განაჩენით ი. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-
ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.
მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 23 ივლისიდან.

2. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამო-
ერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და
ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების,
ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო, პე-
დაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანო-
ბის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სა-
ხაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფ-
ლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის
დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

3. განაჩენით ი. დ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა
შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 აპ-
რილის განაჩენით ი. დ-ე გასამართლებულია საქართველოს სსკ-
ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათ-
ვის და სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 1500 ლარის ოდე-
ნობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ნარკოტიკული

საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ნასამართლევ ი. დ-ს 2015 წლის 29 მარტს, ნარკოლოგიური შემონმებისას, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება – „ოპიუმის ჯგუფის“, „ბუპრენორფინის“, „მეტადონის“, „ამფეტამინის“, „მეტამფეტამინის“ ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

4. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული ი. დ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთმეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება მსჯავრდებულ ი. დ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. დ-ს მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბ. ნ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსე-

ნებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარისუანის“ შექენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიას სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

7. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისი არ არის პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

8. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყე-

ნებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

9. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშულ მსჯელობას და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ი. დ-ე წარსულში ნასამართლევი და სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, მიაჩნია, რომ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ი. დ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 23 ივლისიდან), მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. დ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილ-

დეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ი. დ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 23 ივლისიდან), მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

5. მსჯავრდებული ი. დ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქერქო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით

განაჩენი საქართველოს სახელით

№593აპ-15

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა ძველი თბილისის რაიონული პრო-
კურატურის პროკურორ გ. ქ-სა და მსჯავრდებულ დ. ც-ის საკა-
საციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განა-
ჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ დ. ც-ეს, – და-
ბადებულს ... წლის ..., ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი დაე-
დო საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში,
რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი.
სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობ-
რივი გარემოებები: 2014 წლის 29 აპრილს, დაახლოებით 13.30
საათზე, ..., ... ეზოში, დ. ც-სა და ლ. ფ-ს შორის მანამდე არსებუ-
ლი სამეზობლო დავა გადაიზარდა სიტყვიერ და ფიზიკურ და-
პირისპირებაში, რა დროსაც დ. ც-ემ აუცილებელი მოგერიების
ფარგლების გადაცილებით ლ. ფ-ს მიაყენა ჯანმრთელობის მძი-
მე დაზიანება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის
განაჩენით დ. ც-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 122-ე მუხ-
ლზე და განესაზღვრა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომ-
ლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 6 მაისიდან; მასვე სასჯელის ვა-

დაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 29 აპრილიდან იმავე წლის 2 მაისის ჩათვლით.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ქ-მ და მსჯავრდებულმა დ. ც-ემ.

5. პროკურორმა ითხოვა განაჩენის გაუქმება და დ. ც-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო მსჯავრდებულმა – გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

6. მსჯავრდებულმა დ. ც-ემ შესაგებლად ითხოვა პროკურორის სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ხოლო პროკურორმა – მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და დ. ც-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი დ. ც-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

8. კასატორი – პროკურორი გ. ქ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დაზარალებული ლ. ფ. დ. ც-ის თხოვნით მივიდა მასთან; სიყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ ლ. ფ-მა გაითავისუფლა ხელები და გაემართა ავტომანქანისკენ, ხოლო დ. ც. შებრუნდა სახლისკენ, აიღო ლითონის გრძელი მილი და გაემართა ლ. ფ-საკენ, რომელიც მისკენ მიტრიალდა. მსჯავრდებულმა მას თავის არეში ეს მილი რამდენჯერმე დაარტყა და აგრძელებდა დარტყმას მას შემდეგაც, რაც ლ. ფ. წაიქცა; სააპელაციო სასამართლომ ორი თვითმხილველი მოწმიდან სრულად გაიზიარა მ. ბ-ის ჩვენება, რომელიც მსჯავრდებულის ჩვენების თანხვედნილია, კერძოდ: მ. ბ-ის ჩვენებით, მანქანისაკენ წასული ლ. ფ. მოულოდნელად მოტრიალდა და გაემართა დ. ც-საკენ, რომელმაც უცებ აიღო ლითონის მილი და მას მოუქნია; რაც შეეხება მეორე მოწმეს – ქ. მ-ეს, მან უფრო დეტალურად აღწერა მომხდარი და აჩვენა, რომ კამათის შემდეგ ლ. წავიდა მანქანისაკენ, ხოლო დ. ც-ემ აიღო ლითონის მილი, დამალა ზურგს უკან, გაემართა ლ. ფ-საკენ და მისი მოტრიალებისთანავე თავში სამჯერ დაარტყა. დაზარალებული დაცვა, დ. ც. კი ამის შემდეგაც ურტყამდა მილს სხეულზე; პროკურორის აზრით, ამ ორი მოწმის ჩვენებების შეფასების დროს გასათვალისწინებელია ის, რომ ქ. მ-ე მომხდარს უყურებდა თავის საცხოვრებელ სახლში ასასვლელი კიბიდან და დეტალურად ნახა განვითარებული მოვლენები, ხოლო მ. ბ. – თავისი სახ-

ლის აივნიდან, რომელიც ნახევარსარდაფია და ამ მოწმეს ეფარებოდა მეორე სართულზე ასასვლელი კიბე და ეზოში მდგარი მანქანები; გარდა ამისა, ქ. მ-ის ჩვენება ემთხვევა საქმეზე შეკრებილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს: სამედიცინო ექსპერტიზისა და მიკრონანილაკების ექსპერტიზის დასკვნებს, თავად დაზარალებულის ჩვენებას; პროკურორ გ. ქ-ს მიაჩნია, რომ დ. ც. იმყოფებოდა არა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, არამედ იგი მოქმედებდა ლ. ფ-სათვის ჯანმრთელობის დაზიანების მიყენების განზრახვით, რადგან მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა გაითავისუფლა ხელები და გაემართა მანქანისაკენ, მისი მხრიდან არანაირი საფრთხე არ არსებობდა, ფიზიკური კონფლიქტი მასა და დ. ც-ს შორის ფაქტობრივად ამოწურული იყო. დ. ც-ემ შურისძიების მოტივით აიღო ლითონის მილი, დამალა და ისე გაემართა ლ. ფ-საკენ, რომლის მოტრიალებისთანავე ეზოს შუაგულში დაუზოგავად დაარტყა რამდენჯერმე ჯერ თავის, ხოლო ნაქცევის შემდეგ – ტანის არეში; აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის შურისძიების გრძნობით აღვსილი ადამიანის ქმედება და არა – აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირის მოქმედება; აღსანიშნავია ისიც, რომ თავად დ. ც-ეს არანაირი დაზიანება არ აღენიშნებოდა, რაც დასტურდება მოწმეთა ჩვენებებითა და დაკავების ოქმით.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განაჩენის შეცვლას და დ. ც-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

10. კასატორი – მსჯავრდებული დ. ც. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მის მიმართ განხორციელდა მიზანმიმართული დისკრიმინაცია პოლიტიკური ნიშნით, დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით მისთვის გარანტირებული უფლებები; სასამართლომ განაჩენში არასწორი ინტერპრეტაციითა და ფორმულირებით გამოიყენა მოწმე მ. ბ-ის ჩვენებები; რაც შეეხება მოწმე ქ. მ-ეს, მან ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს, ხოლო დედამისი სასამართლოში გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე პროკურატურაში ჰყავდათ დაბარებული; ქ. მ-ის ჩვენება არ ემთხვევა სხვა მოწმეების ჩვენებებს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, საქმეში არსებულ დოკუმენტურ და ნივთიერ მტკიცებულებებს; მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ მოსამართლის მტკიცებით, ჯანმრთელო-

ბის ნაკლებად მძიმე დაზიანების მქონე დ. ც-ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაეცვა თავი ლ. ფ-ის აგრესიისაგან, თუ ის რაიმე სახის იარაღით ან რკინის საგნით იქნებოდა შეიარაღებული; საქმეში არსებული და გამოკვლეული მტკიცებულებებით სრულად დადასტურდა, რომ ლ. ფ. თავისი ფიზიკური მონაცემებით გაცილებით ძლიერია მსჯავრდებულზე, რომლის მიმართ განახორციელა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, აგინა, სცემა, მიაცენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება; ვინაიდან დაზარალებულის თავდასხმის ხასიათი იყო უკიდურესად საშიში, ამიტომ, კასატორის აზრით, მისი ქმედება სრულად შეესაბამება უკიდურესობით გამოწვეული მოქმედების პირობებს; დ. ც-ემ აუცილებელი თავდაცვითი ქმედებით მოახერხა ხელმყოფის მოგერიება; იგი უფლებამოსილი იყო, აერჩია თავდაცვის ეფექტური საშუალება, ანუ გამოეყენებინა მისთვის ყველაზე საიმედო, ნაკლებად საშიში საშუალება და არ წასულიყო რისკზე თავისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მართლზომიერი დაცვის დროს; შესაბამისად, მისი მოქმედება სრულად აკმაყოფილებდა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობებს. კასატორი ასევე მიუთითებს, რომ ბრალდების მხარემ შეგნებულად ამორიცხა მტკიცებულებათა სიიდან ის მტკიცებულებები, რომლებიც მისი სასარგებლო იყო და მის პოზიციას ადასტურებდა, რითაც მას წაერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. ც. აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განაჩენები მის მიმართ არის არაკანონიერი, დაუსაბუთებელი, უსამართლო და ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეინსწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ქ-სა და მსჯავრდებულ დ. ც-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დ. ც-ს მიერ ლ. ფ-სთვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტი მხარეთა მიერ არ არის სადავოდ გამხდარი. მხარეები სადავოდ ხდიან მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოების სამართლებრივ შეფასებას, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენით დადგენილია, რომ

დ. ც-ემ ლ. ფ-ს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით; ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა საერთოდ არ წარმოქმნილა, შესაბამისად, ვერც მისი ფარგლების გადაცილებას ექნებოდა ადგილი, მსჯავრდებული მოქმედებდა შურისძიების მოტივით და განზრახ მიაყენა დაზარალებულს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება; ხოლო დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ დ. ც. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მას არ გადაუცილებია მისი მართლზომიერების ფარგლებისთვის.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს არც ბრალდების და არც დაცვის მხარის არგუმენტებს, სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და მიაჩნია, რომ დ. ც. ნამდვილად იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თუმცა, მის მიერ გამოყენებული საშუალება აშკარად შეუსაბამო იყო თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, კერძოდ:

4. პალატა მიუთითებს, რომ პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამოწვეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით. ამასთანავე, უნდა დადგინდეს მომგერიებლის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ, მოგერიება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული.

5. მოცემულ შემთხვევაში სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად ზუსტად დადგინდეს შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების ანალიზის საფუძველზე გაირკვეს, თუ რით იყო გამოწვეული და რისკენ იყო მიმართული პირის ქმედება: ანუ დ. ც. მოქმედებდა სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განზრახვით საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის არარ-

სებობის პირობებში, თუ საკუთარი წარმოდგენით მოქმედებდა მართლზომიერად, იცავდა თავს და მისთვის არსებითი არ იყო მიყენებული დაზიანების ხარისხი და მთავარი იყო აღნიშნულით უზრუნველყო საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

6. სასამართლო სხდომაზე მოწმე მ. ბ-ემ განმარტა, რომ ბრალდებულის და დაზარალებულის მისი მეზობლები არიან. შუადღისას, შესვენებაზე, სახლში მისვლისას, შემოესმა კამათის ხმა, რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. მოწმის განმარტებით, ის თავის აივანზე გამოვიდა, საიდანაც ორივეს სახლი ჩანს. ფანჯარასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ დ. ცი-ის ბინაში იხედება, დ. ეუბნებოდა, მაშინ როგორ მოვიქცეო, ლ. კი წინააღმდეგი იყო, „ხელს არ მოკიდებ, ეს ესე იქნებაო“. გაიგონა ისიც, რომ დ. ც. გამწარებული ხმით ყვიროდა, რომ „ხელი გამიშვი, მეტკინაო“. ლ. შესული იყო დ-სთან სახლში, ხოლო გამოსვლისას დ-ს ლ-ის ხელები ეჭირა. შემდეგ ლ-მა ხელები გაითავისუფლა და მანქანისკენ გატრიალდა, მაგრამ მოტრიალდა ისევ და ძალიან ბინძური სიტყვებით გააგრძელა მიმართვა. დ. ისე გამწარდა, რომ ვერ მოზომა და რკინა ჩაარტყა ლ-ს. მოწმის განმარტებით, ყველაფერი წამებში მოხდა. დ-ს ხელში ეკავა ლითონის მილი და სანამ მან აივანი გაიბრინა და დაიყვირა „დ., რას აკეთებო“, ლ. მის წინ დასისხლიანებული ეგდო, ხოლო თვითონ დ. კი ყვრილზე აზრზე მოვიდა და რკინა ხელიდან გაავდო. ლ. გათიშული იყო, თავიდან სისხლი მოსდიოდა. ამასობაში მეზობლებიც შეიკრიბნენ და პოლიციას და სასწრაფოს დაურეკეს.

7. სასამართლო სხდომაზე ქ. მ-ემ განმარტა, რომ 2014 წლის 29 აპრილს ეზოში თამაშობდა და გაიგონა დ. როგორ ლაპარაკობდა ტელეფონზე „ამოდიო“. დაახლოებით 15 წუთში მოვიდა ლ. და ისინი დ-ს სახლში ლაპარაკობდნენ, თუმცა რაზე, არ გაუგონია. მოწმის განმარტებით, ის კიბეზე ავიდა და იქიდან იყურებოდა. გარეთ გამოსვლისას გაიგონა, რომ ფანჯრის ამოქოლვაზე ჩხუბობდნენ, ხელებს უჭერდნენ და აგინებდნენ ერთმანეთს. შემდეგ ლ. თავის მანქანისკენ წამოვიდა, დ. კი გავიდა უკან, აიღო ბოძი, რომელსაც უკან მალავდა და როდესაც ლ. მისკენ ტრიალდებოდა, სამჯერ ჩაარტყა თავში, რა დროსაც ლ. დავარდა, შემდეგ ტანზეც ურტყამდა. მისივე განმარტებით, ის შოკირებული ავიდა დედასთან, უთხრა, რაც მოხდა და სახლიდან აღარ გამოსულა.

8. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა დაზარალებულ ლ. ფ-ის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რომლითაც დადგენილია, რომ მას მიღებული ტრავმის გამო არაფერი არ

ახსოვს. მეუღლის გადმოცემით იცის, რომ დ. ც-ემ უკნიდან და-არტყა თავში, რითაც მიხვდა, რომ აღნიშნული კონფლიქტი ფანჯარასთან დაკავშირებით მოხდა, რადგან მას დ-თან რამდენჯერმე ჰქონდა ამის შესახებ საუბარი.

9. სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა დ. ც-ემ განმარტა, რომ იყიდა ბინა, რომელსაც ჰქონდა ფანჯრის პრობლემა, რის გამოც გარკვეული უთანხმოება ჰქონდა ლ. ფ-თან. შემთხვევის დღეს, აღნიშნულ თემაზე სატელეფონო საუბრისას, ლ-მა უთხრა ზედმეტი მოგდისო და ჰკითხა, სად იქნებოდა, თუმცა არ ეგონა, რომ ცემატყეობით მიუვარდებოდა. შეხვედრისას, მის ნათქვამზე, რომ მას შეეძლო იმ ფანჯრით საერთოდ არ ესარგებლა, ლ-მა გაშლილი ხელი გაართყა სახეში, მან კი ხელი ჰკრა და უთხრა „ვის დაართყი შე გათახსირებულო“, რასაც ლ. მხრიდან მოჰყვა მისი ხელებით და ფეხებით ცემა. ის კი ხელების აფარებით ცდილობდა მისგან თავის დაცვას. მოწმის განმარტებით, როდესაც ლ-ს უთხრა „ხელი მომტყდაო“, თავის დანებების მაგივრად ლ-მა გულ-მკერდის არეში ჩაავლო ხელი და გამოათრია გარეთ, რა დროსაც თავად უკვე მდგომარეობიდან იყო გამოსული, რადგან ხელი ჰქონდა მოტეხილი. ის გაეთავისუფლა და სახლისკენ მიდიოდა, ლ. გაჰყვა გინებით უკან. მან იფიქრა, რომ ლ. კვლავ გააგრძელებდა ფიზიკურ ზემოქმედებას. იქვე, სახლის შესასვლელთან, ელაგა მასალური და მიუხედავად იმისა, რომ თითები მოტეხილი ჰქონდა, დააფიქსირა ხელში რკინის მილი და ფ-ს ფეხებში მოუქნია, რაც მისი მხრიდან იყო გაფრთხილება, რომ ლ-ს შეენყვიტა მასზე ფიზიკური ძალადობა. შემდეგ ლ. ზემოდან წამოვიდა მისი მიმართულებით და ვინაიდან მან ჩათვალა, რომ ჰქონდა აუცილებელი მოგერიების ვითარება და იგი თავს იცავდა, რადგან თავდამსხმელი იყო მასზე დიდი, როგორც წონით, ასევე სხეულით, ტანის არეშიც მოუქნია, მაგრამ რადგან ლ. ჩამჯდარი იყო, თავში მოხვდა. ლ. ცოტა ხნით გაშეშდა შემდეგ დაბარბაცდა და გვერდულად წაიქცა. სისხლის დანახვამ მასზე იმოქმედა და რკინა გაბრაზებულმა დაახეთქა მინაზე. მეზობლებიც შეიკრიბნენ, რა დროსაც ლ-ს უთხრა, რომ გადარჩებოდა, რითაც მასაც ამშვიდებდა და თავსაც იმშვიდებდა. თავად სიტუაციას გაეცალა, დარეკა სასწრაფოში და უთხრა, რომ ხელი ჰქონდა მოტეხილი, რაც დოკუმენტაციაშიც ასახულია, ასევე უთხრა მათ, რომ მისამართი დაეფიქსირებინათ. როდესაც თაბაშირში ჩაუსვეს ხელი და სახლში მივიდა, რამდენიმე მეზობელი დახვდა და უთხრეს, რომ ლ. საავადმყოფოში იყო. იგი ჩავიდა პოლიციაში და რაც მოხდა, დააფიქსირა, სადაც უთხრეს, რომ ექსპერტიზას დაუნიშნავდნენ. მისივე გან-

მარტებით, ლ. ფ-ს ის დანაშაული, რომ მან ხელი მოსტეხა, აპატიეს, ხოლო მისი ქმედება არასწორად აღწერეს.

10. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ლ. ფ. დ. ც-სთან მივიდა სახლში და მათ შორის მოხდა შელაპარაკება, რაც სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც ლ-მა დ-ს დაუზიანა ხელი, ანუ იგი მართლსაწინააღმდეგოდ (ვინაიდან კანონი კრძალავს აღნიშნული ქმედების ჩადენას) თავს დაესხა დ. ც-ეს და ზიანი მიაყენა მის კანონით დაცულ სიკეთეს – ჯანმრთელობას; ხელყოფა იყო რეალური, ვინაიდან მან ობიექტურად მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება (მოტყედა ხელის თითი) და – იმნუთიერი, ვინაიდან მტკიცებულებათა შეჯერებისა და ერთობლივი გაანალიზების შედეგად პალატას მიაჩნია, რომ კონფლიქტი დ. ც-სა და ლ. ფ-ს შორის არ იყო ამონურული. თავის მხრივ, დ. ც-ემ, ტკივილისა და შეურაცხყოფისაგან გამწარებულმა, თავდაცვის მიზნით, თუმცა თავდაცვის აშკარა შეუსაბამობით მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, ლითონის მილი რამდენჯერმე მოუქნია ლ. ფ-ს, რითიც ლ. ფ-მა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

11. ბრალდების მხარის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მოწმე მ. ბ-ის ჩვენებასთან მიმართებით უპირატესობა უნდა მიენიჭებინა მოწმე ქ. მ-ის ჩვენებისათვის, ვინაიდან მ. ბ-ის მხედველობის არე არ იყო თავისუფალი – მას ეფარებოდა მეორე სართულზე ასასვლელი კიბე და ეზოში მდგარი მანქანები, მაშინ, როცა ქ. მ-ეს არაფერი უშლიდა ხელს, დაენახა კონფლიქტი – პალატა მიუთითებს, რომ მოწმე მ. ბ-ეს ჩვენებაში არ დაუფიქსირებია, რომ მას რაიმე უშლიდა ხელს და კარგად ვერ ხედავდა შემთხვევის ადგილს. შესაბამისად, აღნიშნული მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდია, რასაც პალატა ვერ გაიზიარებს.

12. პალატა არ იზიარებს პროკურორის პოზიციას იმის შესახებ, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული ბრალდებულის ჩვენება, ვინაიდან მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენება არ ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, კერძოდ, ბრალდებულმა სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაში განმარტა, რომ ფანჯარასთან დაკავშირებით ლ. ფ-თან ჰქონდა კონფლიქტი, თუმცა ცდილობდა ჩხუბის გარეშე მის გადაჭრას, მაგრამ, მიუხედავად მცდელობისა, მათ შორის მაინც მოხდა შელაპარაკება, რა დროსაც ლ. ფ-მა ბრალდებულს დაუზიანა ხელი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც დასტურდება მოწმე მ. ბ-ის ჩვენებითაც, რო-

მელიც უშუალოდ შეესწრო აღნიშნულ ფაქტს, ასევე, მოწმეების – ვ. დ-ს, დ. კ-სა და მ. ხ-ის ჩვენებებით. ამასთან, ბრალდებულის დაკავების ოქმითაც დადგენილია, რომ დაკავებულ დ. ც-ეს დაკავებისას მარცხენა ხელზე – ნეკა და არათითზე აღენიშნება თაბაშირი, რომელიც გადახვეული იყო ბინტით.

13. პალატა ვერ გაიზიარებს ასევე პროკურორის პოზიციას, რომ მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა გაითავისუფლა ხელები და გაემართა მანქანისაკენ, მისი მხრიდან არანაირი საფრთხე არ არსებობდა, ფიზიკური კონფლიქტი მასა და დ. ც-ეს შორის ფაქტობრივად ამონურული იყო და განმარტავს, რომ ხელყოფის იმნუთიერობა არ უნდა იქნეს გაგებული ვინროდ; მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა გრძელდება და აუცილებელი მოგერიების უფლება არსებობს მანამ, სანამ კიდევ არსებობს შესაძლებლობა სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისა/დაზიანების გაღრმავებისა, ან არსებობს დაზიანების მიმყენებელი ქმედების მაშინვე კვლავ გამეორების რეალური საშიშროება.

14. ბრალდებულ დ. ც-ის, მოწმე მ. ბ-ის ჩვენებებისა და შემთხვევის ადგილის ფოტოსურათების გაანალიზების შედეგად პალატა მიიჩნევს, რომ დ. ც-ის სახლს, მანქანასა და იმ ადგილს შორის, სადაც მან დაარტყა რკინის მილი ლ. ფ-ს, მანძილის სი-ახლოვის, დროისა (დადგენილია, რომ წამებში მოხდა ყველაფერი) და ლ. ფ-ის მოქმედების (კვლავ გინებით მიუტრიალდა დ. ც-ეს) გათვალისწინებით, კონფლიქტი ვერ ჩაითვლება ამონურულად, ანუ დ. ც. კვლავ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში.

15. პალატა ვერ გაიზიარებს ასევე მსჯავრდებულ დ. ც-ის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მას არ გადაუცილებია აუცილებელი მოგერიების ფარგლებისთვის და კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის აუცილებელია, მომგერიებელმა თავდაცვის შედარებით მსუბუქი საშუალება აირჩიოს; თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მომგერიებელი ვალდებულია რისკზე წავიდეს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. საუბარია იმაზე, რომ თუ შედარებით მსუბუქი საშუალებით შესაძლებელია ხელყოფის აღკვეთა იმავე ეფექტურობით, ასეთ შემთხვევაში უფრო მძიმე საშუალების გამოყენებით პირი სცდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

16. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პალატას მიაჩნია, რომ დ. ც-ვის მიყენებული დაზიანებისა და ასევე, იმის გათვა-

ლისწინებით, რომ ლ. ფ. არ იყო შეიარაღებული რაიმე საგნით, არ იყო აუცილებელი ლითონის მილის არაერთხელ ჩარტყმა თავისა (სიცოცხლისათვის განსაკუთრებულად სახიფათო არეში) და სხეულის სხვა მიდამოებში, რამაც გამოიწვია კიდეც ლ. ფ-ის ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება, კერძოდ: ქალა-ტვინის ღია ტრავმა, ქალა-ფუძის მოტეხილობა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, სახის ძვლების მოტეხილობები, მრავლობითი ჭრილობები და სისხლნაჟღენთები თავის არეში. მარცხნივ, თხემის არეში – დიდი ზომის სისხლმდენი ჭრილობა, ასევე ყურის არეში, მარჯვნივ და ყურის შესახსრების არეში, ორივე დვრილისებრი მორჩის მიდამოში – სისხლნაჟღენთები. სუბარაქნოიდული ჰემორაგია – მარჯვნივ, შუბლ-საფეთქელ-თხემში, მარცხენა სასმენი მილის დაფის აპკის პერფორაცია.

17. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ მას წაერთვა სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან ბრალდების მხარემ მოხსნა მტკიცებულებათა სიიდან მისთვის სასარგებლო მტკიცებულებები – მათ შორის ექსპერტიზის დასკვნა მისი ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც ნიშანვს იმას, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხარეთა პრეროგატივაა. მხარეები თავად მოიპოვებენ და წარადგენენ სასამართლოში იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საჭიროდ მიაჩნიათ თავიანთი პოზიციის დასადასტურებლად.

18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპსაც, რომელიც გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, სისხლის სამართალწარმოებაში ჰქონდეთ ინფორმაცია ერთმანეთის მტკიცებულებებზე და ასევე, ჰქონდეთ მათი შეფასების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პროკურატურისგან მოითხოვს, რომ გაამჟღავნონ მათ ხელთ არსებული ყველა ნივთიერი მტკიცებულება, მნიშვნელობა არ აქვს ბრალდებულის სასარგებლოდ არის ის, თუ – საწინააღმდეგოდ. ეს უკვე დაცვის მხარის პრეროგატივაა, შეაფასოს, რამდენად იმსახურებს წარმოდგენილი მტკიცებულება ყურადღების მიქცევას.

19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მსჯელობს და არ აფასებს ეროვნულ კანონმდებლობას და მის პროცესუალურ ასპექტებს მტკიცებულებათა დასაშვებობასთან

დაკავშირებით, რადგან ეს საკითხი ეროვნული კანონმდებლობის მოსაწესრიგებელია. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარეს არ დაუმაღლავს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, მეტიც, ბრალდების მხარეს გადაცემული ჰქონდა მათთვის ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დგინდებოდა დ. ც-ის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი, დაცვის მხარის მიერ ამ მტკიცებულებებზე ყურადღების გაუმახვილებლობა და მათი საპროცესო კოდექსით დადგენილ წესით წარუდგენლობა (რამაც გამოიწვია ამ მტკიცებულებათა ამორიცხება), ვერ შეფასდება სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვად, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით.

20. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ქ-სა და მსჯავრდებულ დ. ც-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
ქურდობის შიშაღმართვის ობიექტური მხარის
არსებობისათვის დანაშაულის ჩადენის დროის
დადგენის მნიშვნელობის შესახებ

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№ნაპ-16

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

პ. სილაგაძე

განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ს-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ გ. ჩ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 19 თებერვალს ახმეტის რაიონის სოფელ ... მიმდებარედ, ოჟიო-ალავერდის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ე. ა-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან გ. ჩ-მ ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ამოიღო ვენახის ბეტონის 45 სარი და დაეუფლა მათ. თითოეული სარის ღირებულება შეადგენდა 5 ლარს, შესაბამისად, აღნიშნული ქურდობის შედეგად ე. ა-ს მიადგა 225 ლარის ღირებულების მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

3. გ. ჩ-მ ოჟიო-ალავერდის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ლ. ჯ-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ამოიღო ვენახის ბეტონის 130 სარი და დაეუფლა მათ. თითოეული სარის ღირებუ-

ლება შეადგენდა 6 ლარს, შესაბამისად, აღნიშნული ქურდობის შედეგად ლ. ჯ-ს მიადგა 780 ლარის ღირებულების მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

4. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განაჩენით გ. ჩ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ლ. ჯ-ს ეპიზოდი); იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ე. ა-ს ეპიზოდი) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. გაუქმდა გ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის განჩინებით დაყადაღებულ მ. ჩ-ს უძრავ ქონებას (მდებარე – თბილისში, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-.. კვარტალი, მე- .. კორპუსი) მოეხსნა ყადაღა.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ. ს-მ. მან ითხოვა თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განაჩენის შეცვლა ლ. ჯ-ს ეპიზოდში გ. ჩ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ორივე ეპიზოდში).

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი გ. ჩ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

7. კასატორი – პროკურორი შ. ს-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითება იმის შესახებ, რომ ბრალდების ფორმულირებაში ქმედების ჩადენის დროისა და ადგილის მიუთითებლობა ეჭვქვეშ აყენებს ბრალდებულის მიერ ქმედების ჩადენის ფაქტს – უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი და დაცვის მხარის მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომლებითაც უტყუარად დგინდება, რომ გ. ჩ-მ ე. ა-სა და ლ. ჯ-ს კუთვნილი ორი ნაკვეთიდან 2015 წლის 19 და 20 თებერვალს მოიპარა ვენახის ბეტონის სარები, კერძოდ: ე. ა-ს ნაკვეთიდან წაიღო 45, ხოლო ლ. ჯ-ს ნაკვეთიდან – მინიმუმ 90 სარი, რომლებიც ბრალდებულმა შემდგომში მიჰყიდა გ. ფ-ს; 90 სარის ღირებულება აღემატება 150 ლარს, რაც იძლევა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

8. კასატორის აზრით, „ოჟიო-ალავერდის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ლ. ჯ-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთი“ საკ-

მარისია დანაშაულის ჩადენის ადგილმდებარეობის განსასაზღვრად; რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის დროს, მისი დაუზუსტებლობა არ ნიშნავს დანაშაულის არარსებობას; გარდა ამისა, სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის ჩადენის დროის დადგენა; ბრალდების დადგენილებაში ასახულია სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანი და მიუხედავად იმისა, თუ რა იქნება მიჩნეული ქმედების ჩადენის დროდ, ეს ვერ მოახდენს გავლენას ქმედების კვალიფიკაციაზე.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორმა შ. ს-მ ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა ლ. ჯ-ს ეპიზოდში გ. ჩ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ორივე ეპიზოდში.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. გ-მა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და ითხოვა მისი დაკმაყოფილება.

11. მსჯავრდებული გ. ჩ-ე და მისი ადვოკატი ლ. ჩ-ი არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ს-ს საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. უპირველეს ყოვლისა, პალატა მიუთითებს, რომ არ აფასებს გასაჩივრებული განაჩენის კანონიერებას გ. ჩ-ს მსჯავრდების შესახებ ე. ა-ს კუთვნილი ბეტონის სარების ქურდობის ეპიზოდში, ვინაიდან ასეთი მოთხოვნით მხარეებს საკასაციო სამართლოსთვის არ მოუმართავთ.

3. რაც შეეხება გ. ჩ-ს გამართლებას ლ. ჯ-ს კუთვნილი ბეტონის სარების ქურდობის ეპიზოდში, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს მისი უდანაშაულობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული ურთიერთშეჯერებული და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, ეჭვის გამომრიცხავად და უტყუარად არის დადგენილი გ. ჩ-ს მიერ ლ. ჯ-

ს კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ბეტონის სარების დაუფლების ფაქტი, კერძოდ:

4. დაზარალებული ლ. ჯ-ი ჩვენებაში უთითებს, რომ მისი ნაკვეთიდან მოპარული იყო 130 ცალი სარი, რითაც მას მიადგა 780 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. მოწმე გ. ფ-მა აჩვენა, რომ მან გ. ჩ-სგან შეიძინა 135 ცალი სარი, რაშიც 610 ლარი გადაუხადა, ხოლო თავად ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებიდან ირკვევა, რომ მან 45 ცალი სარი მოიპარა ე. ა-ს კუთვნილი ვენახიდან, გ. ფ-სთვის მიყიდული დანარჩენი სარები კი ლ. ჯ-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან ჰქონდა ნამოღებული. აღნიშნული უდავო მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა გ. ჩ-მ სწორედ ხსენებული მიწის ორი ნაკვეთიდან მოიპარა სარები, რომელთაგან, ბრალდებულისვე განმარტებით, 45 ცალი იყო ე. ა-ს საკუთრება, ხოლო დანარჩენი – ლ. ჯ-ს.

5. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ ბრალდების დადგენილებაში მითითებული „ოყოი-ალავერდის საავტომობილო გზის გვერდით მდებარე ლ. ჯ-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთი“ საკმარისია დანაშაულის ჩადენის ადმდედბარეობის განსასაზღვრად; რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის დროს, მისი გამორჩენა არ ნიშნავს დანაშაულის არარსებობას იმ ვითარებაში, როცა უდავო მტკიცებულებებით უტყუარად დგინდება დანაშაულის ჩადენის დრო, კერძოდ: დაზარალებულ ლ. ჯ-ს, ბრალდებულ გ. ჩ-სა და მოწმე გ. ფ-ს ჩვენებებით დადასტურებულია, რომ ქმედების ჩადენის დრო მოიცავს 2015 წლის 19 თებერვლიდან იმავე წლის 22 თებერვლამდე პერიოდს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება გამორიცხავს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრის შესაძლებლობას, ხოლო სხვა მხრივ ზუსტი დროის დაუდგენლობა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის ჩადენის დროის დადგენა.

6. საკასაციო პალატა არ იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ გ. ჩ-ს ბრალეულობას ეჭვის ქვეშ აყენებს ასევე ის ფაქტი, რომ მან ჯამში 135 სარი მიჰყიდა გ. ფ-ს, ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ 45 ცალი, გ. ჩ-ს განმარტებით, ეკუთვნოდა ე. ა-ს, რაც თავის მხრივ თანხვედნილია ე. ა-ს ჩვენებასთან, გამოდის, რომ 130 ცალი სარი ლ. ჯ-ს ვერ იქნებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატა მიუთითებს ბრალდებულის ჩვენებაზე, სადაც იგი განმარტავს, რომ ამოღებისას ემტვრეოდა სარები, რის გამოც მეორე დღეს გაყიდული სარების ზუსტი რაოდენობა არ ახსოვს, რაც სრულიად დამაჯერებლად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ არ აღმოჩნდა გაყიდულ სარებს შორის ლ. ჯ-ს კუთვნილი 135 სარიდან ყველა მათგანი. პალატა აღნიშნულ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს ასევე გ. ფ-ს ჩვენებაზე, რომელიც ადასტურებს ამ ნაწილში ბრალდებულის ჩვენებას, კერძოდ, იგი განმარტავს, რომ მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა მიჰყიდა სარები, ისინი შეთანხმდნენ, რომ ჩ-ე ნამტვრევებსაც გაამზადებდა და დაურეკავდა.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ გ. ჩ-ს ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა (ლ. ჯ-ს ეპიზოდი), რაც საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველია.

8. რაც შეეხება სასჯელს, ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და იმის გათვალისწინებით, რომ მან აღიარა დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, მისთვის ბრალდების ორივე ეპიზოდში სანქციის მინიმუმის განსაზღვრა და 63-64-ე მუხლების სფუძველზე პირობით ჩათვლა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გ. ჩ-ე ნასამართლობის არმქონეა, მისთვის საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამოყენებულ უნდა იქნეს სასჯელთა შთანთქმის წესი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ჩ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ე. ა-ს ეპიზოდი) და მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 3 წლის გა-მოსაცდელი ვადით.

4. გ. ჩ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ლ. ჯ-ს ეპიზოდი) და მიესაჯოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 3 წლის გა-მოსაცდელი ვადით.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ე. ა-ს ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ლ. ჯ-ს ეპიზოდი) და-ნიშნული სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიო-ბით, გ. ჩ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 3 წლით თავისუფ-ლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-თლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქურდობის წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად
მსჯავრდების ნაწილში გამამართლებელი განაჩენის
დადგენა**

**განაჩენი
საქართველოს სასჯელით**

№618აპ-15

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ შ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. შ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის განაჩენით შ. მ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 მარტის განაჩენით შ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

3. 2014 წლის 21 ნოემბერს, დაახლოებით 20 საათზე, თბილისში, – გამზირის №...-ში მდებარე შპს „დ. დ. ჯ-ას“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან შ. მ-ი დაუდგენელ პირთან ერთად შეეცადა ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა აპარატში მოთავსებულ თანხას.

4. აღნიშნული ქმედებისათვის შ. მ-ს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლე-

ბის აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2014 წლის 21 ნოემბრიდან.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. შ-მა. მან ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 15 აპრილის განაჩენის გაუქმება და შ. მ-ის გამართლება.

6. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ს. ა-მა შესაგებლით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შ. მ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

8. კასატორი – ადვოკატი მ. შ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა, არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან და სრულად იზიარებს ბრალდების მხარის ვარაუდს; მხოლოდ ის ფაქტი, რომ შ. მ-ი ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად სწრაფი ჩარიცხვის ტერმინალთან იმყოფებოდა, არ ნიშნავს იმას, რომ მას აუცილებლად დანაშაულებრივი განზრახვა ჰქონდა; არ შეიძლება მონმედ დაკითხული კ. დ-ის ჩვენების გამოყენება მტკიცებულებად, რადგან საქმის სასამართლო განხილვისას დადასტურდა მის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი, კერძოდ: კ. დ-მა გამოძიებაში მიუთითა, რომ აპარატის განსნისას მასში აღმოაჩინეს ჩაჭედილი ქალაღდი და მონეტები, რაც მან უარყო არსებითი განხილვისას ჩვენების მიცემის დროს; შპს „დ. დ. ჯ-ა“ დაზარალებულად არ უნდა ეცნოთ, რადგან ამ კომპანიას არავითარი ზიანი არ მიადგებოდა, რაც განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა; პასუხგაუცემელი დარჩა კითხვა: გამოძიებით დაუდგენელი პირი თავისივე ჩაგდებული მონეტის ამოღებას ცდილობდა, თუ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებას.

9. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. შ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას შ. მ-ის მიმართ და გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ შ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს,

ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მსჯავრდებულ შ. მ-ის უდანაშაულობის თაობაზე და სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს იმ ნაწილში, რომ მსჯავრდებული შ. მ-ი და გამოძიებით დაუდგენელი პირი ცდილობდნენ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ სწრაფი ჩარიცხვის აპარატში მოთავსებულ თანხას.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს: მსჯავრდებულის განმარტება, რომ თითქოს მასთან ერთად მყოფი პირი ცდილობდა თავისივე მონეტის ამოღებას, რომელიც აპარატმა ჩაუყლაპა, მონილია პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით და ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან მოწმე კ. დ-ის ჩვენებითა და გამოკვლეული ვიდეოფირით სრულიად ნათელია, რომ მათ არანაირი ტრანზაქციის შესრულება არ უცდიათ და აპარატთან მისვლისთანავე შეუდგნენ დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებას, რაც გამორიცხავს მათ ვერსიას აპარატის მიერ მონეტის ჩაყლაპვის შესახებ.

4. უსაფუძვლოა ასევე კასატორის პოზიცია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული კ. დ-ის ჩვენება, ვინაიდან საქმის სასამართლო განხილვისას დადასტურდა მის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი, რადგან პალატა, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს, რომ სასამართლო მტკიცებულებად მიიჩნევს მონმის მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, ხოლო კ. დ-ის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება იყო თანმიმდევრული, დამაჯერებელი და ურთიერთშეთანხმებული სხვა მტკიცებულებებთან, რის გამოც საკასაციო პალატას არ გააჩნია მასში ეჭვის შეტანის საფუძველი.

5. ამავედროულად პალატას სურს ყურადღება გაამახვილოს იმაზეც, რომ ადვოკატის მითითება – თითქოს კ. დ-მა გამოძიებისას განაცხადა, რომ აპარატის გახსნისას მასში აღმოაჩინეს ჩაჭედილი ქაღალდი და მონეტები, რაც მან უარყო არსებითი განხილვისას ჩვენების მიცემის დროს, არ შეესაბამება საქმის მასალებს, კერძოდ:

საქმეში არსებული, კ. დ-ის მონმის სახით დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ მონმის განმარტებით, ... გამზირის №...-ში მდებარე შპს „დ. დ. ჯ-ას“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გახსნა ტექნიკურმა ჯგუფმა, რა დროსაც ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რა ოდენობის თანხა იყო აპარატის ჩასაყრელ „ყელში“, ვინაიდან გახსნის დროს რკინის მონეტები ჩაიყარა შიგნით; მან-

ვე განმარტა, რომ ჩასაყრელ „ყელში“ აღმოჩნდა ჩაჭედილი ქალაქი, რის გამოც რკინის მონეტები სეიფში ვერ იყრებოდა. პალატა აღნიშნავს, რომ კ. დ-ს ამ ჩვენებაში არც პირდაპირ და არც ირიბად არ მიუთითებია, რომ უშუალოდ მონაწილეობდა აპარატის გახსნაში. სწორედ ანალოგიური განმარტება მისცა კ. დ-მა სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის სახით ჩვენების მიცემისას. კერძოდ, ადვოკატის შეკითხვაზე მან განმარტა, რომ უშუალოდ არ ესწრებოდა აპარატის გახსნას, იგი გახსნა ტექნიკურმა სამსახურმა და სწორედ მათგან ფლობს ინფორმაციას აპარატში მონეტების არსებობის თაობაზე.

6. უსაფუძვლოა ასევე ადვოკატის მითითება, რომ შპს „დ. დ. ჯ-ა“ დაზარალებულად არ უნდა ეცნოთ, რადგან ამ კომპანიას არავითარი ზიანი არ მიადგებოდა, რაც განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა, ვინაიდან არც აღნიშნული გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. კერძოდ, კ. დ-მა ადვოკატის კითხვაზე განმარტა, რომ როდესაც მომხმარებელი დარეკავდა, რომ ფული არ „დაუჯდა“ ანგარიშზე, ზიანს კომპანია აანაზღაურებდა; ამასთანავე, შ. მ-ისა და დაუდგენელი პირის ქმედებით შესაძლოა, დაზიანებულიყო კომპანიის კუთვნილი აპარატი. შესაბამისად, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ შპს „დ. დ. ჯ-ას“ არც მისდგომია და არც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.

7. ამდენად, საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ შ. მ-ი ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ცდილობდა სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან თანხის დაუფლებას.

8. საკასაციო პალატას ასევე დადასტურებულად მიაჩნია, რომ შ. მ-ს ჩადენილი აქვს ქურდობა არაერთგზის, ვინაიდან თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 მარტის განაჩენით შ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, რისთვისაც მას განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, იმავე გამოსაცდელი ვადით, ხოლო გასაჩივრებული განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედება კი მან ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში – 2014 წლის 21 ნოემბერს; შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მის მიერ ჩადენილია არაერთგზისი დანაშაული.

9. ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას შ. მ-ის მიერ ქურდობის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალ-

დების მხარეს არ წარმოუდგენია, კერძოდ:

10. პალატა აღნიშნავს, რომ შ. მ-ის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ჩადენის დასადასტურებლად გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა ვიდეოფირს და კ. დ-ის ჩვენებას, რომელთა მიხედვითაც, მსჯავრდებულები ერთად ცდილობდნენ აპარატიდან თანხის დაუფლებას.

11. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლი იძლევა ჯგუფური დანაშაულის დეფინიციებს და ერთმანეთისგან მიჯნავს წინასწარ შეუთანხმებლად, წინასწარი შეთანხმებითა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ცნებებს.

12. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

13. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – შესტებსა და მიმიკებში – გამოიხატოს.

14. მოცემულ შემთხვევაში გამოკვლევული ვიდეოფირითა და კ. დ-ის ჩვენებით დგინდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ შ. მ-ი და გამოძიებით დაუდგენელი პირი ერთობლივად ახორციელებდნენ ქურდობის ობიექტურ შემადგენლობას, რასაც არც საკასაციო პალატა მიიჩნევს სადავოდ, თუმცა, ხსენებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მათ შორის წინასწარი შეკავშირების არსებობა; კერძოდ, გამოკვლევულ ვიდეოფირზე არ ჩანს მათ შორის რაიმე ისეთი ტიპის კომუნიკაცია, რაც პალატას საშუალებას მისცემდა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ერწმუნა მათ შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა; არც მონმე კ. დ-ს განუცხადებია ჩვენებაში რაიმე მსგავსი ფაქტის არსებობის თაობაზე.

15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილვას რა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“, განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთკავ-

შირში მყოფი დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში კი სასამართლოს დასკვნა გამომდინარეობს მხოლოდ იმ ფაქტიდან, რომ შ. მ-ი ქმედების განხორციელების მომენტში არ იყო მარტო, რაც საკასაციო პალატის აზრით, არ აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მაღალ სამართლებრივ სტანდარტს და წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდს, რის გამოც, საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ვერ გახდება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შ. მ-ს ბრალდებიდან უნდა ამოერიცხოს მითითება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ჩადენის თაობაზე და ამ ნაწილში იგი უნდა გამართლდეს. პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩადენილია ქურდობა წინასწარ შეთანხმებლად ჯგუფის მიერ, რაც საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შესაბამისად, არ წარმოადგენს ქურდობის მაკვალიფიცირებელ გარემოებას, რის გამოც მის მიერ დაუდგენელ პირთან ერთად მოქმედება დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

17. რაც შეეხება სასჯელს, პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, სამართლიანი იქნება შ. მ-ისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ შ. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. შ. მ-ს მსჯავრდებიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-

ლი ქმედება და ამ ნაწილში გამართლდეს.

4. შ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდეს თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 21 მარტის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შეთანქვას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით შ. მ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 4 (ოთხი) წლითა და 6 (ექვსი) თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2014 წლის 21 ნოემბრიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით (გადასახადისათვის თავის არიდება) გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლის განმარტება

განჩინება საქართველოს სახელით

№556აპ-15

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხაშურის რაიონული სასამართლომ 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენით ე. მ-ი, – დაბადებული 19... წელს, ნასამართლობის არმქონე – დაუსწრებლად ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 70 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. განაჩენით ე. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდება, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქარელის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 4 დეკემბერს სარეგისტრაციო ნომრით – დაარეგისტრირა შპს „ა-ი“, რომელიც საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზეა 2001 წლის 5 დეკემბრიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი – ... საზოგადოების დირექტორად შპს „ა-ის“ 2007 წლის 28 მაისის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დაინიშნა ე. მ-ი. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო მომსახურება. ე. მ-მა შპს „ა-ის“ დირექტორად მუშაობის პერიოდში განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათ-

ვის თავის არიდება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ე. მ-ი სრულად არ ასახავდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემოსავლებს და საგადასახადო სამსახურში წარდგენილ დეკლარაციებსა და ბალანსებში შეჰქონდა ყალბი მონაცემები, რის გამოც შპს „ა-ს“ 2008 წლის 10 ოქტომბრის საგადასახადო შემონმების აქტით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დამატებით დაერიცხა 3 459 439. 18 ლარი, მათ შორის ძირითადი (კუთვნილი) გადასახადი – 2 221 673 ლარი.

შემონმების აქტით გათვალისწინებული თანხების პირად ბარათზე დარიცხვის შესახებ 2008 წლის 12 ნოემბრის ... საგადასახადო მოთხოვნა ე. მ-ს ჩაჰბარდა 2008 წლის 17 ნოემბერს, მაგრამ დარიცხული თანხები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ ორმოცდახუთდღიან გადასახადის გადახდის ვადაში არ გადაიხადა.

3. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 მარტის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ე. მ-ს გაუნახვევრდა იმავე სასამართლოს 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენით სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული ძირითადი სასჯელი – 7 წელი და 6 თვე და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 30 დეკემბრის განკარგულებით ე. მ-ი გათავისუფლდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

5. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 18 თებერვლის განაჩენი 2015 წლის 2 თებერვალს სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ე. მ-მა.

6. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებული ე. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი საფუძველებით: იგი არ იყო შპს „ა-ის“ ფინანსურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ვინაიდან საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 2007 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით სანარმოში დაინიშნა ორი დირექტორი: თვითონ – ე. მ-ი, რომელიც აღიჭურვა საზოგადოების წარმომად-

გენლობითი უფლებამოსილებით და ს. მ-ი, რომელსაც დაეკისრა საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ფინანსურ საქმიანობაში. ამ გადაწყვეტილებით საზოგადოების ფინანსურ საქმიანობაზე სრული პასუხისმგებლობა დაეკისრა სწორედ ს. მ-ს, ხოლო მას არ გააჩნდა შპს „ა-ის“ ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელობის, საფინანსო და საბუღალტრო საქმეებზე ზედამხედველობის, წლიური ბალანსებისა და მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშების შედგენის უფლებამოსილება, ასევე არ ჰქონია კავშირი საკრედიტო ორგანიზაციებსა და საგადასახადო ორგანოებთან.

8. საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა კახაბერ მურადაშვილმა საკასაციო საჩივრის შესაგებლად ითხოვა ე. მ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ე. მ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-მა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლეს მისი დაკმაყოფილება.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა თორნიკე ნადირაძემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 17 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქარელის რაიონულმა სასამართლომ 2001 წლის 4 დეკემბერს სარეგისტრაციო ნომრით – ... დაარეგისტრირა შპს „ა-ი“, რომელიც საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზეა 2001 წლის 5 დეკემბრიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი – ... შპს „ა-ის“ 2007 წლის 28 მაისის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ამავე საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ე. მ-ი, რომელსაც დაეკისრა საზოგადოების ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ხოლო ფინანსურ დირექტორად – ს. მ-ი, რო-

მელსაც დაეკისრა საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ფინანსურ საკითხებში. სამეთვალყურეო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე საგადასახო ინსპექციის 2007 წლის 27 ივნისის ბრძანების საფუძველზე შპს „ა-ის“ სამენარმეო რეესტრის მონაცემებში შევიდა ცვლილება.

3. შპს „ა-ის“ 2007 წლის წესდების მე-8 მუხლის თანახმად: საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს (დირექტორებს), ორი ან ორზე მეტი დირექტორის დანიშვნის შემთხვევაში ისინი ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად უძღვევიან საზოგადოების ხელმძღვანელობას. პარტნიორთა კრებას შეუძლია დანიშნოს დირექტორები, რომლებსაც მიენიჭებათ ცალკეული სფეროს ან განსაზღვრული სახის საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება. დირექტორი პასუხისმგებელია, რომ საზოგადოების საბუღალტრო საქმეები და აღრიცხვა წარმოებდეს საქართველოში მოქმედი საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ე. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შპს „ა-ი“ ის და ს. მ-ი ერთდროულად დაინიშნენ, თვითონ – დირექტორად, ხოლო ს. მ-ი – ფინანსურ დირექტორად. ორივე მათგანს ჰქონდა თანაბარი უფლებამოსილება, იმ განსხვავებით, რომ მას ებარა სამეურნეო საკითხები, ხოლო ს. – ფინანსური. მას არ ჰქონია არანაირი შეხება საზოგადოების ფინანსურ საქმიანობასა და ბუღალტერიასთან და არც საზოგადოების წესდების თანახმად ევალებოდა საწარმოს ფინანსური საქმიანობის წარმოება და კონტროლი.

5. მოწმე მ. კ-ის მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა შპს „ა-ის“ ბუღალტრად. 2007 წლის ივნისის ბოლოს საზოგადოების დირექტორად დაინიშნა ე. მ-ი, ხოლო ფინანსურ დირექტორად – ს. მ-ი. იგი ხელით ავსებდა ფინანსურ დეკლარაციებს, რაზეც ხელს აწერდა ს. მ-ი, ვინაიდან ის იღებდა ფინანსურ გადაწყვეტილებებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ე. მ-ი ჩარეულიყო ფინანსურ საქმეებში. ფინანსური დირექტორი იყო მისი უშუალო უფროსი.

6. მოწმე კ. ლ-ის მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ შპს „ა-ში“ დროებით მუშაობდა ბუღალტრად, სხვა ბუღალტრის დანიშვნამდე. მის მოვალეობაში შედიოდა დოკუმენტების წარმოება, ორისის პროგრამაში მონაცემების ასახვა და ამ ინფორმაციის საფუძველზე საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციის ჩაბარება. მისი უშუალო უფროსი იყო საზოგადოების ფინანსური დირექტორი ს. მ-ი.

7. მოწმე ნ. ლ-ის მიერ სასამართლო განხილვის დროს მიცე-

მული ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა შპს „ა-ის“ ბუღალტრად. მანამდე ბუღალტერი იყო მ. კ-ი. მოწმემ აღნიშნა, რომ ბუღალტერია მან გადაიბარა ვინმე ლ-გან, მაგრამ როგორც დოკუმენტებში ნახა, მთავარი ფიგურა იყო ს. მ-ი. მისი განმარტებით, როცა ორგანიზაციას ჰყავს ფინანსური მენეჯერი ან ფინანსური დირექტორი, ის არის პასუხისმგებელი ფინანსურ საკითხებზე. იმ დროს ფინანსურ საკითხებს ს. მ-ი განაგებდა.

8. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს – გადასახადის გადამხდელი, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი, უცხოელი, ინდივიდუალური მენარმე, იურიდიული პირის ხელმძღვანელი (დირექტორი, მთავარი ბუღალტერი), პირი, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი.

9. საკასაციო პალატას არასწორად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვინაიდან უშუალოდ ე. მ-ს, როგორც შპს „ა-ის“ დირექტორს, ჩაჰბარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2008 წლის 19 სექტემბრის ბრძანება შპს „ა-ის“ საქმიანობის საკონტროლო გავლითი საგადასახადო შემომხების შესახებ, ასევე შემომხების პროგრამა, გადასახადის გადამხდელის უფლებებისა და ვალდებულებების განმარტებითი ბარათი, 2008 წლის 12 ნოემბრის საგადასახადო მოთხოვნა (რასაც არც ე. მ-ი უარყოფს) და ჩაბარების შემდეგ რაიმე განმარტება არ გაუკეთებია, არც პრეტენზია გამოუთქვამს და არც შემომხების აქტი გაუსაჩივრებია, სწორედ ის წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელს, საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს. საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენს არა ის პირი, რომელმაც ჩაიბარა ან საგადასახადო შემომხების პროცესში წარადგინა შემომხებასთან დაკავშირებული სხვადასხვა დოკუმენტაცია, ან გააკეთა ახსნა-განმარტებები აუდიტის სამსახურისათვის საინტერესო საკითხებზე, არამედ ის პირი, რომელიც წარმოადგენდა გადასახადის გადამხდელს. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ საზოგადოების საბუღალტრო დოკუმენტების შედგენას, გადასახადების გამოანგარიშებას, დეკლარირებასა და გადახდაზე კონტროლს აწარმოებდა ე. მ-ი.

10. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ ე. მ-ის მიერ საზოგადოების სახელით განხორციელებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციები დასტურდება შემდეგი ხელშეკრულებებით: შპს „ა-სა“ და „ქ-ს“ შორის 2008 წლის 13 აპრილს დადებული, შპს „ა-სა“ და ამხანაგობა „თ-ს“, ასევე შპს „ქ-ს“ შორის დადებული 2008 წლის 24 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებით, რაც შემდგომში სხვა დოკუმენტებთან ერთად გახდა გადასახადების დამატებითი დარიცხვის ძირითადი საფუძველი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემომითთებულ ხელშეკრულებებს პალატა ვერ მიიჩნევს ე. მ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად, ვინაიდან ამ დოკუმენტებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ე. მ-ი იყო შპს „ა-ის“ ფინანსურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სრულად არ ასახავდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემოსავლებს და საგადასახადო სამსახურში წარდგენილ დეკლარაციებსა და ბალანსებში შეჭქონდა ყალბი მონაცემები. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელს აწერენ როგორც ე. მ-ი, ასევე ს. მ-ი.

11. საკასაციო პალატა ასევე ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ საზოგადოების ბუღალტრები ს. მ-ან ერთად აწარმოებდნენ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას, ისიც მხოლოდ 2008 წლის ივლისამდე, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ე. მ-ს იმავე წლის 25 ივლისს ერთპიროვნულად, როგორც საზოგადოების დირექტორს, გადაეცა სს „ა-ის“ ფასიანი ქაღალდები. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქმის მასალებით ირკვევა, რომ საზოგადოების დირექტორს – ე. მ-ს კი არ გადაეცა სს „ა-ის“ ფასიანი ქაღალდები, არამედ 2008 წლის 10 ოქტომბრის შემონმების აქტის თანახმად, შპს „ს-ის“ 2008 წლის 25 ივლისის „გადასაცემ განკარგულებაზე“ დაყრდნობით დგინდება, რომ 2008 წლის 25 ივლისს შპს „ა-მა“ თავისი კუთვნილი – სს „ა-ის“ 4 130 490 აქცია (თითო აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 1 ლარს) მიჰყიდა გ. მ-ს, რომლის სანაცვლოდ გ. მ-ს გამოექვითა მის მიმართ შპს „ა-ის“ არსებული საკრედიტო დავალიანება. აღნიშნული გარიგების შედეგად იმავე შემონმების აქტის თანახმად: „...სამშემოსავლო გადასახადი თანხით 31 804 ლარი საწარმოს მიერ არ არის დაკავებული გადახდის წყაროსთან და არ არის ჩართული შესაბამისი თვის დეკლარაციაში...“. ასევე გაუგებარია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ შპს „ა-ის“ გადასახადების დარიცხვა (საშემოსავლო, დღგ, მოგება და ა.შ.) ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ე. მ-ი იყო გ. მ-ის ნდობით აღჭურვილი პირი და სწორედ

ამ უკანასკნელისა და მის მიერ დაფუძნებული – სს „ა-სა“ და სს „ქ-ს“ სასარგებლოდ ახორციელებდა საფინანსო-სამეურნეო ოპერაციებს (რომელსაც დირექტორობის პერიოდში ხელს აწერდა და შემონმების პერიოდში ახსნა – განმარტებებს იძლეოდა ე. მ-ი). ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს: მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან შპს „ა-ს“ ჰყავდა ორი დირექტორი, აუცილებელია დადგინდეს არა ის გარემოება, თუ რომელი, ან ვის სასარგებლოდ დადებული გარიგების შედეგად დაერიცხა საზოგადოებას გადასახადები, არამედ ის გარემოება, თუ კონკრეტულად რომელი დირექტორი იყო პასუხისმგებელი, ამ გარიგებების შედეგად საზოგადოებისათვის წარმოშობილი ვალდებულებები კეთილსინდისიერად და სრულყოფილად აესახა საზოგადოების საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტებში. საქმის მასალებში არ მოიპოვება ე. მ-ის მიერ ხელმოწერილი, აგრეთვე საგადასახადო სამსახურში წარდგენილი არანაირი სახის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტი (საზოგადოების ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, ბალანსები და სხვა), რომელიც დაადასტურებდა, რომ სწორედ ე. მ-ი ახორციელებდა საზოგადოების ფინანსურ საქმიანობას.

12. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის (მსჯავრდებულის) მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე.

13. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ე. მ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დაადგინა:

1. მსჯავრდებულ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 სექტემბრის განაჩენი და ე. მ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.
3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ე. მ-ი შეწყალებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.
4. ე. მ-ს განემართოს უფლება საქართველოს სსსკ-ის 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შესახებ.
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა, შენახვა, ტარება

ბანაჩენი
საქართველოს სახელით

№11აპ-16

28 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 ივლისის განაჩენით ზ. გ-ი, –

დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 3 წელი.

2. განაჩენით მსჯავრდებულ ზ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ზ. გ-მ დაუდგენელ ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – 1 ცალი ქარხნული წესით დამზადებული, 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატებისათვის განკუთვნილი ვაზნა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა. 2015 წლის 27 მარტს ზ. გ-ი იმყოფებოდა თბილისში, ... და ... ქუჩების კვეთაზე, რა დროსაც პირადად, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა აღნიშნულ 7,62 მმ კალიბრიან ვაზნას.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. მსჯავრდებულ ზ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი პ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და ზ. გ-ს გამართლებას იმ საფუძველით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ზ. გ-ს ქმედება ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეული ქმედების ნიშნებს ანუ წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ, მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს ანუ გარდაუვალს გახდიდა მისი ჩამდენის პასუხისმგებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, ზ. გ-ს აღიარებითი ჩვენებით, ადმინისტრაციული დაკავებისა და პირადი გასინჯვის ოქმებით,

დათვალიერების ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ზ. გ-მ ჩაიდინა ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები.

3. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას დაცვის მხარის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნავს, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება, რომ, მართალია, ზ. გ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა მის მიერ მხოლოდ ერთი ცალი ვაზნის ტარებაში და, შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული ქმედება ფორმალურად შეიცავს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ აღნიშნულ ქმედებას არ გამოუწვევია არანაირი ზიანი და არ შეუქმნია საფრთხე საზოგადოებრივი უშიშროებისათვის, რაც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის პასუხისმგებლობას.

4. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მოთხოვნა არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა. იგი დამთავრებულად ითვლება მასში ჩამოთვლილი ნებისმიერი ქმედების (შეძენის, შენახვის, ტარების, დამზადების, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღების) ჩადენისთანავე, მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ და მძიმე შედეგის დადგომა არაა საჭირო. მსჯავრდებულის ქმედებას რაიმე ზიანი რომ გამოეწვია, დამატებით დაკვალიფიცირდებოდა ჩადენილი ქმედების შესაბამისად.

5. ამასთან, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ზ. გ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, კერძოდ: ზ. გ-ი არ არის ნასამართლვე, მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომელიც აღიარა – უკანონოდ შეიძინა საბრძოლო მასალა – 1 ცალი ქარხნული წესით დამზადებული ვაზნა და მიაჩნია, რომ შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, სამართლიანი იქნება მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება იმ მიმართებით, რომ მას გამოსაცდელ ვადად დაენიშნოს 1 წელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დაადგინა:

1. მსჯავრდებულ ზ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:
 3. ზ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით და გამოსაცდელ ვადად განესაზღვროს 1 (ერთი) წელი.
 4. პირობით მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი და დახმარება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სამსახურს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

„პოლიციულზე თავდასხმა“-დან ქმედების
გადაკვალიფიცირება „პოლიციის მუშაკის მიმართ
წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის
დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის
შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით“ ქმედებაზე

განაჩენი საქართველოს სახელით

№23აპ-16

27 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ვ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. კ-სა და კ. ვ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ივნისის განაჩენით გ. ვ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 7 სექტემბრიდან.

2. საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები – 3 ცალი CD დისკი, რომლებიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით; გ. ქ-ის მიერ წარდგენილი მაისური, რომელიც ინახება შსს ... თბილისის რაიონული სამმართველოს ... განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

3. განაჩენით მსჯავრდებულ გ. ვ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 7 სექტემბერს, დაახლოებით 04:00 საათზე, თბილისში, ... ქ. №...-ში მდებარე შსს თბილი-

სის მთავარი სამმართველოს ... თბილისის რაიონული სამმართველოს ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ გ. ქ-ს, რომელიც იმყოფებოდა ადმინისტრაციულ შენობაში, ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და იყო ოპერატიული მორიგე, თავს დაესხა ნასვამი გ. ვ-ი, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შემდეგაც მიიძალა.

4. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული გ. ვ-ი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები – მ. კ-ი და კ. ვ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და გ. ვ-ს გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. ვ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. კ-სა და კ. ვ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ვ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ დასტურდება საქმეზე შეკრებილი უტყუარი მტკიცებულებებით.

3. გასაჩივრებული გამატყუებელი განაჩენის მიხედვით გ. ვ-ს მსჯავრდება 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში საფუძვლად უდევს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შემდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

4. მოწმე გ. ქ-ს ჩვენებით, ის არის ... თბილისის ... განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი. 2014 წლის 6 სექტემბერს 09:00 საათიდან იყო განყოფილებაში პასუხისმგებელი მორიგე, მას ევალებოდა მოქალაქეების, განცხადებებისა და შეტყობინებების მიღება, ასევე პოლიციის შენობის გარე პერიმეტრზე ყურადღების მიქცევა. 2014 წლის 7 სექტემბერს, დაახლოებით 04:00 საათზე, ქუჩიდან გაიგო ხმაური, ხოლო კამერების საშუალებით დაინახა სამი გოგონა და ერთი ბიჭი, ეს უკანასკნელი ერთ-ერთი გოგონასკენ იწევდა, ხელს კრავდა. გარეთ გასულმა გ. ქ-მ მათ სინყნარისაკენ მოუწოდა, გოგონამ გ. ვ-ს ასევე უთხრა დაწყნარებულიყო, რადგან პოლიციის შენობასთან

იყვნენ. მამაკაცის აგრესიულობის მიუხედავად, გ. ქ-ე დაბრუნდა ოთახში, თუმცა მალევე შევიდა მასთან თ. ნ-ი, გაეცნო მას და უთხრა, რომ გ. ვ-მ წაართვა მობილური ტელეფონი, შემდეგ შევიდა გ. ვ-ი და გ. ქ-ს მიმართა შეურაცხყოფელი სიტყვებით და დაუნყოფა ჯაჯგური, რა დროსაც მას მაისური გაეხა. შენობაში კიდევ ორი გოგონა შევიდა, გ. ქ-მ ვერ მოახერხა გ. ვ-ს დაკავება, რადგან ის გაექცა. გოგონები ცდილობდნენ გაშველებას, თუმცა მან რადიოსადგურის საშუალებით შეტყობინება გადასცა დამხმარე ჯგუფს, რომელმაც შემდეგ გარეთ დააკავა გ. ვ-ი. მოწმემ დაადასტურა, რომ პოლიციის შენობაში შესული გ. ვ-ი მას დაემუქრა სამსახურის დაკარგვით, ასევე სწვდა საყელოში, რა დროსაც მან ტკივილი განიცადა, ასევე ჯაჯგურში გაეხა მაისური. მოწმის განმარტებით, მან ხელი გაართყა, რათა გამოეფხიზლებინა ნასვამი გ. ვ-ი.

5. მოწმე თ. ნ-ს ჩვენებით, 2014 წლის 7 სექტემბერს ლამის კლუბში იყო გ. ვ-თან, ფ. ფ-თან და მ. რ-თან ერთად. ცოტა დალიეს, თუმცა გ. ვ-ი ლამის კლუბში მისვლამდე უკვე ნასვამი იყო. ლამის კლუბიდან წავიდნენ ტაქსით ფ. ფ-ს სახლისკენ. ის და მისი შეყვარებული გ. ვ-ი შეკამათდნენ, თ. ნ-ს მობილურ ტელეფონში შესული მოკლე ტექსტური შეტყობინების გამო, რომელიც მან არ აჩვენა გ. ვ-ს. აღნიშნულის გამო კი გ. ვ-მ იეჭვიანა. ისინი გადმოვიდნენ ტაქსიდან და ფეხით გააგრძელეს გზა, პოლიციის შენობასთან თ. ნ-ი და გ. ვ-ი კამათობდნენ, გ. ვ-მ მას ტელეფონი გამოართვა. მათი კამათის დროს პოლიციელმა დაიძახა, რომ სხვაგან ეყვირათ, რადგან იქ ხალხი ცხოვრობდა და გვიანი იყო. თ. ნ-ი შევიდა პოლიციის შენობაში და მორიგეს სთხოვა მობილური ტელეფონის სიმბარათის დაბრუნება, რაზეც პოლიციელმა უთხრა, რომ თავად მორიგებულები იყვნენ. სწორედ ამ დროს შენობაში შევიდა გ. ვ-ც, პოლიციელის დანახვაზე ის დაიბნა და კართან გაჩერდა. პოლიციელმა დაუყვირა, თუ რატომ შევიდა პოლიციის შენობაში, ხელი ჩაავლო და უნდოდა დაკავება, გ. ვ-ი გარეთ გასვლას ცდილობდა. მოწმემ დაადასტურა, რომ გ. ვ-ს პოლიციელისათვის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია, პირიქით, პოლიციელი იგინებოდა და სწორედ თ. ნ-ი და მ. რ-ი მოუწოდებდნენ დამშვიდებისაკენ, გ. ვ-საც პოლიციელმა დაართყა.

6. მსჯავრდებულ გ. ვ-ს ჩვენებით, ის და თ. ნ-ი იმყოფებოდნენ ლამის კლუბში, სადაც მან იეჭვიანა, შემდეგ თ. ნ-ს მიუვიდა მოკლე ტექსტური შეტყობინება, რის გამოც მან უფრო მეტად იეჭვიანა, რადგან მიღებული შეტყობინება თ. ნ-მ მას არ აჩვენა. ლამის კლუბიდან ტაქსით წავიდნენ ფ. ფ-ს სახლისკენ, სადაც

უნდა დარჩენილიყო თ. ნ-ი. გზად გ. ვ-ი და თ. ნ-ი კვლავ კამათობდნენ, რა დროსაც ამ უკანასკნელს წამოუვიდა ცრემლები, რადგან გ. ვ-ს მისი არ სჯეროდა. აღნიშნულზე გალიზიანდა გ. ვ-ი, გადავიდა ტაქსიდან და ბანკომატს დაარტყა ხელი. მობილური ტელეფონი გამოართვა თ., შეტყობინებები ვერ იპოვა და უთხრა, რომ დაუბრუნებდა მაშინ, როცა შეტყობინების ავტორი დარეკავდა. შემდეგ პოლიციელმა დაუძახა, რომ არ ეხმაურა. გალიზიანებული გ. ვ-ი მივიდა მასთან და უთხრა, რომ მის ცოლს ეკამათებოდა და რა უნდოდა, რის შემდეგაც გამობრუნდა, თუმცა ველარ დაინახა თ. და დაბრუნდა უკან, შემდეგ დაინახა, რომ თ. ნ-ი უცნობს ესაუბრებოდა პოლიციის შენობაში, რაზეც მან იფიქრა, რომ ფაქტზე უნდა დაეჭირა უცნობთან. აღნიშნულის გამო შევიდა პოლიციის განყოფილებაში, რა დროსაც პოლიციელი წამოდგა და ხელები დაუჭირა, ქამარში ჩაავლო ხელი და სახეში გაარტყა. გ. ვ-ს შარვლის საქამრეები განყდა და ისიც გაიქცა გარეთ. მსჯავრდებულმა დაადასტურა, რომ მას გააზრებული ჰქონდა, რომ გ. ქ-ე პოლიციელი იყო. გაქცევისას პოლიციელი გინებით გაჰყვა, რის გამოც გ. ვ-მ დაუძახა, რომ არ შეარჩენდა და სამსახურში არ გააჩერებდა. შემდეგ გ. ვ-ი მივიდა ფ. ფ-ს სახლში, თ. სახლში არ დახვდა, რის გამოც გავიდა გარეთ, რა დროსაც პოლიციამ დააკავა.

7. მოწმეების – ბ. ჭ-სა და გ. თ-ს ჩვენებებით, ისინი არიან ... თბილისის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებლები. 2014 წლის 7 სექტემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაახლოებით 04:00 საათზე, რადიოგადამცემით ოპერატიულმა მორიგემ გ. ქ-მ ითხოვა დახმარება. მისვლისას მორიგემ უთხრა, რომ მას თავს დაესხა უცნობი პიროვნება და მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, აღწერა ასევე პიროვნების აღნაგობა და ჩაცმულობა. გამომძიებლებს მსგავსი პიროვნება მანამდე დანახული ჰყავდათ ... ქუჩაზე გოგოებთან ერთად. რამდენიმე წუთში გ. ვ-ი დააკავეს ბ. ჭ-მ და გ. თ-მ ... ქუჩა №...-თან. დაკავების დროს გ. ვ-მ გაუწია წინააღმდეგობა, პოლიციის მიმართ იყო აგრესიული. მოწმე გ. თ-მ ასევე განაცხადა, რომ, როგორც წესი, ოპერატიულ მორიგეს აცვია პოლიციის ფორმა, ასევე მათ ეცვათ ფორმები. პოლიციის განყოფილება მდებარეობს ... და ... ქუჩების კუთხეში, შესასვლელიდან ხელმარცხნივ არის წარწერა „პოლიცია“, პოლიციის შენობაზე ზევით არის დიდი აბრა წარწერით – „პოლიცია“, რომელიც მუდმივად განათებულია.

8. მოწმე ფ. ფ-ს ჩვენებით, გ. ვ-ი არის მისი შორეული ნათესავის – თ. ნ-ს შეყვარებული. 2014 წლის 7 სექტემბერს ფ. ფ-ი,

თ. ნ-ი, მ. რ-ი და გ. ვ-ი იმყოფებოდნენ კლუბში, დალიეს ალკო-ჰოლური სასმელი, დაახლოებით 4-5 ჭიქა. იქიდან წამოვიდნენ დაახლოებით 03:00 საათზე. გოგოები აპირებდნენ ფ. ფ-ს სახ-ლში დარჩენას, მანამდე კი მათ გ. ვ-ი უნდა გაეცილებინათ სახ-ლში, რადგან ის იყო ნასვამი. ტაქსში თ. და გ. ვ-ს მოუვიდათ შელაპარაკება, რის გამოც ჩამოვიდნენ ტაქსიდან. ჩხუბის დე-ტალები მოწმეს არ ახსოვს, თუმცა საუბარი იყო სიმბარათზე, რომლის დაბრუნებასაც თ. ნ-ი სთხოვდა გ. ვ-ს. ჩხუბი მოხდა ... და ... ქუჩების კუთხეში. გ. ვ-ი გახდა ცუდად, რის გამოც ფ. ფ-ი ავიდა სახლში წყლის ასაღებად, სწორედ ამ დროს უნდა შესუ-ლიყვნენ პოლიციის შენობაში, რაც მოწმისათვის უცნობია. მისი ჩამოსვლისას კი მეგობრები რამდენიმე მეტრით სხვაგან იდ-გნენ და საუბრობდნენ ჩვეულებრივად. მოწმემ დაადასტურა, რომ პოლიციის შენობიდან გამოვიდა პიროვნება და მათ მიმარ-თა არ ეხმაურათ. სიბნელები მან ვერ გააჩნია აღნიშნული მამა-კაცი იყო თუ არა პოლიციელი. ამის შემდეგ თ. ნ-ი შევიდა პოლი-ციის შენობაში, რა დროსაც ფ. ფ-ი იქვე მდებარე მის საცხოვ-რებელ სახლში იყო ასული. ის პოლიციის შენობაში მოგვიანე-ბით მივიდა, ამ დროს პოლიციელი უკვე ცდილობდა გ. ვ-ს დაკა-ვებას, როდესაც გ. ვ-ი გამოდიოდა სამორიეგო ნაწილიდან, ამი-ტომ სამორიეგოში რა ხდებოდა, მისთვის უცნობია. გ. ვ-ს წინა-აღმდეგობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ის ცდილობდა, არ დაე-კავებინათ და თავი გაეთავისუფლებინა. მოწმემ დაადასტურა, რომ დაძაბული სიტუაციის გამო ვერ იხსენებს პოლიციის თა-ნამშრომელს ეცვა თუ არა ფორმა.

9. მოწმე მ. რ-ს ჩვენებით, თ. ნ-ი არის მისი დეიდაშვილი, ხო-ლო ბრალდებული გ. ვ-ი – დეიდაშვილის შეყვარებული. 2014 წლის 7 სექტემბერს გ. ვ-თან, თ. ნ-სა და ფ. ფ-თან ერთად იმყო-ფებოდა ... ქუჩაზე ლამის კლუბში, საიდანაც გოგონები მსუბუ-ქად ნასვამები, ხოლო გ. ვ-ი საკმაოდ ნასვამი ტაქსით მიდიოდა ფ. ფ-ს სახლში. მოწმემ დაადასტურა, რომ შეყვარებულებს შო-რის კამათი დაიწყო ეჭვიანობის ნიადაგზე, მას შემდეგ, რაც თ. ნ-ს მობილურ ტელეფონზე შევიდა მოკლე ტექსტური შეტყო-ბინება. მოწმემ დაადასტურა, რომ ფიზიკურ შეურაცხყოფას ად-გილი არ ჰქონია, გაბრაზებული გ. ვ-ი ხელეზს იქნევდა და ბოძს არტყამდა, ამასთან, ის ორჯერ გახდა ცუდად და გული წაუვი-და. ტელეფონი გამოართვა გ. ვ-მ თ. ნ-ს, კამათი იყო პოლიციის შენობიდან ოდნავ მოშორებით, რამდენიმე მეტრში. პოლიციის შენობიდან გამოსულმა პოლიციის თანამშრომელმა მიმართა მათ, რომ არ ეხმაურათ, თუმცა კამათი მაინც გრძელდებოდა. მოწმემ დაადასტურა, რომ ამ დროისათვის მან ვერ გააცნობიე-

რა, რომ აღნიშნული პიროვნება იყო პოლიციელი. თ. ნ-ი შევიდა პოლიციის შენობაში, რაც ვერ შეამჩნია გ. ვ-მ, თუმცა მალევე პოლიციის შენობაში დაინახეს თ. ნ-ი, რომელიც ესაუბრებოდა უცნობ მამაკაცს, რის გამოც შენობაში შევიდა გ. ვ-ი, მას შეჰყვა მ. რ-ც. გ. ვ-ი მიხვდა რა, რომ იყო პოლიციის შენობაში, დააპირა უკან გამობრუნება, თუმცა მასთან მივიდა პოლიციელი და დააპირა დაკავება. მონემ დაადასტურა, რომ გ. ვ-ს პოლიციელისათვის არ მიუყენებია არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა, თუმცა პოლიციელმა მას მიაყენა როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური შეურაცხყოფა.

10. მონემ თ. ს-ს ჩვენებით, ის არის ... თბილისის სამმართველოს ... განყოფილების უფროსის მოადგილე. 2014 წლის 7 სექტემბერს იმყოფებოდა სამსახურში. ჯგუფების შემონმების დროს რადიოგადამცემზე დაუკავშირდა პასუხისმგებელი მორიგე – გ. ქ-ე და ითხოვა დახმარება. მონემ დაადასტურა, რომ მან გამოძიებას მიაწოდა ვიდეომასხველი დისკები, მათ შორის 13 ოქტომბრის ვიდეოში ასახულია ... ქუჩაზე მდებარე პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორია, რა დროსაც ... ქუჩაზე იმყოფებოდა ერთი მამაკაცი და სამი გოგონა.

11. მონემ გ. პ-ს ჩვენებით, ის არის ... თბილისის სამმართველოსგანყოფილების გამომძიებელი და მან გამოძიდა სისხლის სამართლის საქმე გ. ვ-ს მიმართ. მან ჩაატარა საგამომძიებო მოქმედებები, კერძოდ, დაკითხა მონემები, დაათვალიერა ვიდეოჩანაწერები და მაისური. გ. ქ-ს მაისურს დაზიანება ჰქონდა მარცხენა ილიაში, მკლავის არეში იყო გახეული. დათვალიერებულ ვიდეო ჩანაწერში აღბეჭდილია მე-..... განყოფილების შემოსასვლელი ფოიე და მორიგის ოთახი, სადაც შედის თ. ნ-ი, რომელიც ესაუბრება მორიგეს. დაახლოებით ერთ წუთში პოლიციის განყოფილებაში შერბის გ. ვ-ი, რომელიც შერბის მორიგის ოთახში და როგორც გ. ქ-ს ჩვენებიდან ჩანს, აყენებს მას სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. გ. ქ-ე ცდილობს მის დაკავებას, ჭიდაობა გრძელდება შემოსასვლელის ფოიეში, გოგონები აშველებენ, გ. ვ-ი ახერხებს პოლიციის შენობიდან გაქცევას, რის შემდეგაც გ. ქ-ე რადიოგადამცემის მეშვეობით იძახებს დამხმარე ჯგუფს. როგორც გამომძიებით გაირკვა, თანხლები პირები არიან – ფ. ფ-ი და მ. რ-ი. პოლიციის მიმდებარე ტერიტორია განათებულია გარე განათებით, ასევე განათებულია წარწერა „პოლიცია“.

12. სასამართლო სხდომაზე გ. ქ-ს მაისურის დათვალიერებით დადგენილია, რომ აღნიშნული მაისური მარცხენა სახელოს ილიასთან არის დაზიანებული.

13. ვიდეოფირების დათვალიერებით დადგენილია, რომ გ. ვ-ი პოლიციის შენობაში შევიდა სწრაფი ნაბიჯებით, იგი შევარდა სამორიგეო ნაწილში, სადაც მოხდა ფიზიკური კონტაქტი, მაგრამ კონკრეტულად პირველმა ვინ დაიწყო ეს ფიზიკური შეხება და როგორ გრძელდებოდა სამორიგეო ოთახში, ეს კარგად არ ჩანს. პოლიციის თანამშრომელ – მორიგე გ. ქ-სა და გ. ვ-ს შორის კონტაქტის გაგრძელება პოლიციის განყოფილების ფოიეში უკვე კარგად ჩანს ვიდეოფირში, რა დროსაც პოლიციელი ცდილობდა გ. ვ-ს დაკავებას, თუმცა გ. ვ-მ წინააღმდეგობის გაწევის შედეგად შეძლო გაქცევა, ხოლო გ. ქ-ე კი რადიოგადამცემის საშუალებით დაუკავშირდა დამხმარე ჯგუფს.

14. 2014 წლის 7 სექტემბრის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერდა გ. ქ-ს მიერ ნებაცხოვლობით წარდგენილი მაისური, რომელსაც მარცხენა იღლიისა და იღლიის ქვედა ნაწილში აღენიშნებოდა დაზიანება.

15. 2014 წლის 8 სექტემბრის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერდა თ. ს-ს მიერ ნებაცხოვლობით წარდგენილი ვიდეოჩანანერი, რომელზეც დაფიქსირებულია ... თბილისის სამმართველოს ... განყოფილების შესასვლელი ფოიე, ვიდეოჩანანერი ასახავს 2014 წლის 7 სექტემბრის 04:11-04:15 საათების შუალედს. კადრში 04:13 საათზე სამორიგეო ნაწილის ფანჯრიდან მოჩანს გ. ქ-სა და განყოფილებაში სწრაფი ნაბიჯით შესულ მამაკაცს შორის კონფლიქტი, რომლებიც რამდენიმე წამში გადაიან ფოიეში და აგრძელებენ ჭიდაობას. გ. ქ-ე ცდილობს პიროვნების დაკავებას, რომელიც უწევს წინააღმდეგობას. გოგონები ცდილობენ გააშველონ ისინი. 04:13:45 საათზე ახალგაზრდა მამაკაცი ახერხებს პოლიციის შენობიდან გაქცევას, რომელსაც უკან მიჰყვებიან თანმხლები გოგონები.

16. 2014 წლის 13 ოქტომბრის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერდა თ. ს-ს მიერ ნებაცხოვლობით წარდგენილი ... თბილისის სამმართველოს ... განყოფილების ადმინისტრაციული შენობის გარე პერიმეტრის სათვალთვალ კამერების ვიდეოჩანანერები, სადაც 04:08 საათზე კადრში ჩნდება თ. წ-ი, რომელიც მოძრაობს ... ქუჩის მიმართულებით, სადაც იგი უერთდება გ. ვ-ს და მის თანმხლებ გოგონას, რა დროსაც მათ შორის წარმოიშვება კონფლიქტი. გ. ვ-ი გამოხატავს მის მიმართ აგრესიას, თანმხლები გოგონა კი აშველებს მას და ექაჩება გ. მაისურზე. 04:09 საათზე პოლიციის შენობიდან გამოდის გ. ქ-ე და მიმართავს მათ, სამივე ახალგაზრდა მიდის გ. ქ-თან, რა დროსაც გ. ვ-ი არის აგრესიული, რის გამოც თ. წ-ი და თანმხლებ-

ბი გოგონა დგებიან გ. და გ. შორის და ამშვიდებენ გ. ვ-ს. რამდენიმე წამის შემდეგ გ. ვ-ი გაეცლება გ. ქ-ს, ეს უკანასკნელი კი ბრუნდება პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში. მოგვიანებით თ. წ-ი შედის პოლიციის შენობაში, ხოლო გ. ვ-ი და თანმხლები გოგონები – ფ. ფ-ი და მ. რ-ი რჩებიან პოლიციის შენობის მოპირდაპირედ. რამდენიმე წამში გ. ვ-ი სწრაფი ნაბიჯით შერბის პოლიციის შენობაში, ცოტა ხნის შემდეგ კი იგი გამორბის პოლიციის შენობიდან, მას უკან მოჰყვებიან გოგონები, ხოლო გ. ქ-ე რადიოსადგურით უკავშირდება მორიგე ჯგუფს. მორიგე ჯგუფის მისვლის შემდეგ გ. ვ-ი მირბის ... ქუჩის მიმართულებით, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლები მისდევენ მას დაკავების მიზნით.

17. 2014 წლის 8 სექტემბრის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერდა თ. ს-ს მიერ ნებაყოფლობით წარდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება გ. ქ-ს ... თბილისის სამმართველოს ... განყოფილებაში დანიშვნასა და იმავე განყოფილების მორიგეობის გრაფიკს, სადაც აღნიშნულია, რომ 2014 წლის 6 სექტემბერს ოპერატიული მორიგე იყო გ. ქ-ე, ხოლო სამუშაო გრაფიკი იწყება 09:00 საათიდან მომდევნო დღის 09:00 საათამდე.

18. 2014 წლის 10 სექტემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს თბილისში, ... ქუჩა ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე და ასევე ამ მისამართზე მდებარე პოლიციის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელ ფოიეში. შენობის სახურავზე განლაგებულია ქართულ და ინგლისურ ენაზე შესრულებული 2 აბრა წარწერებით – „პოლიცია“, „POLICE“ ასევე – პოლიციის ლოგო.

19. 2014 წლის 8 სექტემბრის დაზარალებულად ცნობის დადგენილებით დადგენილია, რომ დაზარალებულად იქნა ცნობილი გ. ქ-ე, მას მიყენებული აქვს ქონებრივი და მორალური ზიანი, კერძოდ: სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავს დაესხა გ. ვ-ი და მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

20. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებულ გ. ქ-ს ჩვენებაში მითითებული გარემოება, რომ გ. ვ-ი მას თავს დაესხა, არ დასტურდება საქმის მასალებით. თავდასხმის ფაქტი დასტურდება მხოლოდ გ. ქ-ს მიერ მიცემული ჩვენებით, ხოლო ვიდეოფირების დათვალიერების ოქმით, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარგად არ ჩანს, გ. ვ-ს სამორიგეო ოთახში შესვლის დროს იქ განვითარებული მოვლენები. მხოლოდ დაზარალებულ გ. ქ-ს ჩვენება კი არ არის საკ-

მარისი გ. ვ-ს საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დამნაშავედ ცნობისათვის.

21. რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. ვ-ს განმარტებას, – რომ იგი შევიდა პოლიციის განყოფილებაში, რადგან დაინახა, რომ თ. წ-ი უცნობს ესაუბრებოდა პოლიციის შენობაში, რაზეც მან იფიქრა, რომ ფაქტზე უნდა დაეჭირა იგი და ამ დროს პოლიციელი ნამოდგა, ხელეები დაუჭირა, ქამარში ჩაავლო ხელი, სახეში გაარტყა და მათ შორის დაიწყო ჩხუბი, – უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებით, მართალია, უტყუარად დადგენილია, რომ სამორიგეო ნაწილში მოხდა ჩხუბი, მაგრამ როგორ განვითარდა ეს ჩხუბი, ამასთან დაკავშირებით, ზემომითითებულ მოწმეთა ჩვენებებიდან გამომდინარე, არსებობს სხვადასხვა ვერსია.

22. ამდენად, საქმეში არსებობს წინააღმდეგობრივი ჩვენებები. ის, რომ გ. ვ-ი თავს დაესხა პოლიციელს, არის მხოლოდ ეჭვი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

23. რაც შეეხება საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, უტყუარად დადასტურებულია, რომ პოლიციის თანამშრომელს – გ. ქ-ს სურს გ. ვ-ს დაკავება, ხოლო იგი არ ემორჩილება, უწევს წინააღმდეგობას და ცდილობს გაქცევას, კერძოდ:

24. მოწმე გ. ქ-ს ჩვენებით, გ. ვ-მ მას მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით და დაუწყო ჯაჯგური, რა დროსაც მაისური გაეხა. შენობაში კიდევ ორი გოგონა შევიდა. გ. ქ-მ ვერ მოახერხა გ. ვ-ს დაკავება, რადგან ის გაექცა. გოგოები ცდილობდნენ გაშველებას, თუმცა მან რადიოსადგურის საშუალებით შეტყობინება გადასცა დამხმარე ჯგუფს, რომლის წევრებმაც შემდეგ გარეთ დააკავეს გ. ვ-ი. მოწმემ დაადასტურა, რომ პოლიციის შენობაში შესული გ. ვ-ი მას დაემუქრა სამსახურის დაკარგვით, ასევე სწვდა საყელოში, რა დროსაც მან ტკივილი განიცადა, ასევე ჯაჯგურში გაეხა მაისური. მოწმის განმარტებით, მან ხელი გაარტყა, რათა გამოეფხიზლებინა ნასვამი გ. ვ-ი.

25. მსჯავრდებულ გ. ვ-ს ჩვენებით, მაშინ, როდესაც იგი შევიდა პოლიციის განყოფილებაში, პოლიციელი ნამოდგა და ხელეები დაუჭირა, ქამარში ჩაავლო ხელი და სახეში გაარტყა. გ. ვ-ს შარვლის საქამრეები განყდა და ისიც გარეთ გაიქცა. მსჯავრდებულმა დაადასტურა, რომ მას გააზრებული ჰქონდა, რომ გ. ქ-ე პოლიციელი იყო. გაქცევისას პოლიციელი გინებით გაჰყვა, რის გამოც გ. ვ-მ დაუძახა, რომ არ შეარჩენდა და სამსახურში არ გააჩერებდა.

26. დაზარალებულ გ. ქ-ს ჩვენებაში მითითებული გარემოება, რომ გ. ვ-ი უწევდა წინააღმდეგობას, დაუხია მაისური და არ აძლევდა საშუალებას, რომ დაეკავებინა პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, დასტურდება არა მარტო გ. ქ-ს ჩვენებით, არამედ – ვიდეოფირების დათვალიერების ოქმებითაც, საიდანაც ნათლად ჩანს, როგორ უწევდა წინააღმდეგობას გ. ვ-ი გ. ქ-ს.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა გ. ვ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ: პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, რის გამოც მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

28. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის პიროვნების, მისი წარსული ცხოვრების მხედველობაში მიღებით, მსჯავრდებულ გ. ვ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ვ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – მ. კ-სა და კ. ვ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. მსჯავრდებულ გ. ვ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 353¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 353-ე მუხ-

ლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდოს ჯარიმა – 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით.

4. მსჯავრდებულ გ. ვ-ს პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაენყო დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 7 სექტემბრიდან), საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდოს ჯარიმა – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით.

5. მსჯავრდებული გ. ვ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

6. საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები – 3 ცალი CD დისკი, რომლებიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით; გ. ქ-ს მიერ წარდგენილი მაისური, რომელიც ინახება შსს ... თბილისის რაიონული სამმართველოს ... განყოფილებაში, დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცენი

სისხლის სამართლის საპროცენო კანონმდებლობის მოქმედების სფერო

კანონის ანალოგიის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

ბანაჩენი საქართველოს სახელით

№293აპ-14

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განაჩენით ლ. ა-ი, – დაბადებული 19... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი; სსკ-ის 120-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ლ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 11 ივნისიდან.

2. განაჩენით ლ. ა-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა გამოიწვია და 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 11 ივნისს, დაახლოებით 02.30 საათზე, 19... წლის

დაბადებული, 21 წელს მიუღწეველი ლ. ა-ი გ-ის №...-ში მდებარე დისკო-კლუბ „...“ ეზოში ატარებდა ცივი იარაღს, დანას.

იმავე დღეს, დაახლოებით 02.30 საათზე, იმავე კლუბის ეზოში ლ. ა-მა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით – ცივი იარაღის – დანის გამოყენებით მ. კ-ეს მიაყენა გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში, პლევრის ღრუში შემავალი ჭრილობა, ხოლო ზ. თ-ეს ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, მისი ხანმოკლე მოშლით, დუნდულისა და ბარძაყის არეში – ნაკვეთი ჭრილობების სახით. დაჭრილი მ. კ-ე განუვლი სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ა-ა. იგი ითხოვდა მხოლოდ სსკ-ის 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლასა და სასჯელის შემსუბუქებას.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ჯარიმა 1000 ლარი, რომლის მოხდისგანაც გათავისუფლდა საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად; სსკ-ის 120-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ლ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 11 ივნისიდან.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. ა-მა და მოითხოვა სსკ-ის 19,108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული ქმედებისათვის კვალიფიკაციის შეცვლა და სასჯელის შემსუბუქება ამ ნაწილში, ხოლო სსკ-ის 238¹-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში კი როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო საჩივრებით არ გაუხდია სადავოდ გამამტყუნებელი განაჩენი.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით შე-

ჩერდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს:

ა) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას, გაამართლოს პირი, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს.

ბ) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასა და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა, სახეზე იყოს ისეთი პირის მსჯავრდება, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634 გადაწყვეტილებით: არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №633 და №634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი; შეწყდა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს №634 კონსტიტუციური წარდგინების იმ ნაწილზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტსა და 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით სადავოდ ხდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას, რომელიც გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლოა, სახეზე იყოს ისეთი პირის მსჯავრდება, რომლის მიერ ჩადენილი ქმედება განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით გა-

ნახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მსჯავრდებულის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, ლ. ა-ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ფოტოტაბულით, დათვალიერებისა და დალუქვის ოქმებით, სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული ჩანაწერებით, მ. კ-სა და ზ. თ-ის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, ტრასოლოგიური, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებით, ლ. ა-ის მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმითა და ფოტოტაბულით, ამოღებული ნივთებით, ლ. ა-ის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, დაზარალებულების – მ. კ-სა და ზ. თ-ის ჩვენებებით, მოწმეების: თ. ა-ის, მ. ა-ს, გ. პ-ს, ნ. ჭ-ს, მ. ბ-ს, ე. დ-ს, დ. შ-ს ჩვენებებით, დ. შ-ს, მ. ბ-სა და თ. ა-ს მიერ ლ. ა-ის ამოცნობის ოქმებითა და სხვა წერილობითი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მისთვის საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და სსკ-ის 120-ე მუხლით შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები დადასტურებულია.

3. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ მსჯავრდებულს, საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულმა ლ. ა-მა მოცემული მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა 2013 წლის 11 ივნისს, რა დროსაც ამ დანაშაულის 1-ლი ნაწილის შემადგენლობას გვაძლევდა – 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

4. 2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნა-

წილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლევა ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არა აქვს პირის ასაკს. ვინაიდან, მსჯავრდებული ლ. ა-ი ახალი კანონის თანახმად, არ იყო განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის და არც ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით ლ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №633 და №634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია კი უგულებელყოფდა სასამართლოს შესაძლებლობას, შეენწყვიტა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენდა.

6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, მითითებულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ჩადენის დროს დანაშაულად ითვლებოდა და ახალი კანონით მოხდა მისი დეკრიმინალიზება, აღნიშნულ სამართლებრივ საკითხს კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს, რაც წარმოადგენს ხარვეზს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დასაშვებია

გამოყენებულ იქნეს კანონის ანალოგია, კერძოდ, სსკ-ის 105-ე მუხლი და შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული საკასაციო საჩივრით ითხოვს კვალიფიკაციისა და სასჯელის შეცვლას მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილების მხედველობაში მიღებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულ ლ. ა-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდში. განაჩენი დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენში:

– მსჯავრდებულ ლ. ა-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდში.

– მსჯავრდებული ლ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 120-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ლ. ა-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. მსჯავრდებულ ლ. ა-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავე-

ბის დღიდან – 2013 წლის 11 ივნისიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონის ანალოგიის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

განაჩენი საქართველოს სახელით

№81აგ-14

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ძ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის განაჩენით გ. ძ-ე, – დაბადებული 19... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 273-ე მუხლითა და სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მიესაჯა 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით შეიცვალა, კერძოდ:

გ. ძ-ე (საპროცესო შეთანხმებით) ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, სსკ-

ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3000 ლარი. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები; სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ჯარიმა 2000 ლარი; სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და გ. ძ-ის მოსახდელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარი. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა გ. ძ-ის მიმართ 2012 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული და 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – 9 თვე. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ძ-ის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები. გ. ძ-ის სასჯელის ვადა აეთვალა 2013 წლის 12 მაისიდან.

3. მსჯავრდებულმა გ. ძ-ემ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა შემდეგი საფუძველით: მას გადასასინჯი განაჩენით სსკ-ის 260-ე და 273-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ერთად მსჯავრი დაედო ამავე კოდექსის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებისათვის. საქართველოს სსკ-ის აღნიშნულ მუხლში 2013 წლის 11 დეკემბერს შესული ცვლილებით ქმედება, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აღარ წარმოადგენს დანაშაულს, რის გამოც ის უნდა გა-

მართლდეს სსკ-ის 238¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და, შესაბამისად, უნდა მოეხსნას ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი ჯარიმა – 2000 ლარი.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის განაჩენით გ. ძ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში, კერძოდ: გ. ძ-ე სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2000 ლარი ჯარიმის მოხდისაგან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებულმა გ. ძ-ემ საკასაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა რეალურად და არა-ფორმალურად, კერძოდ: უდანაშაულოდ ცნობა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში და ამავე დანაშაულისათვის გადახდილი ჯარიმის – 2000 ლარის დაბრუნება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მარტის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. ძ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს:

ა) საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას, გაამართლოს პირი, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენს.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №633 და №634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 აპრილის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ გ. ძ-ის საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქართველოს სსკ-ის 314-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. ძ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალების მიხედვით, გ. ძ-ეს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ნასამართლვეი პირის მიერ ცივი იარაღის ტარებაში (ახევე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 273-ე მუხლით).

3. 2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლევა ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახდელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არა აქვს წარსულში ნასამართლობას.

4. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენში შევიდა ცვლილება: გ. ძ-ე, საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის – 2000 ლარი ჯარიმის მოხდისაგან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №633 და №634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია კი უგულებელყოფდა

სასამართლოს შესაძლებლობას, შეენწყვიტა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენდა.

6. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, მითითებულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ჩადენის დროს დანაშაულად ითვლებოდა და ახალი კანონით მოხდა მისი დეკრიმინალიზება, აღნიშნულ სამართლებრივ საკითხს კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს, რაც წარმოადგენს ხარვეზს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს კანონის ანალოგია, კერძოდ, სსკ-ის 105-ე მუხლი და შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ცვლილება უნდა შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 ივლისის განაჩენში შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულ გ. ძ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდში.

8. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკისრებული და გადახდილი ჯარიმის – 2000 ლარის დაბრუნების თაობაზე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით მოცემული მუხლით დანიშნული სასჯელი ჯარიმა – 2000 ლარი, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შთანთქა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთამ და ამავდემუხლით დანიშნულმა დამატებითმა სასჯელმა, ჯარიმამ – 3000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკისრებული ჯარიმა – 2000 ლარი მსჯავრდებულს არ ჰქონია გადახდილი, რის გამოც საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილში ვერ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“

ქვეპუნქტით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ძ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ძ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ეპიზოდში.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 8 ივლისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კანონის ანალოგიის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№64აპ-16

28 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მათა ჯაბუას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით რ. მ-ე, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლო-

ბის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 3711-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გაუქმდა რ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით შეტანილ – ე. მ-ს (პ/ნ ...), ვ. მ-ს (პ/ნ ...), მ. მ-ს (პ/ნ ...), მ. მ-ს (პ/ნ ...), ო. მ-ს (პ/ნ ...), ო. მ-სა (პ/ნ ...) და რ. მ-ს (პ/ნ ...) თანასაკუთრებაში არსებულ, ქ. ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი – ...) უნდა მოეხსნას ყადაღა და დაუბრუნდეს მესაკუთრეებს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში; ასევე უნდა გაუქმდეს რ. მ-ს მიმართ გამოყენებული პასპორტის, პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გამოძიების ორგანოში ჩაბარებისა და გამოძიების მწარმოებელ ორგანოში ორ კვირაში ერთხელ გამოძიების მიერ განსაზღვრულ დროს გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება.

ნივთიერი მტკიცებულება – 1 DVD-R დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმესთან ერთად მისი შენახვის ვადით.

2. აღნიშნული განაჩენით რ. მ-ეს მსჯავრი დაედო მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლაში, რაც გამოიხატა მონშის მიერ არსებითად ურთიერთსაინანაღმდეგო ჩვენების მიცემაში, კერძოდ:

2015 წლის 25 ივნისს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ი. ჭ-სა და გ. ჭ-ას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მონშის სახით დაკითხულმა რ. მ-ემ არ დაადასტურა მის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენება.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მათა ჯაბუამ და ითხოვა მსჯავრდებულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორი მათა ჯაბუა საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებმა ბოლო პერიოდში მზარდი ხასიათი მიიღო და მსჯავრდებულ რ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, ითხოვს მისთვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას – თავისუფლების აღკვეთის სახით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 18 დეკემბრის კანონით, რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 20 თებერვლიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა სსკ-ის 371¹-ე მუხლი, რითაც განხორციელდა ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების დეკრიმინალიზაცია. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633,634 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №633 და №634 კონსტიტუციურ წარდგინებებში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია კი უგულებელყოფდა სასამართლოს შესაძლებლობას, შეენწყვიტა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლის მიერ ჩადენილი ქმედებაც განაჩენის გამოტანის დროს დანაშაულს აღარ წარმოადგენდა.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს: მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, მითითებულ შემთხვევაში, არ ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ქმედება ჩადენის დროს დანაშაულად ითვლებოდა

და ახალი კანონით მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია, მოცემულ სამართლებრივ საკითხს კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ აწესრიგებს, რაც წარმოადგენს ხარვეზს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის გათვალისწინებით, დასაშვებია გამოყენებულ იქნეს კანონის ანალოგია, კერძოდ, სსკ-ის 105-ე მუხლი და შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №608 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს საკასაციო სამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი იმ შემთხვევაში, როდესაც ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებულ კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას.

6. საკასაციო პალატის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენი გასაჩივრებულია მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს და მსჯავრდებულ რ. მ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდებაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით, 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 301-ე მუხლით, 307-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 ნოემბრის განაჩენი გაუქმდეს.

3. მსჯავრდებულ რ. მ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდებაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. გაუქმდეს რ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით შეტანილ – ე. მ-ს (პ/ნ ...), ვ. მ-ს (პ/ნ ...), მ. მ-ს (პ/ნ 1...), მ. მ-ს (პ/ნ ...), ო. მ-ს (პ/ნ ...), ო. მ-სა (პ/ნ ...) და რ. მ-ს (პ/ნ ...) თანასაკუთრებაში არსებულ, ქ. ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი – ...) მოეხსნას ყადაღა და დაუბრუნდეს მესაკუთრეებს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში; ასევე გაუქმდეს რ. მ-ს მიმართ გამოყენებული პასპორტის, პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის გამოძიების ორგანოში ჩაბარებისა და გამოძიების მწარმოებელ ორგანოში ორ კვირაში ერთხელ გამოძიების მიერ განსაზღვრულ დროს გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება.

5. ნივთიერი მტკიცებულება – 1 DVD-R დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს შენახულ იქნეს საქმესთან ერთად მისი შენახვის ვადით.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულება

მხარეთა მიერ მტკიცებულებების ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესი

ბანაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№652აპ-15

10 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ მანანა მარტაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის განაჩენით კ. ე-ი, – დაბადებული 19... წელს, ნასამართლევნი, ძებნილი, – ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წელი, 9 თვე, 2 დღე და საბოლოოდ კ. ე-ს განაჩენთა ერთობლიობით სასჯელად განესაზღვრა 15 წლით, 9 თვითა და 2 დღით თავისუფლების აღკვეთა.

კ. ე-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

2. აღნიშნული განაჩენით კ. ე-ს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით 01.00 საათიდან 02.00 საათამდე მონაკვეთში, კ. ე-ი იმყოფებოდა თბილისში, ... ქუჩის №...-ში თავის საცოლესთან – ნ. ა-ნ. ეზოში ყოფნისას იგი შემთხვევით შეხვდა ამავე ეზოში მცხოვრებ ი. გ-სა და მის მეგობარ გ. გ-ეს, რომლებიც ნ. ა-ის ბინაში გარკვეული დროის განმავლობაში აწარმოებდნენ სარემონტო და სამღებრო სამუშაოებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კ. ე-მა ისინი სალაპარაკოდ შეიყვანა იმავე ეზოში მცხოვრებ ა. ხ-ის სახლში და აგრესიული ტონით მოსთხოვა სარემონტო სამუშაოების დასრულება. მათ კ. ე-ს მშვიდად აუხსნეს, რომ სარემონტო სამუშაოებს ვერ განაგრძობდნენ, ვინაიდან გალესილი კედლები საჭიროებდა კარგად გაშრობას, წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობდა რემონტის დაზიანების საფრთხე. კ. ე-ი განაგრძობდა აგრესიულ საუბარს და არაერთხელ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა ი. გ-სა და გ. გ-ეს, რაც გადაიზარდა კამათსა და შემდგომ – ხელჩართულ ჩხუბში. ამ დროს კ. ე-მა განიზრახა გ. გ-ის მკვლელობა და თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად აიღო დანა, რომლითაც განზრახ მოკვლის მიზნით გ. გ-ეს მუცლის ღრუში მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა, წვრილი ნაწლავისა და ჯორჯლის დაზიანებით, რაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. კ. ე-მა დანაშაულებრივი გაზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო, ვინაიდან მას ხელი შეუშალა ი. გ-მა. გ. გ-ე ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც განეული სამედიცინო დახმარების შედეგად მოხერხდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის განაჩენი 2014 წლის 17 ოქტომბერს სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ე-მა, რომელმაც ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მისი გამართლება შემდეგი საფუძვლებით: შემთხვევის დღეს როგორც ი. გ-ი, ისე გ. გ-ე იყვნენ ძლიერ მთვრალეები, რის გამოც სწორად ვერ აღიქვამდნენ მოვლენებს და ვინაიდან ისინი არიან მეგობრები, ერთად შეიმუშავეს მის წინააღმდეგ საერთო პოზიცია. მას დანა არ დაურტყამს გ. გ-სთვის, მისი მოკვლა რომ ნდომებოდა, ამის საშუალებაც და დროც საკმაოდ ჰქონდა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ კ. ე-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამარ-

თლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 16 მარტის გამამტყუნებელი განაჩენი, კ. ე-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო ნესით გაასაჩივრა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მანანა მარტაშვილმა, რომელიც ითხოვს გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და კ. ე-ის დანაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, შემდეგი გარემოებების გამო: სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უარი უთხრა ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების გამოკვლევაზე – მოწმეთა დაკითხვაზე, რადგან მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში არ იყო დაკონკრეტებული მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე დაცვის მხარესთან, საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის შესაბამისად, გაცვლილი ჰქონდა მოწმეთა დაკითხვის ოქმები, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ბრალდების მხარე აპირებდა ამ მტკიცებულებების გამოკვლევას საქმის არსებითი განხილვისას, მით უფრო, რომ წინასასამართლო სხდომაზე დამტკიცდა და დაშვებულ იქნა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხა, მათ შორის მოწმეთა დაკითხვის ოქმები. სააპელაციო სასამართლომ კი აღნიშნული საკითხი განმარტა იმგვარად, რომ ბრალდების მხარეს არ მიეცა პროცესზე უკვე დაშვებული მტკიცებულებების – მოწმეთა დაკითხვის ოქმების გამოკვლევის საშუალება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მითითებაზე, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით უარი უთხრა ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების – მოწმე-

თა ჩვენებების გამოკვლევაზე – მათ დაკითხვაზე, რადგან მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში არ იყო მითითებული დაზარალებულისა და მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განაჩენით განმარტებულია, რომ დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის (დაკითხვის) ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ ასევე ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის №526აპ-14 განაჩენი).

3. საქმის მასალებში მოთავსებული შესაძლო მტკიცებულებების გაცვლის თაობაზე ოქმით დადგენილია, რომ ბრალდების მხარემ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა და ცვის მხარეს გადასცა: ფორმა №1, შეტყობინება, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ცნობა №1 საავადმყოფოდან, ცნობა აღნიშნულ საქმეზე, მოწმეების: მ. კ-ის, ი. გ-ის, ა. და ლ. ხ-ის ჩვენებები, დაზარალებულ გ. გ-ის ხელნერილი და ჩვენება, დაზარალებულ გ. გ-სა და ბრალდებულ კ. ე-ის ფორმა №1-ის ასლები, დადგენილება კომპლექსური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და მიმართვა, ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნასთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით ექსპერტ გ. ლ-ის დაკითხვა), ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნასთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით ექსპერტ ნ. ე-ის დაკითხვა), მიმართვა განაჩენის ალებაზე, მიმართვა და მოსამართლე ბ. კოჭლამაზაშვილის 2009 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი, უწყება მონმე ლ. ხ-ის გამოძახებაზე, ოქმი ნიმუშის ალებაზე, მიმართვის ნერილი, 2 უწყება კ. ე-ის გამოძახებაზე, მიმართვა, გ. გ-ს ავადმყოფობის ისტორიის ასლი, დადგენილება და მიმართვა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნაზე, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნასთან დაკავშირებით სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით ექსპერტ ე. ჩ-ის დაკითხვა), მიმართვა საექსპერტო დაწესებულებას, ოქმი დამცველის მოწვევის შესახებ, ადვოკატ ზ. ა-ის ორდერი და მოწმობის ასლი, დადგენილება კ. ე-ის ბრალდების შესახებ, შუამდგომლობა ალკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, განჩინება ალკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ, დადგენილება კ. ე-ის მიმართ ძებნის გამოცხადების შესახებ, ოქმი დაზარალებულ-

თან გასაუბრების შესახებ, მიმართვა დაზარალებულს, ოქმი მტკიცებულებათა გაცვლის შესახებ.

4. აღნიშნული მტკიცებულებები 2010 წლის 17 დეკემბერს ძველი თბილისის რაიონული პროკურორის დავით ზვიადაძის მიმართვით წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

5. 2010 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ზემოაღნიშნული ყველა მტკიცებულება დასაშვებად ცნო.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას ბრალდების მხარის ზემოაღნიშნული მტკიცებულების გამოკვლევა მოხდა სრული მოცულობით (მათ შორის დაიკითხნენ დაზარალებული და მოწმეები), რის საფუძველზეც კ. ე-ის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

7. სააპელაციო სასამართლომ, იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარეს მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში არ ჰქონდა მითითებული დაზარალებულ გ. გ-ის დაკითხვის თაობაზე (მითითებული იყო მხოლოდ ექსპერტების მონმის სახით დაკითხვის შესახებ) მიიჩნია, რომ დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნები და უარი თქვა მის დაკითხვაზე. სააპელაციო პალატამ ასევე უარი განაცხადა მოწმე ი. გ-ის დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა დაცვის და არა – ბრალდების მხარის მოწმეს.

8. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით განმტკიცებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, კერძოდ: ამ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. აღნიშნული პრინციპები ასევე რეგლამენტირებულია სსსკ-ის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილში – სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმები არის ზოგადი ხასიათის, რომლებიც განამტკიცებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს, ხოლო კონკრეტული სა-

მართლებრივი საკითხი უნდა გადაწყდეს იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებს სადავოსამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ:

9. საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლი მოიცავს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესს. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ მუხლთან მიმართებით უნდა შეფასდეს ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებათა დაცვის მხარისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის კანონიერების საკითხი.

10. აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „...მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად“. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ბრალდების მხარემ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, მათ შორის დაზარალებულისა და მონშეთა დაკითხვის ოქმები, გადასცა მონინაალმდეგე – დაცვის მხარეს, რის თაობაზეც შეადგინა შესაბამისი ოქმი და წარუდგინა სასამართლოს.

11. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 83-ე მუხლი და ჩათვალა, რომ მტკიცებულებები გაიცვალა ხსენებული მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, რადგან „...მტკიცებულებათა გაცვლის ნუსხაში არ არის მითითებული დაზარალებულისა და მონშეთა დაკითხვის თაობაზე. მითითებული იყო მხოლოდ ექსპერტების მონშის სახით დაკითხვის შესახებ“. პალატა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ დაკითხვის (გამოკითხვის) ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ ასევე ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან, რის გამოც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე არამართებულია.

12. სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მონშის ჩვენება არის მონშის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ამავე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, „...პირი მონშის სტატუსსა

და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ“. იმავე კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე „დაზარალებულს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა“. ამდენად, პალატა განმარტავს, რომ მონმის დაკითხვის ოქმს არ აქვს სამართლებრივი ძალა, ვერ მიენიჭება მტკიცებულების სტატუსი და ვერ იქნება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას გამოყენებული, თუ არ იქნა გამოკვლეული საქმის არსებითად განხილვისას, რაც გულისხმობს დაკითხული პირის უშუალო დაკითხვას სასამართლო სხდომაზე. ამ მოცემულობაში მხარის მიერ მონმეთა დაკითხვის ოქმის მონინაალმდეგე მხარისათვის გადაცემა, ამ დოკუმენტების გაცვლის თაობაზე ოქმის შედგენა და სასამართლოსათვის წარდგენა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს, რომ მხარეს სურს აღნიშნული პირის (პირების) მონმის სახით დაკითხვა.

13. ასევე, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა გამჟღავნება – მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მტკიცებულებების გადაცემა – შეჯიბრებითობის უფლების შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს, რომ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ერთმანეთის მტკიცებულებებზე და აღნიშნულზე სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი პოზიცია. დაკითხვის ოქმის გადაცემა მხარისათვის და წარდგენა სასამართლოსთვის სხვა არაფერია, თუ არა მოთხოვნა დაკითხული პირის დაკითხვაზე. ამდენად, ეს საპროცესო მოქმედებები გონივრულია, ჩაითვალოს მონინაალმდეგე მხარის სრულ ინფორმირებად მტკიცებულების გამოკვლევის – მონმის შემდგომი დაკითხვის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეს, რომელმაც წარადგინა დაკითხვის ოქმი, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე (წინასასამართლო სხდომა, არსებითი განხილვა) აღარ სურს ამ მონმის დაკითხვა, ეს მხოლოდ მისი უფლებამოსილებაა და ამით მონინაალმდეგე მხარის უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვის ან დარღვევის საფრთხე არ არსებობს.

14. პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველს, კერძოდ: ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ამასთან, აღნიშნული მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის მტკიცებულებათა გაცვლისას და სასამართლოსთვის წარდგე-

ნისას მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის სხვა საფუძველზე. მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველი გათვალისწინებულია სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, კერძოდ, მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის დაკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმების დარღვევა სახეზე არ არის, ხოლო მხარის მიერ დამატებით მოწინააღმდეგე მხარისათვის და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) გადაცემა, რომელიც, თავის მხრივ, არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმებიდან, არ შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევად და გახდეს მოწმეთა დაკითხვის ოქმების, მათი ჩვენებების დაუშვებლად ცნობის ან არსებითი განხილვის დროს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის საფუძველი.

15. და ბოლოს, საკასაციო პალატა ყურადღებას უშუალოდ ამახვილებს სადავო საკითხის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე – მოწმის დაკითხვის ოქმის დასაშვებად ცნობის მიუხედავად, არსებითი განხილვის დროს ამ მოწმის დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ. სსსკ-ის 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონაწილეობით საქმის არსებითად განხილვისათვის მოსამზადებლად ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას...“. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დავით ჯუღელმა სისხლის სამართლის საქმეზე დაამტკიცა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნუსხა, მათ შორის დაზარალებულისა და მოწმეთა დაკითხვის ოქმები, მხარეს წარმოეშვა მათი არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლევის – დაკითხვის უფლება, რაც მოცემულ შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ იქნა რეალიზებული, ხოლო აღნიშნული დასაშვები მტკიცებულების გამოკვლევა ამ მოცემულობაში სასამართლო სხდომაზე მათი უშუალო დაკითხვის გარეშე სხვაგვარად (დემონსტრირებით) შეუძლებელი იყო. რაც შეეხება მოწმე ი. გ-ის ჩვენებას, როგორც ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, ასევე წინასასამართლო სხდომის ოქმით ირკვევა, რომ იგი წარმოადგენდა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის მოწმეს. აქვე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბუნდოვანი და გაუგებარია, თუ სააპელაციო სასამართლომ რა იგულისხმა საქართველოს სსსკ-ის 248-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევაში, რომლის თანახმა-

დაც, საქმის არსებითი განხილვისას მხოლოდ ის მტკიცებულება დასაშვებია მტკიცებულება, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.

16. საკასაციო პალატა, ზემოაღნიშნული გარემოების გამო, არ მსჯელობს კ. ე-ის ბრალეულობის საკითხზე, ვინაიდან იგი უნდა შეფასდეს ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარისათვის მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმით არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი გამართლებულ კ. ე-ის მიმართ. ამასთან, ვინაიდან საკასაციო პალატას არ გააჩნია აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისა და ბრალდების მხარის უფლებების აღდგენის – მოწმეთა დაკითხვის სამართლებრივი მექანიზმი, ეს უნდა გამოასწოროს სააპელაციო სასამართლომ, კერძოდ: საქმე უნდა განიხილოს საქართველოს სსსკ-ის 292-299-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, რის შემდეგაც უნდა მიიღოს კანონ-შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. მ-ს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენი გამართლებულ კ. ე-ის მიმართ.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულება ბამოყენების დაუშვებლობა

განაჩენი საქართველოს სახელით

№561აპ-15

28 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ
ქეთევან ვაშაიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის
23 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ზ. ტ-სა
და ვ. გ-ს ბრალი დაედოთ იმაში, რომ ჩაიდინეს თაღლითობა,
ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი
ოდენობით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების
მიღება მოტყუებით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, კერ-
ძოდ:

2. ზ. ტ-მ მოიპოვა სათამაშო აპარატების მეხსიერების ბარა-
თები. აღნიშნულ ბარათებზე განთავსებული იყო ინფორმაცია
და სათამაშო აპარატში მისი ჩამონტაჟებისა და სპეციალური
კოდის შეყვანის შემთხვევაში, სათამაშო აპარატი კომპანიის მი-
ერ დადგენილი ზღვრული ოდენობის მიუხედავად, იწყებდა
თანხის ულიმიტო გაცემას. ზ. ტ-ი შეუთანხმდა შპს „...“ ... ფილი-
ალის თანამშრომელ ვ. გ-ს, რომ აღნიშნულ ფილიალში განთავ-
სებულ აპარატებში არსებული მეხსიერების ბარათების ნაც-
ვლად ჩაემონტაჟებინა მის მიერ მოპოვებული მეხსიერების ბა-
რათები, რის შემდეგაც ზ. ტ-ი, სპეციალური კოდის გამოყენე-
ბით, ითამაშებდა მეხსიერების ბარათშეცვლილ აპარატებზე. ამ
გზით ისინი თაღლითურად დაეუფლებოდნენ ფულად თანხას
და გაინაწილებდნენ ერთმანეთში. ვ. გ-მ სათამაშო აპარატებში

ჩაამონტაჟა აღნიშნული ბარათები.

3. ზ. ტ-ი 2013 წლის ივნისიდან 2013 წლის ოქტომბრამდე სპეციალური კოდის გამოყენებით სისტემატურად თამაშობდა ქალაქ ... არსებულ შპს „...“ ფილიალში იმ აპარატებზე, რომლებშიც ვ. გ-ს ჰქონდა ჩამონტაჟებული მოდიფიცირებული ინფორმაციის შემცველი მეხსიერების ბარათები. მოგებულ თანხას კი სს „...“ ... ფილიალში არსებული სწრაფი ჩარიცხვების აპარატის მეშვეობით რიცხავდა ვ. გ-ის მეუღლის – ნ. ნ-ის საბანკო ანგარიშსა და თავისი მეგობრის, ლ. ქ-ის მეუღლის – შ. ს-ას კუთვნილ საბანკო ანგარიშზე, ხოლო თანხის ნაწილს თავისთვის იტოვებდა.

4. ზ. ტ-მ მოიპოვა და გადარიცხა ნ. ნ-ის ანგარიშზე 13243 ლარი, ხოლო შ. ს-ას ანგარიშზე – 16650 ლარი. ზ. ტ-მ ვ. გ-ს ასევე გადასცა შპს „...“ თალთურად დაუფლებული თანხა – 500 ლარი. ასევე ზ. ტ-საგან ჩხრეკისას ამოღებულ იქნა შპს „...“ თალთურად დაუფლებული თანხა 6500 ლარის ოდენობით. აღნიშნული ხერხის გამოყენებით ზ. ტ-ი და ვ. გ-ი ქ. ... 2013 წლის ივნისიდან 2013 წლის ოქტომბრამდე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლნენ შპს „...“ კუთვნილ ფულად თანხას დიდი ოდენობით, კერძოდ – 36893 ლარს.

5. თელავის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 10 ივნისის განაჩენით:

6. ზ. ტ-ი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდა.

7. ვ. გ-ი საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გამართლდა.

8. გამართლებულებს უფლება აქვთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება.

9. ნივთმტკიცება: ფულადი თანხა – 6500 ლარი, ერთი „ეპლის“ ფირმის ნოუთბუქი, ორი შავი ფერის კომპიუტერის პროცესორი, ერთი „ეპლის“ ფირმის მობილური ტელეფონი „აიფონ“ 4, ერთი „პტც“ ფირმის მობილური ტელეფონი, ვ. გ-ს მიერ წარმოდგენილი ორი ცალი მიკროსქემა, ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული 9 ცალი მიკროსქემა, ნ. მ-ის მიერ წარმოდგენილი ორი ცალი მიკროსქემა, აპარატი №1-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №2-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №3-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №4-დან ამოღებული მიკ-

როსქემა, აპარატი №9-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №10-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №13-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №14-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №15-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №16-დან ამოღებული მიკროსქემა, აპარატი №20-დან ამოღებული მიკროსქემა, რომლებიც დალუქული ინახება შსს თელავის რაიონულ სამმართველოში, საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს. ერთი ცალი CD დისკი სს „...“ სათვალთვალო კამერების ჩანაწერი, რაც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

10. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

11. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ქეთევან ვაშაკიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ზ. ტ-სა და ვ. გ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და შესაბამისი სასჯელების დანიშვნას.

12. საკასაციო პალატის სხდომაზე თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ქ. ვ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

13. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ ვ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჯ. მ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა ვ. გ-ი.

14. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ ზ. ტ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. დ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა ზ. ტ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამ-

დე, რომ თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან ვაშაკიძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ზ. ტ-სა და ვ. გ-ის უდანაშაულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა ზ. ტ-სა და ვ. გ-ის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას, კერძოდ:

3. მოწმე, დაზარალებულის წარმომადგენელ ნ. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის აპრილიდან მუშაობს „...“ მენეჯერის თანამდებობაზე. იმავე სამსახურში ტექნიკოსის თანამდებობაზე მუშაობდა ვ. გ-ი. მას ევალება, დღის ბოლოს მონიტორიდან ამოიწეროს აპარატების მაჩვენებლები, რა თანხა შევიდა და გავიდა აპარატიდან და გააგზავნოს სათავო ოფისში. ვ. გ-ს ევალებოდა უზრუნველყო აპარატის პროგრამული გამართულობა. მასვე შეეხება ჰქონდა აპარატის იმ ნაწილებთან, რითაც ფუნქციონირებს აპარატი. სამსახურში ასევე მუშაობდა სხვა ტექნიკოსი, მ. მ-ი, მაგრამ მას მხოლოდ ელექტროობის გამართულობა ევალებოდა. აპარატი შეიძლება გაიხსნას ხშირად, მაგალითად, გაჭედილი ფულის ამოსაღებად. აპარატის ნაწილები არის რკინის ყუთში, რომელსაც ვერავინ ეხება. როდესაც აპარატი იხსნება, ესწრება თვითონ, დაცვის თანამშრომელი და ტექნიკოსი. ფულის ჩასაყრელი ნაწილი მოთავსებულია აპარატის კართან, ხოლო ის ნაწილი, სადაც პროგრამაა ჩანერილი, რკინის ყუთში, უშუალოდ აპარატში მდებარეობს. მას აქვს ცალკე გასაღები. გასაღები ინახებოდა ტექნიკოსთან. მისი მუშაობის პერიოდში მხოლოდ ერთხელ იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც დაზიანდა აპარატის ის ნაწილი, სადაც თამაშებია ჩანერილი და შეცვალეს. ამ ნაწილის გამონერა ხდება სათავო ოფისიდან, კონკრეტულად რა საშუალებით, მისთვის უცნობია. მაისიდან შენიშნეს, რომ ფილიალი ნაგებაზე მუშაობდა, სექტემბრის თვეში ნაგებამ იმატა. მან ვ. გ-ს დაავალა, რომ შეემოწმებინა აპარატები, გ-მ უთხრა, რომ აპარატები მწყობრში იყო. შემდეგ ამის თაობაზე შეატყობინა ლ. ჯ-ს, თ. ნ-ს და გ. გ-ს, რომელთაც გამოგზავნეს ტექნიკოსი. გამოგზავნილმა ტექნიკოსმა შეამოწმა აპარატები, განმარტა, რომ ტექნიკურად ყველა აპარატი გამართული იყო. ზ. ტ-ი მათი ყოველდღიური კლიენტი იყო. თამაშისას ზ. ტ-ი ხშირად დიდ თანხებს იგებდა. საერთოდ ასე არ

ხდება, აპარატმა ყოველთვის იცის, რა თანხა გასცეს, ისე, რომ საბოლოოდ „მოგებაში დარჩეს“. ამ შემთხვევაში სხვაგვარად ხდებოდა. ზ. ტ-ი ჩეკით იღებდა მოგებულ თანხებს, რაც არსად არ ფიქსირდებოდა. მისთვის ცნობილია, რომ თბილისში, სათავო ოფისში, ვ. გ-მ აღიარა, რომ ვინაიდან მას სჭირდებოდა ფული, ზ. ტ-ის დახმარებით, აპარატებს შეუცვალა ჩიპები. ხსენებულ საუბარს თვითონ არ დასწრებია, იცის გადმოცემით. ზ. ტ-ს თამამისას რალაც კოდი შეჰყავდა და იგებდა ფულს. აღნიშნული ზ. ტ-მ დაადასტურა საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს. მანვე განმარტა, რომ აპარატის ის ნაწილი, სადაც მიკროსქემებია მოთავსებული, ამოიღეს და ექსპერტმა გასცა დასკვნა, რომ აპარატი დაჩიპული იყო. ტექნიკოსმა დაჩიპულივე დალუქა და ისევ მოათავსეს სათამაშო აპარატში. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ დაკვირვებოდნენ, ვინმეს ისევ ორიგინალი არ ჩაედო, ამის მერე უფრო ცუდად წავიდა ფილიალის მოგების საქმე, ფილიალს მიადგა 151000 ლარის ზიანი.

4. მოწმე თ. ნ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა შპს „...“ მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე. შპს „...“ ... ფილიალმა განიცადა 154152,74 ლარის ზიანი. ზიანი გაიანგარიშეს 2013 წლის ივლისიდან ოქტომბრის თვის ნახევრამდე. ბრალდებულმა მიუთითა დაჩიპული აპარატების თაობაზე გ-ს, რომელმაც მას უთხრა, რომ ამ აპარატების ზიანი გამოეთვალა. ივლისში კომპანიამ განიცადა მინუს 3479,40 ლარის ზიანი. მათ გაიანგარიშეს წინა ექვს თვეში აპარატების შემოსავალი ოდენობა და აქედან გამოთვალეს საშუალო შედეგი, თუ რა მოგება უნდა მიეღო აპარატს. დაჩიპული აპარატების ცალკე მინუსი ივლისის თვეში არის 17755 ლარი, მიუღებელი მოგება – 15870,42 ლარი, სულ მთლიანი ზარალი – 33625 ლარი. აგვისტოს თვეში მთლიანი მინუსი არის 308 ლარი და 29 თეთრი, დაჩიპული აპარატების მინუსი – 25642,76 ლარი. მიუღებელი მოგება – 12206,40 ლარი, სულ – 37849 ლარი და 16 თეთრი. სექტემბრის თვეში მთლიანი ზარალი არის მინუს 23696 ლარი და 80 თეთრი. დაჩიპული აპარატების მინუსი არის 50444 ლარი და 61 თეთრი, მიუღებელი მოგება – 15933 ლარი და 15 თეთრი. მთლიანად კომპანიის ზარალი არის – 57377 ლარი და 76 თეთრი. ოქტომბერში მთლიანი ზარალი არის მინუს 4103 ლარი და 77 თეთრი, დაჩიპული აპარატების მინუსი – 16783 ლარი და 82 თეთრი, მიუღებელი მოგება – 8516 ლარი და 59 თეთრი. სულ ზარალი – 25300 ლარი და 25 თეთრი. მანვე განმარტა, რომ სათამაშო ბიზნესი არ არის წამგებიანი, ზარალს არასდროს განიცდის კომპანია. ისინი გათავისუფლებულნი არიან მოგების გადასახადისაგან, იხდიან მოსაკ-

რებელს. ვინაიდან კომპანია „გავიდა მინუსზე“, მან გ. გ-ს დავალებით და ნ. მ-ს მიერ ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიანგარიშა ზიანი. აპარატების მრიცხველები აჩვენებენ შესულ და გასულ თანხებს და მათ შორის სხვაობით ანგარიშდება მოგებული თანხა. აპარატმა შესაძლოა ერთ თვეს აჩვენოს „ცოტა მინუსი“, მაგრამ მეორე თვეს აუცილებლად გამოსწორდება. აპარატი იძლევა საშუალებას, რომ გაკეთდეს ყოველდღიური ბალანსი.

5. მოწმე გ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს შპს „...“ დირექტორის თანამდებობაზე. 2013 წლის ოქტომბრის თვეში იყო შპს „...“ დირექტორის მინდობილი პირი. მას ევალებოდა ყველაფრის კონტროლი. დაახლოებით ივლისიდან სექტემბრის თვემდე შეამჩნიეს, რომ მათ აპარატებს ჰქონდათ არანორმალურად მაღალი გაცემა. მან მიმართა შპს „...“, ვისგანაც მათ აპარატები ჰქონდათ იჯარით აღებული. შპს-მ გაუშვა ტექნიკოსების ჯგუფი, მაგრამ პირველად დარღვევა ვერ აღმოაჩინეს. მეორე ჩასვლაზე დაადგინეს, რომ აპარატები იყო დაჩიპული და დალუქეს. იმ პერიოდში „...“ ფილიალის ტექნიკოსი იყო გ-ი, სახელი არ ახსოვს. მანვე განმარტა, რომ „...“ არის სავაჭრო ნიშანი, რომლითაც სარგებლობის უფლება ჰქონდათ შპს „ფ-ს“ და შპს „ჯ-ს“. კომპანიას „...“ სახელწოდება მიენიჭა 2013 წლის ოქტომბერში. პრობლემის აღმოჩენის შემდეგ დაანგარიშდა სააგენტოს წინა პერიოდის საშუალო შემოსავალი და პრობლემური თვეების, ივლისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე, მიღებული შემოსავალი, გამოიყვანეს სხვაობა. კომპანიამ ზარალი მიუღებელ მოგებასთან ერთად განიცადა დაახლოებით 154000 ლარი. უშუალოდ დაუფლებული თანხა იყო 101000. პრობლემის აღმოჩენის შემდეგ, მათ შეიტანეს განცხადება კიბერდანამაჟის განყოფილებაში. თვითონ, დაცვის სამსახურის უფროსი და ლ. ესაუბრნენ ტექნიკოს გ-ს. უთხრეს, რომ ჩიპები იყო დალუქული და ელოდებოდნენ ექსპერტიზას. მათ კომპანიაში აპარატების გამართულობის საკითხი ეხება ტექნიკოსს. ტექნიკოსს უფლება ჰქონდა გაეხსნა აპარატი და შეეკეთებინა. პრობლემის აღმოჩენის შემდეგ, ტექნიკოსს აპარატი კონკრეტული პირის დასწრებით უნდა გაეხსნა. გ-მ მათთან საუბარში აღიარა, რომ აპარატებში ჩიპები მან მოათავსა, რის გამოც ზარალის ანაზღაურება მოსთხოვეს გ-ს. მანვე განმარტა, რომ იმ პერიოდში არ ყოფილა ისეთი სხვა ფაქტორი, რასაც შეეძლო კომპანია „ზარალზე გაეყვანა“.

6. მოწმე ნ. დ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის ოქტომბრის ბოლოდან მუშაობდა კომპანია „ჯ.“ ... ფილიალის დი-

რექტორად. მან გადმოცემით იცის, რომ ტექნიკური საშუალებების მოწყობილობებით მისთვის უცნობი ადამიანები იღებდნენ მისთვის უცნობი რაოდენობის ფულს. ზიანი დაიანგარიშეს ბუღალტრებმა. დაანგარიშების პრინციპი მისთვის უცნობია. დაანგარიშების მეთოდი არის სტატისტიკური მონაცემები და დადგინდა, რომ ზიანის ოდენობა არის 151000 ლარი. მისი დირექტორობის პერიოდში ბუღალტერი იყო ი. ბ-ა, რომელმაც მისი დავალებით დაიანგარიშა ზიანი, ხოლო უშუალოდ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა დანაშაული, ვინმე თ. იყო ბუღალტერი, გვარი არ ახსოვს, ხოლო მენეჯერი არის ნ. მ-ი. მანვე განმარტა, რომ იმ დროს, როდესაც დანაშაული მოხდა, არ იცის, სათამაშო აპარატები იყო თუ არა დალუქული.

7. მოწმე ი. ი-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იცნობს ვ. გ-სა და ზ. ტ-ს. ვ. გ-ი იყო მისი თანამშრომელი, ხოლო ზ. ტ-ს დიდი ხანია იცნობს და მეგობრობს. იგი მუშაობდა „ე-ში“ მოლარედ. ტოტალიზატორში მოლარე ბილეთს ბეჭდავს, შემდეგ თანხის სანაცვლოდ გადასცემს მოთამაშეს, ხოლო მოგების შემთხვევაში ანაღლებს თანხას. სათამაშო აპარატები მას საერთოდ არ ეხებოდა. მან უბრალოდ გაიგო, რომ ზ. და ვ. დააპატიმრეს, სხვა არაფერი არ იცის.

8. მოწმე შ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს სუპერმარკეტ „გ-ში“. მას აქვს „...“ საკრედიტო ბარათი, სადაც, როგორც კარგ გადამხდელს, დაერიცხა თანხა, რასაც იყენებდა. როდესაც თვითონ იმყოფებოდა რუსეთში, მისი ბარათით სარგებლობდა მეგობარი – დ. გ-ა, მის ბარათს ასევე იყენებდა მეუღლე, ლ. ქ-ი. დ. გ-მ უთხრა მას, რომ მისი ვალი ჰქონდათ სხვა პირებს და ვალი რომ დაებრუნებინათ, უნდა დაერიცხათ ბარათზე. ამ მიზნით გამოართვა მას საკრედიტო ბარათი. დ. გ-მ მას ასევე სთხოვა, რომ გადარიცხული თანხები მას გამოეტანა, ეს თანხები იყო ხან 1000 ლარი, ხან – 800 ლარი. ეს ხდებოდა 2013 წლის ზაფხულის პერიოდში. მისი მეუღლემ იცნობდა დ. გ-ს და მისმა მეუღლემაც იცოდა, რომ დ. გ-ა სარგებლობდა მისი ბარათით. მოგვიანებით მას მეუღლემ უთხრა, რომ სინამდვილეში ბარათი არა დ. გ-ს, არამედ მას სჭირდებოდა, მოატყუა იგი და ბარათით ის სარგებლობდა.

9. მოწმე ნ. ნ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ვ. გ-ი არის მისი მეუღლე, მასთან იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მას 2013 წელს „... ბანკში“ გახსნილი ჰქონდა ანგარიში. იგი შორიდან იცნობს ზ. ტ-ს. 2013 წელს მოლარედ მუშაობდა „ე-ში“. ტ-ი იქ სათამაშოდ მიდიოდა, თუმცა რამდენად ხშირად, არ ახსოვს. მას არ ახსოვს, მეორე საბანკო ანგარიში გახსნილი აქვს

თუ არა, მაგრამ თუ არსებობს, აუცილებლად მისი გახსნილი იქნება.

10. მოწმე ლ. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ დაახლოებით 5 წელია იცნობს ზ. ტ-ს და მეგობრობს მასთან. მას როდესაც ფინანსური პრობლემები ჰქონდა, ხშირად ეხმარებოდა ზ. ტ-ი, სესხის სახით აძლევდა ფულს. 2013 წელს რა რაოდენობის ნა-სესხები თანხა ჰქონდა ზ-სგან, ზუსტად არ ახსოვს. ისინი ხან ხელზე აძლევდნენ ერთმანეთს ფულს, ხან მისი მეუღლის კუთვნილ „... ბანკის“ საკრედიტო ბარათზე რიცხავდნენ. ზ. საიდან ჰქონდა შემოსავალი, არ უკითხავს და არ იცის. მანვე განმარტა, რომ რადგან მისი მეუღლე ეჭვიანობდა მასზე, მისი თხოვნით დ. გ-მ მის მეუღლეს გამოართვა საკრედიტო ბარათი და დ. გ-ს არანაირი კავშირი არ აქვს თანხების გადარიცხვებთან.

11. მოწმე მ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ზ. ტ-ი არის მისი მეუღლე. მის მეუღლეს არ ჰქონდა შემოსავალი, მათ მისი მეუღლისა და მისი მშობლები ეხმარებოდნენ და მისი სახლიდან ამოღებული 6500 ლარი არის მამამისის მიცემული.

12. მოწმე ვ. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2013 წლის ოქტომბერში მუშაობდა ქალაქ თბილისში „ე-ში“ სამორინეში მენეჯერის პოზიციაზე. მას ევალეობდა ... გახსნილი ელექტრონული სამორინის, კომპანია „ჯ-ის“ აპარატურისათვის თვალყურის დევნება. აპარატები არის სხვადასხვა ფირმის – „იგროსოვთის“, „ნოვომატიკის“ და „ოდრისქის“ ერთი ელექტრონული „რულეტი“. აპარატებზე იყო სხვადასხვა თამაშები. „იგროსოვთის“ ფირმის აპარატზე იყო თამაში „მარწყვები“. კომპანიას აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშები. მათ კომპანიას შექმნილი აქვს თამაშების ორიგინალები. აპარატს აქვს ფუნქცია მენიუ „in“ და „out“ რომელშიც შედიან და ნახულობენ რა გააკეთა აპარატმა. „in“ არის შესული თანხა, ხოლო „out“ გაცემული თანხა. მენიუში აპარატს აქვს ასევე ქარხნულად რამდენი უნდა გაცეს და რამდენი დაიტოვოს პროცენტულადაც. აპარატებს შეიძლება სხვადასხვა გაცემის პროცენტები ჰქონდეთ – როგორც მისთვის ცნობილია 92-დან 96 პროცენტამდე და დარჩენილი პროცენტი არის კომპანიის მოგება. აპარატებს ექსპლუატაციის ვადა არ აქვთ. კომპანიაში არიან ტექნიკოსები, რომელთაც ევალეობათ აპარატების კონტროლი, თუ რამე დარღვევაა აპარატზე, ტექნიკოსი აკეთებს რეაგირებას. ნებისმიერი აპარატი მოწმდება რეგულარულად, შეიძლება დღეში რამდენჯერმე. აპარატი თამაშები ჩაწერილია დედა პლატაზე მიმაგრებულ ჩიპებში. ვ. გ-ი იყო კომპანია „ჯ“ ტექნიკოსი, მას აპარატის დედა პლატაზე წვდომა ჰქონდა. დედა პლატა არის აპარატის შიგნით ჩამონტაჟებული.

მათ კომპანიას ჰყავს ტექნიკური ჯგუფი და ჯგუფის მენეჯერი და თუ რამე დაზიანდებოდა, ... ფილიალში აწვდიდნენ მენეჯერს. მასაც მოუსმენია, პირადადაც ჩამოსულა ... ტექნიკოსი და ტექნიკოსების ჯგუფისთვის აუხსნია რა სჭირდა აპარატებს. იმ აპარატებზე, რომლებიც შეცვლილი აღმოჩნდა, ვ. გ-ს არ მიუწვდია ინფორმაცია. ეს ინფორმაცია მიაწოდა მენეჯერმა ნ. და აპარატები ტექნიკურმა ჯგუფმა გადაამონტა, მაგრამ იმ წუთას ვერ შეიტანეს ვერანაირი ეჭვი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ნ. ისევ მიაწოდა ინფორმაცია, რომ აპარატები აგებდნენ დიდ თანხას, რაც არ შეიძლება მომხდარიყო. იგი თვითონაც ჩავიდა ... და დალუქა აპარატები. ერთი კვირის განმავლობაში არაფერი შეიცვალა, არ ჩადგა აპარატები ნორმალურ რიტმში. ერთი კვირის შემდეგ კვლავ ჩავიდა ... და ნახა, რომ დედა პლატებზე დადებული ლუქები დაზიანებული არ იყო. მან ტექნიკოსთან ერთად გახსნა აპარატები, რამდენიმე დააზიანა კიდეც, რისი ნებართვაც ჰქონდა და რამდენიმე დედა პლატა თბილისში ჩაიტანა, სადაც შეამონტეს, მაგრამ სრული პასუხი იქაც ვერ მიიღეს. შემდეგ ორიგინალი დედა პლატები შეადარეს აპარატებში ჩამონტაჟებულ დედა პლატებს და სხვაობა აღმოჩნდა. სამი-ოთხი თვის განმავლობაში, დაახლოებით ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით, მენეჯერი ნ. აწვდიდა ინფორმაციას, რომ აპარატები სულ აგებდა. არსებობს შემდეგი წესი: მოგების შემთხვევაში აპარატზე აღინიშნება თანხა, რასაც მოლარე ოპერატორები ნახულობენ. შემდეგ გასცემენ ჩეკს ან თანხას ადგილზე აძლევენ, გააჩნია რა თანხაა მოგებული. კომპანია „ჯ“ კლუბში დადგმული აპარატების შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებულია შემოსავლების სამსახურში. მენეჯერი აღწერს დღის მანძილზე აპარატში შესული თანხის ოდენობას. აპარატი როდესაც მუშა მდგომარეობაშია, შესული და გასული თანხები აუცილებლად ემთხვევა მენიუში (მონიტორზე) აღნიშნული თანხების ოდენობას. დედა პლატიდან თამაშის ვერსიის ნაშლა თუ მოხდებოდა, აპარატი განულდებოდა. მანვე განმარტა, რომ ვ. გ-ი როდესაც მიიღეს სამსახურში, „თბილისში დაატრენინგეს“. მას შეეძლო ნებისმიერი აპარატის შეკეთება. მათ თბილისში დაიბარეს ვ. და მენეჯერი ნ., რომ გაერკვიათ რა ხდებოდა. ვ-მ გენერალურ დირექტორთან აღიარა, რომ იგი მარტო არ მოქმედებდა. პიროვნებამ, ვინმე ტ-მ, ვ-ს გადასცა რამდენიმე ჩიპი და გ-მაც ორიგინალები ამოიღო და ჩააყენა გადაცემული ჩიპები. ეს ჩიპები იმისთვის სჭირდებოდათ, რომ მათთვის ცნობილი კოდის გამოყენებით გაეზარდათ მოგების თანხა. ვინაიდან ვ. გ-ს არ ჰქონდა აპარატთან თამაშის უფლება, თამაშობდა ტ-ი. ადვოკატის შეკითხვა-

ზე განმარტა, რომ როდესაც კომპანიას აპარატებს იჯარით გადასცემენ, ვალდებულებას კისრულობენ, რომ ტექნიკურად გამართული იყოს აპარატი და ხარვეზის შემთხვევაში თვითონვე ასწორებენ.

13. მოწმე მ. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ის ელექტროტექნიკოსად მუშაობს „ე“ ... ფილიალში. იცნობს თანამშრომელს, ტექნიკოს ვ. გ-ს. ასევე იცნობს ზ. ტ-ს. მის მოვალეობაში შედიოდა ელექტრომომარაგება და სათამაშო მანქანებს, მხოლოდ მექანიკური დაზიანებების შემთხვევაში, მაგალითად, გასაღების დაზიანების და ა.შ. უწევდა მომსახურებას. მან მიიღო მონაწილეობა ვ. გ-ის ჩვენების ადგილზე შემონმებაში. მან გამოძიების მითითებით გახსნა აპარატები და მათ ამოიღეს მიკროსქემები და დალუქეს. ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდა 3 პიროვნება. ვ. გ-ი დარბაზში იმყოფებოდა, მაგრამ აპარატებიდან მიკროსქემების ამოღებასა და დალუქვაში მონაწილეობა, როგორც ახსოვს, არ მიუღია. მან წაიკითხა და ხელი მოაწერა შედგენილ ოქმს. მისივე ჩვენებით დადგენილია, რომ აპარატს შიგნიდან აქვს პატარა უჯრა, სადაც მოთავსებულია ჩიპი – მიკროსქემები. ვისაც აპარატის გასაღები ექნებოდა და გახსნიდა აპარატს, მას შეეძლო თავისუფლად გაეხსნა ის ადგილი, სადაც მიკროსქემა იყო. როდესაც პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს მიკროსქემები, იმ პერიოდში აპარატი დალუქული არ ყოფილა. ამჟამად დალუქულია.

14. მოწმე ი. ჯ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტის თანამდებობაზე. მან ჩაატარა ორი კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზა, რასაც ადასტურებს და ეთანხმება. გამოსაკვლევად წარმოდგენილი იყო 14 პაკეტი, ჩაატარა კვლევა და გასცა შემდეგი შინაარსის დასკვნა: ექსპერტიზაზე ვ. ჯ-ს მიერ წარმოდგენილ ორ ცალ, „Amic“ ფირმის, „...“ ტიპის პროგრამირებად მეხსიერებაზე არსებული ინფორმაცია, ასევე ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ №1-დან №8-მდე მიკროსქემებზე არსებული ინფორმაცია ერთმანეთის იდენტურია. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული №9 „Amic“ ფირმის, „...“ ტიპის მიკროსქემაზე არსებული ინფორმაცია №1-დან №8-მდე მიკროსქემებზე არსებული ინფორმაციის იდენტური არ არის.

15. ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, ზარალზე მომუშავე სათამაშო აპარატებიდან ამოღებულ 8 ცალ „Amic“ ფირმის, „...“ ტიპის მიკროსქემაზე არსებული ინფორმაცია ერთმანეთის იდენტური არ არის და ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან 1

ბაიტიდან 5 ბაიტამდე მოცულობის მონაცემებით.

16. ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, ზარალზე მომუშავე სა-
თამაშო აპარატებიდან ამოღებულ 8 ცალ „Amic“ ფირმის, „...“
ტიპის მიკროსქემაზე არსებული ინფორმაცია, ვ. ჯ-ის მიერ წარ-
მოდგენილ ორ ცალ მიკროსქემაზე არსებული ინფორმაციის და
ვ. გ-ის ჩხრეკისას ამოღებულ №1-დან №8-მდე მიკროსქემებზე
არსებული ინფორმაციის იდენტიური არ არის.

17. ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, ვ. ჯ-ს ორ ცალ მიკროს-
ქემასა და ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ №1-დან №8-მდე
მიკროსქემებზე ჩანერილია სათამაშო ავტომატის პროგრამა
„Fruit Cocktail ...-სათვის“ განკუთვნილი ლოგიკის მართვის პროგ-
რამა და შეუძლებელია, დადგინდეს ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამო-
ღებულ №9 მიკროსქემასა და ზარალზე მომუშავე სათამაშო აპა-
რატებიდან ამოღებულ 8 ცალ მიკროსქემაზე თუ რა სახის ინ-
ფორმაციაა დატანილი.

18. ნ. მ-ის კუთვნილ 2 ცალ „ადმირალის“ ორიგინალ მიკროს-
ქემაზე არსებული ინფორმაციისა და ზარალზე მომუშავე სა-
თამაშო აპარატ „ადმირალზე“ მოხსნილ სამ ერთეულ მიკროს-
ქემაზე არსებული ინფორმაციის იდენტიურობის დადგენა არ-
სებული ტექნიკურ-პროგრამული საშუალებებით შეუძლებელია.

19. ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, აპარატ №4-დან და აპა-
რატ №13-დან ამოღებულ მიკროსქემებზე ბეჭდური ასოებით
შესრულებულია ერთმანეთის იდენტიური წარწერა „Amic ...“, ვ.
გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ №6 და №9 მიკროსქემებზე
და აპარატ №2-დან ამოღებულ მიკროსქემაზე ბეჭდურად შეს-
რულებულია ერთმანეთის იდენტიური წარწერა „Amic ...“, ხოლო
ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღე-
ბულ და სათამაშო აპარატებიდან მოხსნილ დანარჩენ მიკროს-
ქემებზე ერთმანეთის იდენტიური წარწერები არ იკითხება. მან-
ვე ჩაატარა სხვა ექსპერტიზა, სადაც დასმული იყო შემდეგი
კითხვები: 1. წარმოდგენილ მიკროსქემებზე ჩანერილია თუ არა
კომპანია „გამესოფტ-ის“ წარმოებული ოფიციალური პროგრამა-
მა; 2. დადებით შემთხვევაში რომელ მიკრო სქემებზეა „გამე-
სოფტ-ის“ ოფიციალური პროგრამა და რომლებზე არ არის. ჩაა-
ტარა კვლევა და დაადგინა შემდეგი: ნ. მ-ისაგან წარმოდგენილ
2 ცალ „ადმირალის“ მიკროსქემაზე და სათამაშო აპარატ №9,
№10 და №20-დან ამოღებულ მიკროსქემებზე არსებული ინ-
ფორმაციის კვლევა არსებული ტექნიკურ-პროგრამული საშუ-
ალებებით შეუძლებელია.

20. ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ მიკროსქემებზე, პი-
რობითი ნომრებით №1-დან №8-მდე, და ვ. ჯ-ს წარმოდგენილ

ორივე მიკროსქემაზე კომპანია „IGROSOFT-ის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე არსებული მონაცემების მიხედვით, ჩანერილია კომპანია „IGROSOFT-ის“ წარმოებული, სათამაშო ავტომატების პროგრამა „FruitCoctail-ის“ ლოგიკის მართვის პროგრამის „...“ ოფიციალური ვერსია, ხოლო დანარჩენ მიკროსქემებზე, კომპანია „IGROSOFT-ის“ წარმოებული, სათამაშო ავტომატების პროგრამების ლოგიკის მართვის ოფიციალური ვერსიები ჩანერილი არ არის.

21. მისივე ჩვენებით დადგენილი, რომ მიკროსქემაზე არსებული ინფორმაციის წაკითხვა ჩვეულებრივ შესაძლებელია, იგი ლიცენზიებს არ ამონებს, იგი ადარებს კომპანია „IGROSOFT-ის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებულ ინფორმაციასთან და ადგენს იდენტურობას. ინფორმაცია ჩვეულებრივი ფაილია, რომელიც ინერება მიკროსქემაზე და ამის გადანერა რომელიმე საიტიდან არ წამოადგენს პრობლემას. რამდენადაა კომპანიაში ინფორმაცია დაცული, მან არ იცის.

22. მონმე ო. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს შპს „ჯ“, მის მოვალეობაში შედის აპარატების ტექნიკური გამართულობა და შეკეთება. იგი იცნობს ბ. (იგივე ვ.) გ-ს. მას ხელმძღვანელმა დაავალა შპს „ჯ“ ... ფილიალში აპარატები შეემონებინა. მან შეამონმა აპარატების პროცენტულობა და გაარკვია, რომ აპარატი აჩვენებდა 110 და 120 პროცენტ მოგებას. მან განმარტა, რომ აპარატებისათვის არ არის დამახასიათებელი აჩვენოს 100 პროცენტზე მეტი. შეიძლება მოგების დროს აჩვენოს 100 პროცენტი, მაგრამ მალევე დგება 96 პროცენტზე. არ შეიძლება სამი თვის განმავლობაში იდგეს 100 პროცენტზე. როდესაც ლ. ჯ-სთან ერთად ... ფილიალში ჩავიდა, იქ დახვდნენ ბ. და ვ. მან გასაღები გამოართვა გ-ს, გახსნა აპარატის მრიცხველი, ასევე გახსნა და დალუქა პლატის ყუთი, რომელიც გასაღებით იხსნება. გახსნის დროს ნახა, რომ „ადმირალის“ აპარატებზე ერთ-ერთი მეხსიერება იყო სხვა ფერის და ამიტომ შეიტანეს ეჭვი. სხვა შეფერილობის მეხსიერება შეცვალეს ახლით, ხოლო საეჭვო კი მიიტანეს ექსპერტთან. ექსპერტმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა შესაბამისი აპარატურა, რის გამოც უკან დააბრუნეს და დააყენეს აპარატზე. მოგვიანებით, გამოძიების დროს, თვითონ ჩავიდა ექსპერტი, გახსნა და წაიღო ის ჩიპი.

23. მონმე მ. რ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კახეთის საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის მთავარი ექსპერტის თანამდებობაზე. მან ექსპერტის სახით მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო ექსპერიმენტში. „ე-ში“ ზ. ტ-მ მიუთი-

თა, თუ რომელ აპარატებზე თამაშობდა. მან გადაიღო ფოტოე-ბი. ზ. ტ-მ ჯერ ხუთი ლარი ჩარიცხა, მერე კოდი აკრიფა, შემდეგ 20 ლარი ჩატვირთა და ითამაშა. კოდის კომბინაცია არ ახსოვს. იგი ეთანხმება ოქმს, რომელიც შეადგინა გამომძიებელმა და თვითონ მოაწერა ხელი.

24. მონმე თ. ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს კახეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის მთავარი ექსპერტის თანამდებობაზე. იგი მონაწილეობდა ვ. გ-ის ჩვენების ადგილზე შემონმებაში, რაც ჩატარდა 2013 წლის 26 ოქტომბერს. საგამომძიებო მოქმედება დაიწყო შსს კახეთის დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, საიდანაც გამოიყვანეს ვ. გ-ი. მივიდნენ „ე-ში“, სადაც უშუალოდ ჩატარდა საგამომძიებო მოქმედება. იგი იღებდა ფოტოებს. ვ. გ-ი უთითებდა მათ სათამაშო აპარატებზე. დანაშაულთან კავშირში მყოფი აპარატები, რაზეც მიუთითა ვ. გ-მ, გახსნეს გასაღებით და გადაუღო ფოტოები. იგი ეთანხმება იმ საგამომძიებო მოქმედებების ოქმებს, რაზეც ხელი მოაწერა.

25. მონმე ვ. ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. იგი დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ გ. მ-სთან ერთად მონაწილეობდა ნივთიერი მტკიცებულების – ფულადი თანხის (6500 ლარის) გახსნასა და დათვალიერებაში. შედგა შესაბამისი ოქმი და მან მოაწერა ხელი. აღნიშნული ფულადი თანხა ზ. ტ-ის საცხოვრებელი სახლიდან იყო ამოღებული.

26. მონმე ჯ. ქ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2013 წლის 26 ოქტომბერს მონაწილეობდა ვ. გ-ის ჩვენების ადგილზე შემონმებაში. მასთან ერთად მონაწილეობდა ექსპერტი თ. ბ-იც. ჩვენების ადგილზე შემონმება ჩატარდა „ე-ში“, სადაც ვ. გ-მ მიუთითა ის სათამაშო აპარატები, რომლებიც დაჩიპული იყო. მიკროჩიპები ექსპერტმა ამოიღო და დალუქეს. აღნიშნულზე შედგა ექსპერიმენტის ოქმი, რომელსაც თვითონაც მოაწერა ხელი. „ე-ში“ ასევე იმყოფებოდა მენეჯერი ნ. მ-ი.

27. მონმე ა. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2013 წლის 26 ოქტომბერს მონაწილეობდა ვ. გ-ის ჩვენების ადგილზე შემონმებაში. მასთან ერთად მონაწილეობდნენ ექსპერტი თ. ბ-ი, გამომძიებელი ჯ. ქ-

ი და გ. მ-ე. ჩვენების ადგილზე შემონიშნა ჩატარდა „ე-ში“, სადაც ვ. გ-მ მიუთითა ის სათამაშო აპარატები, რომლებიც დაჩიპული იყო. მიკროჩიპები ექსპერტმა ამოიღო და დალუქეს. აღნიშნულზე გ. მ-ემ შეადგინა ექსპერიმენტის ოქმი, რომელსაც თვითონაც მოაწერა ხელი. ადვოკატის შეკითხვაზე განმარტა, რომ აპარატი გახსნა, სავარაუდოდ, „ე-ს“ წარმომადგენელმა, იქიდან ამოიღეს ჩიპი, მაგრამ საიდან და როგორ, არ იცის.

28. მონმე მ. ბ-ის ჩვენებითა და 2013 წლის 10 დეკემბრის საბუღალტრო დოკუმენტაციის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. ზ. ტ-ის და ვ. გ-ის სისხლის სამართლის საქმეზე მან დაკითხა „ჯ-ს“ დირექტორი დ-ი, რომლის სახელი არ ახსოვს. აღნიშნულმა პიროვნებამ მას წარუდგინა „ე-ს“ ... ფილიალის საბუღალტრო დოკუმენტაცია, რომელიც თანხების ბრუნვას შეეხებოდა. მან დათვალიერა ეს დოკუმენტაცია. შეადგინა 2013 წლის 10 დეკემბრის დათვალიერების ოქმი და დაადასტურა მისი სისწორე. მანვე განმარტა, რომ ზუსტად არ ახსოვს, არის თუ არა საქმეში ამოღებული დოკუმენტაცია.

29. მონმე გ. ჟ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. ზ. ტ-ის და ვ. გ-ის სისხლის სამართლის საქმეზე იგი 2013 წლის 26 ოქტომბერს დაეხსრო ვ. გ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკას. ვ. გ-ის საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქ....., ... გამზირზე №...-ში. მათ ჩხრეკის შედეგად ამოიღეს 9 ცალი ე.წ. მიკროჩიპი, თეთრი ფერის კომპიუტერი და ერთი ცალი კომპიუტერის პროცესორი. აღნიშნული ნივთები ჩხრეკის ოქმში აღინერა დეტალურად, იგი გაეცნო ოქმს და მოაწერა ხელი.

30. მონმე ი. კ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. იგი მონაწილეობდა ვ. გ-ის ჩხრეკაში. ვ. გ-ი დააკავა ლ. ბ-მ 2013 წლის 26 ოქტომბერს. ჩხრეკის შედეგად ვ. გ-ს ამოუღეს მობილური ტელეფონი.

31. მონმე – შსს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის გ. მ-ს ჩვენებით, ასევე, 2013 წლის 26 ოქტომბრის ჩხრეკის ოქმით, 2013 წლის 26 ოქტომბრის ბრალდებულის დაკავების ოქმით, 2013 წლის 26 ოქტომბრის საგამომძიებო ექსპერიმენტის ოქმით და 2013 წლის 27 ოქტომბრის სათვალთვალ კამერების დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ გ. მ-ე 2013 წელს მუშაობდა თელავის რაიონ-

ნული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის თანამდებობაზე. მან გაჩხრიკა ზ. ტ-ის სახლი, ამოიღო ფულადი თანხა, კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონი. მან ასევე ადგილზე შეამონმა ვ. გ-ის ჩვენება „ე-ს“ ... ფილიალში. ვ. გ-მ მიაჩინა იმ დაჩივლულ სათამაშო აპარატებზე, რომლებზეც თამაშობდა ზ. ტ-ი. მათ ამოიღეს ჩიპები და დალუქეს. მან 2013 წლის 27 ოქტომბერს ასევე ჩაატარა კამერების დათვალიერება, სადაც ჩანს აპარატებთან მოთამაშე ზ. ტ-ი. მან დაადასტურა მის მიერ შედგენილი საგამომძიებო მოქმედებების ოქმების სისწორე. მანვე განმარტა, რომ საგამომძიებო მოქმედებების ოქმებში მიმდინარე პროცესი სრულად დააფიქსირა.

32. მოწმე ა. ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს თელავის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის თანამდებობაზე. მან დაიწყო გამოძიება მენეჯერ ვ. ჯ-ს განცხადების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო, რომ მისი კომპანიიდან მითვისებული იყო დიდი ოდენობით თანხა. ვ. ჯ-ემ უჩვენა, რომ მისმა თანამშრომელმა, ტექნიკოსმა ვ. გ-მ, ზ. ტ-თან ერთად, მითვისა თანხები. მათ ჩაატარეს გადაუდებელი საგამომძიებო მოქმედებები. დააკავეს ვ. გ-ი, ჩხრეკი-სას ზ. ტ-ის სახლიდან ამოიღეს ფულადი თანხა. მან პირადად გაჩხრიკა ვ. გ-ის ბინა და ამოიღო მიკროსქემები. ამოღებისას ვ. გ-მ განაცხადა, რომ ამ მიკროსქემებზე იყო ორიგინალი ვერსია, ხოლო აპარატებში არ იყო ორიგინალი ვერსიები, რაზეც ექსპერტმაც გასცა დასკვნა. ვინაიდან იყო ფინანსური დანაშაული, და ფიგურირებდა ელექტრონული კომუნიკაცია, ბრალდებულების სახლებიდან ასევე ამოიღეს კომპიუტერები და მობილური ტელეფონები. ზ. ტ-მ საგამომძიებო ექსპერიმენტის დროს ითამაშა აპარატებზე და კონკრეტულად მიუთითა, თუ როგორ იგებდა თანხებს. ზ. ტ-მ საგამომძიებო ექსპერიმენტის დროს, კოდის აკრეფის შემდეგ მოიგო თანხა, შემდეგ კვლავ აკრიფა კოდი და აპარატი მოიყვანა ჩვეულებრივ მდგომარეობაში და მაშინ წააგო თანხა. მანვე განმარტა, რომ სათამაშო აპარატის მიკროსქემმა არის დაცულ ადგილზე, რომელიც იღებოდა გასაღებით, ამ გასაღებზე ხელი მხოლოდ მომსახურე პერსონალს მიუწვდებოდა, მაგრამ მიკროსქემის ადგილმდებარეობა მხოლოდ ტექნიკოსმა იცოდა. იმ დროს, როდესაც ვ. გ-მ შეცვალა მიკროსქემები, ისინი დალუქულები არ ყოფილა. შემდეგ გაამკაცრეს უსაფრთხოება და მაშინ დაადეს ლუქები. მან ასევე დაათვალიერა ვ. ჯ-ს მიერ წარმოდგენილი მიკროსქემა. ჯ-მ წარმოადგინა ის მიკროსქემა, რაზეც ვ. გ-მ მიუთითა, რომ იყო დაპროგრამებული, ექსპერტმაც გასცა ამაზე დასკვნა. მან დანიშნა საბუღალტრო

ექსპერტიზა, მაგრამ ექსპერტმა ვერ დაადგინა ზიანი, ვინაიდან არის სპეციფიკური და წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო საკმარისი დასკვნისთვის. მანვე დაათვალა და შეისწავლა ვ. გ-ის მიუღლის – ნ. ნ-ის და შ. ს-ას გადარიცხვები. დადგინდა, რომ ტ-ი შ. ს-ას და ნ. ნ-ს კი ორ ანგარიშზე ურიცხავდა თანხებს. შ. ს-ას ქმარი იყო ზ. ტ-ის ახლო მეგობარი და ამიტომ ურიცხავდა ზ. მას თანხებს.

33. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მონმეებმა მიუთითეს ზიანის სხვადასხვა ოდენობა, კერძოდ: შპს „ჯ-ს“ მთავარი ბუღალტრის თ. ნ-ის ჩვენებით, დაჩიპული აპარატების ცალკე მინუსი ივლისის თვეში არის 17755 ლარი, მიუღებელი მოგება – 15870,42 ლარი, სულ მთლიანი ზარალი – 33625 ლარი; აგვისტოს თვეში მთლიანი მინუსი არის 308 ლარი და 29 თეთრი, დაჩიპული აპარატების მინუსი – 25642,76 ლარი, მიუღებელი მოგება – 12206,40 ლარი, სულ 37849 ლარი და 16 თეთრი; სექტემბრის თვეში მთლიანი ზარალი არის მინუს 23696 ლარი და 80 თეთრი, დაჩიპული აპარატების მინუსი – 50444 ლარი და 61 თეთრი, მიუღებელი მოგება – 15933 ლარი და 15 თეთრი, მთლიანად კომპანიის ზარალი არის – 57377 ლარი და 76 თეთრი; ოქტომბერში მთლიანი ზარალი არის მინუს 4103 ლარი და 77 თეთრი, დაჩიპული აპარატების მინუსი – 16783 ლარი და 82 თეთრი, მიუღებელი მოგება – 8516 ლარი და 59 თეთრი, სულ ზარალი – 25300 ლარი და 25 თეთრი.

34. ვ. გ-ის ჩვენებით, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში იყო შპს „ჯ-ს“ დირექტორის მინდობილი პირი, ირკვევა, რომ კომპანიამ მიუღებელ მოგებასთან ერთად განიცადა დაახლოებით 154000 ლარის ზიანი. უშუალოდ დაუფლებული თანხა იყო 101000 ლარი. დაზარალებულის წარმომადგენლის – ნ. მ-ის ჩვენებით, შპს „ჯ-ს“ მიადგა 151000 ლარის ზიანი. ზიანის გაანგარიშების კუთხით საყურადღებოა ნ. მ-ის ჩვენება, სადაც მან განმარტა, რომ ზ. ტ-ი ჩეკით იღებდა მოგებულ თანხებს, რაც არსად ფიქსირდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუღალტრულად არსად დაფიქსირებული არ არის, თუ რა რაოდენობის თანხა აქვს მიღებული ზ. ტ-ს.

35. მოწმე ა. ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მან დანიშნა საბუღალტრო ექსპერტიზა, მაგრამ ექსპერტმა ვერ დაადგინა ზიანი, ვინაიდან არის სპეციფიკური და წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იყო საკმარისი დასკვნისთვის.

36. წარდგენილი ბრალდების მიხედვით, ზ. ტ-მ ნ. ნ-ის ანგარიშზე გადარიცხა 13243 ლარი, ხოლო შ. ს-ას ანგარიშზე – 16650

ლარი. ვ. გ-ს გადასცა 500 ლარი, ხოლო ზ. ტ-ის სახლიდან ამოღებულია 6500 ლარი, რაც შეადგენს 36893 ლარს. ამასთან, გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილი არ არის, რომ ნ. ნ-ისა და შ. ს-ას ანგარიშებზე ჩარიცხული თანხა დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. ხოლო ბრალდების მონმე მ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ბინის ჩხრეკისას ამოღებული თანხა, 6500 ლარი, მას მამამისმა მისცა.

37. ამდენად, როდესაც შპს „ჯ-ს“ წარმომადგენლები მიუთითებენ ზიანის სხვადასხვა ოდენობას, ექსპერტიზაზე წარდგენილი დოკუმენტაცია არასაკმარისი აღმოჩნდა ზიანის განგარიშებისათვის და ბუღალტრულად არსად დაფიქსირებული არ არის, თუ რა რაოდენობის თანხა აქვს მიღებული ზ. ტ-ს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ დაადასტურა, რა რაოდენობის ზიანი მიაყენეს ზ. ტ-მ და ვ. გ-მ, ან საერთოდ მიაყენეს თუ არა, შპს „ჯ-ს“. აღნიშნული კი ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია.

38. რაც შეეხება ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებულ მიკროსქემებს, მ. მ-ის მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ სათამაშო აპარატები დაღუპული არ ყოფილა. ასევე არ გამოკვლეულა მტკიცებულება, რომ ვ. გ-ის ბინის ჩხრეკისას ამოღებული მიკროსქემები მოთავსებული იყო სათამაშო აპარატებში და ეს დაფიქსირებული იყო რაიმე დოკუმენტით, ვ. გ-მ კი გამოიყენა დუმილის უფლება და არ განმარტა, მიკროსქემების წარმომადგელობა. მოწმეების – ვ. ჯ-ს, გ. გ-ის, ნ. მ-ის, მ. რ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ქ-ის, ა. კ-ს, გ. მ-სა და ა. ბ-ის ჩვენებების ის ნაწილი, რომლებშიც ისინი გადმოსცემენ ბრალდებულების მიერ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არის ირიბი ჩვენება, რაც არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს, რის გამოც ასეთი ჩვენება საფუძვლად არ უნდა დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

39. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ზ. ტ-ისა და ვ. გ-ის მიერ მათთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია მათთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტით.

40. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებუ-

ლი წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე ან ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) ბრალდებულის უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

41. საქმის მასალების მიხედვით, საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გადამონმდა პროკურორის მიერ მოპოვებული ვერსია. ვ. გ-მ და ზ. ტ-მ საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირები მიიყვანეს იმ აპარატთან, რომელშიც ვ. გ-მ ზ. ტ-თან შეთანხმებით შეცვალა აპარატის მექანიზმების ბარათები ზ. ტ-ის მიერ გადაცემული მექანიზმების ბარათებით, რომლის საშუალებითაც შემდგომში სპეციალური კოდის გამოყენებით პერიოდულად ითვისებდნენ თანხებს. ამ დროს აპარატი გადადიოდა მოგების რეჟიმზე, ხოლო მოგების შემდგომ კრეფდნენ კოდს და აპარატი გადადიოდა ჩვეულ თამაშის რეჟიმზე.

42. სასამართლოში საქმის განხილვისას ვ. გ-მ და ზ. ტ-მ გამოიყენეს დუმილის უფლება და უარი განაცხადეს გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებზე.

43. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაუშვებელია სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე ბრალდებულის მიერ მოწმის სტატუსით მიცემული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნება ანუ მისი საჯაროდ წაკითხვა, ასევე ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის დემონსტრირება და მისი მტკიცებულებად გამოყენება, როდესაც ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას: როდესაც ზ. ტ-ისა და ვ. გ-ის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიების სტადიაზე მათი მონაწილეობით ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი, ისინი ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდნენ არა მოწმის, არამედ – ბრალდებულის სახით, თანახმად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (გარდამავალი დებულებები) 2016 წლის 20 თებერვლამდე მოქმედი რედაქციისა, მაგრამ მის მიერ პროცესის აღნიშნულ სტადიაზე, მათ შორის – საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მიცემული ჩვენების სასამართლოში საქმის არ-

სებითი განხილვისას გამოქვეყნება და შემდგომში მტკიცებულების სახით მისი გამოყენება მაშინაც დაუშვებელი იყო (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია, მუხლი 447, ნაწილი პირველი), თუკი ბრალდებული, განსასჯელი ამის წინააღმდეგი იქნებოდა.

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს რამდენადმე განსხვავებულ ვითარებასთან, რადგან საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ზ. ტ-სა და ვ. გ-ს ჩვენება არ მიუციათ, არამედ ვითარება აღადგინეს იმ ხერხების დემონსტრირებით, რაც მათ მიერ გამოყენებული იყო ბრალდების მხარის მიერ მათთვის დანაშაულად შერაცხული ქმედების ჩასადენად. ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენა კი ჩვენებად ვერ იქნება მიჩნეული, რის გამოც მის მიმართ არ ვრცელდება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა. ამასთან, ბრალდებულის მიერ საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ქმედების ჩადენის ვითარების აღდგენის ამსახველი ოქმი, რომელიც შედგენილ იქნა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის დადგენისა და დასაბუთებისათვის. თუმცა, იმავეს თქმა შეუძლებელია საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების (ინფორმაციის) თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელზეც ვრცელდება ის ზოგადი შემზღუდავი წესი, რაზედაც პირდაპირ არის მითითებული მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელ ნაწილში.

45. ამავე დროს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებას: ზ. ტ-ისა და ვ. გ-ის საქმეში საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის, როგორც პირდაპირი მტკიცებულების გარდა, ბრალდების მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა სხვა მტკიცებულებებიც მოწმეთა ირიბი ჩვენებების სახით, მაგრამ მტკიცებულებათა ამგვარი ერთობლიობა, როდესაც მათგან მხოლოდ ერთი წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას, არ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობად, რომელიც საკმარისი იქნება გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. აღნიშნული სტანდარტის დაცვით გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პირდაპირი, ამასთან, კანონიერი გზით მოპოვებული და უტყუარი მტკიცებულების ერთობლიობის არსებობა, რაც ობიექტურ დამკვირვებელს უქმნის საფუძვლიან, და-

მაჯერებელ რწმენას მათი სანდოობის თაობაზე და, აქედან გამომდინარე, თვით სასამართლო გადაწყვეტილების სამართლიანობაზეც, იმისგან დამოუკიდებლად – მათთან ერთად მოიპოვება თუ არა ირიბი ჩვენებების სახით სხვა მტკიცებულებებიც.

46. კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დასადგენად საჭირო, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობის კონსტიტუციური არსის აღნიშნული გაგება ამჟამად არსებულ პირობებში, როდესაც მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ზუსტად და მკაფიოდ არ არის განსაზღვრული ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების დასაშვებობისა თუ მისი სანდოობისა და საკმარისობის კრიტერიუმები, პირდაპირ გამომდინარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებიდან, რომლითაც საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებისა და იმავე კოდექსის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. მოცემული სტანდარტის შესაბამისი მოთხოვნების დაცვით პირის მიმართ განაჩენის დადგენა უკვე მტკიცედ არის დამკვიდრებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში სისხლის სამართლის საქმეებზე (მაგალითისათვის იხილეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენი, №448აპ-14 და 2015 წლის 5 მაისის განაჩენი, №440 აპ-14).

47. ამრიგად, საკასაციო პალატა დაასკვნის: საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 130-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, პროკურატურამ ზ. ტ-ისა და ვ. გ-ის ბრალდების საქმეზე მის მიერ ჩამოყალიბებული ვერსიები გადაამოწმა და საამისოდ განხორციელებული მოქმედებები ასახა საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში, რომელიც, როგორც კანონიერი და პირდაპირი მტკიცებულება, სასამართლოს შეეძლო გამოექვეყნებინა საქმის არსებითი განხილვისას. მაგრამ მხოლოდ ეს ერთი პირდაპირი მტკიცებულება, თუნდაც მოცემულ საქმეში რეალურად არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, არ იძლევა საკმარის საფუძ-

ველს იმისათვის, რათა ზ. ტ-სა და ვ. გ-ს კანონიერად და დასაბუთებულად დაედოთ მსჯავრი იმ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რაშიც ბრალი ჰქონდათ წარდგენილი, რადგან საქმეში არსებული, ზემოხსენებული ყველა სხვა მტკიცებულება, მოწმეთა ჩვენებების სახით, არის ირიბი, რის გამოც უტყუარად და დამაჯერებლად ვერ დასტურდება, რომ ნამდვილად მათ ჩაიდინეს აღნიშნული ქმედებები. მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება კი, როგორც არასაკმარისი საფუძველი, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის მსჯავრდებისათვის.

48. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქ. ვ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 სექტემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლოს სახელით

№609აპ-15

19 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ზ. მ-ას ინტერესების დამცველი
ადვოკატების – გ. კ-სა და ა. მ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-
ლატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის
განაჩენით ზ.მ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა უდა-
ნაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-
ე, 118-ე მუხლების პირველი ნაწილებითა და 236-ე მუხლის მე-2
ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამარ-
თლდა. ზ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიე-
საჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ამავე კოდექსის
42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განე-
საზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. სისხლის სამართლის კოდექსის
67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა ოზურგეთის
რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს განაჩენით ზ.
მ-თვის სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირვე-
ლი, მეორე ნაწილებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3
ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილი პირობითი მსჯავრი –
4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის
მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმდა საქართვე-
ლოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმო-
სავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს 2014 წლის 30 იან-
ვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ოზურგეთის რაიონული
სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს განაჩენით სისხლის სა-

მართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტებით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელი სასჯელისაგან (1 წლით თავისუფლების აღკვეთა) ზ. მ-ას 3 თვითა და 10 დღით ადრე პირობით ვადამდე გათავისუფლება. ამავე კოდექსის 72-ე მუხლის მე-6 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთას – მთლიანად დაემატა წინა – ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 4 წლით, 3 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ზ. მ-ას განესაზღვრა 7 წლით, 3 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაენწყო დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 12 აგვისტოდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო.

2. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა ზ. მ-ამ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში: ზ. მ-ამ დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის №... პისტოლეტი და ამ პისტოლეტისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა – 8 ცალი ვაზნა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში – მდებარე ქალაქ ..., ... ქუჩა №...-ში. აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა 2014 წლის 12 აგვისტოს ამოღებულ იქნა ზ. მ-ას საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენით ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის განაჩენი შეიცვალა: მსჯავრდებულ ზ. მ-ას მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე მუხლების პირველი ნაწილებითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი გამამართლებელი განაჩენი გაუქმდა. ზ. მ-ას ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლების პირველი ნაწილებიდან გადაკვალიფიცირდა 19,120-ე მუხლზე. ზ. მ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,120-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) – 3 წლით თავისუფ-

ლების აღკვეთა, ხოლო 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით ზ. მ-ას განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით – ჯარიმა – 2000 ლარი. გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 აგვისტოს განაჩენით ზ. მ-ის დადგენილი პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ნაწილობრივ (3 წელი) დაემატა ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლების შედეგად დარჩენილი 3 თვითა და 10 დღით თავისუფლების აღკვეთა შთანთქა ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა და საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, ზ. მ-ას განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 2000 ლარი. მსჯავრდებულ ზ. მ-ას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 12 აგვისტოდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ზ. მ-ას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – გ. კ-მა და ა. მ-ემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, მსჯავრდებულ ზ. მ-ას უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

5. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ზ. მ-ამ და მისმა ადვოკატებმა – გ. კ-მა და ა. მ-ემ მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება.

6. პროკურორი შოთა ჩხაიძე არ დაეთანხმა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ზ. მ-ას დამცველების, ადვოკატების – გ. კ-სა და ა. მ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს,

ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ზ. მ-ას ბრალდების საქმეზე პროცესის წარმოებისას არსებითად დაირღვა ის იმპერატიული მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. ასეთი დარღვევები დაშვებულ იქნა როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას და გამამტყუნებელი განაჩენების სახით სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა მატერიალური სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმები, კერძოდ, გამოიყენა ნორმები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა.

3. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ ჯეროვანი შეფასება არ მისცეს აღნიშნული საქმის წარმოებისას წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაშვებულ დარღვევებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი და იმავე საპროცესო ნორმების შინაარსი და მათი დანაწესი ურთიერთსაპირისპირო, რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით განმარტეს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებული, უაღრესად მნიშვნელოვანი საპროცესო ინსტიტუტის არსისა და ფუნქციური დანიშნულების არაერთგვაროვანი გაგების ანარეკლს.

4. წინასწარი გამოძიების სტადიაზე ზ. მ-ას მიმართ წარდგენილი ბრალის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: ის თავის სახლში უკანონოდ ინახავდა ასევე უკანონოდ შეძენილ ცეცხლსასროლ იარაღს – „მაკაროვის“ სისტემის, №..., ... პისტოლეტს, საბრძოლო მასალასა და მჭიდებთან ერთად. ამ იარაღის მეშვეობით მან 2013 წლის 3 მაისს, 01:00 საათზე, ქ. ..., დაზარალებულ გ. კ-თან მომხდარი კონფლიქტის დროს, ჩაიდინა ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება და დაზარალებულ რ. მ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება. აქედან გამომდინარე, ზ. მ-ას წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, ამავე კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

5. საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ ჩხრეკა ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში, რომლის დროსაც საძინებელ ოთახში

ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მასალასთან ერთად, ჩატარდა 2014 წლის 12 აგვისტოს, ქ. ... მომხდარი კონფლიქტიდან (03.05.2013წ.) ერთ წელსა და სამ თვეზე მეტი ხნის შემდეგ, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველითა და ზ. მ-ას დედის – რ. ხ-ის თანხმობით. მასალეობით ირკვევა, რომ ჩხრეკის პარალელურად ქ. ... გამოძიებამ დააკავა ზ. მ-ა, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, მაგრამ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნაპოვნი ვერ იქნა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს შემდეგზე: გამოძიებლისათვის, როდესაც ის აპირებდა ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარებას გადაუდებელი აუცილებლობის წესით, უკვე ცნობილი იყო ის გარემოება, რომ ზ. მ-ა შინ არ იყო, ამასთან, ის იმყოფებოდა მეთვალყურეობის ქვეშ, რასაც უდავოდ ადასტურებს ჩხრეკის პარალელურად სხვა ქალაქში მისი დაკავება. აღნიშნული გარემოებები ლოგიკურად აჩენს საფუძველიან ეჭვს – რეალურად არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ჩხრეკის ჩატარების საფუძველი. ასეთ ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს ჩხრეკის ადგილზე ამ საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე არსებული ვითარება. როგორც აღმოჩნდა, შინ არ იმყოფებოდა ასევე გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრე, ზ. მ-ას დედა – რ. ხ-ი, რომელსაც დაუკავშირდნენ მობილური ტელეფონით. ადგილზე იმყოფებოდა მხოლოდ ზ. მ-ას მოხუცი ბებია – მ. მ.ა. გამოძახების შემდეგ რ. ხ-ი გამოცხადდა ჩხრეკის ადგილზე, რის შემდეგაც გამოძიებელი შეუდგა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. აღნიშნული იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ფაქტობრივად არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ჩხრეკის ჩატარებისათვის საჭირო პირობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით.

6. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის დაწყებამდე, გამოძიებელს გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრისათვის არ წარუდგენია დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, რასაც პირდაპირ ითვალისწინებს საპროცესო კანონი. ამიტომ აღნიშნული დადგენილების წარუდგენლობა ეჭვქვეშ აყენებს თვით ჩხრეკის ჩატარების ლეგიტიმურობას იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რომ ჩხრეკის დაწყების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს – მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაკარგვა ან განად-

გურება. მსგავს ვითარებაში შესაძლოა, მართლაც ვერ მოესწროს აღნიშნული დადგენილების დროულად გამოტანა (თუმცა, როგორც საქმის გარემოებებით დასტურდება, ზ. მ-ას საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკამდე არ არსებობდა ისეთი უკიდურესი ვითარება, რაც საერთოდ არ ტოვებდა დროს საჭირო დადგენილების გამოსატანად და გასაჩხრეკი ობიექტის მესაკუთრისათვის მის წარსადგენად), მაგრამ ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საპროცესო კანონის მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამონმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე (აღნიშნულ საპროცესო მოთხოვნებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილი და იმავე კოდექსის 120-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილები). ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარების შემდეგ, რა დროსაც ჩხრეკის ადგილიდან ამოღებულ იქნა ნივთმტკიცებები ზემოხსენებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის სახით, შესაბამისმა პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს ამ ჩხრეკის კანონიერების შემოწმების თაობაზე, მაგრამ მოსამართლემ განჩინებით პროკურორს უარი უთხრა შუამდგომლობის არსებით განხილვაზე, რაც იმით დაასაბუთა, რომ, თითქოს, რადგან არსებობდა ბინის მესაკუთრის – რ. ხ-ის თანხმობა ჩხრეკის ჩატარებაზე, ამიტომ საჭირო აღარ იყო ჩხრეკის კანონიერების სასამართლო წესით შემოწმება. მოსამართლის ასეთი პოზიცია აშკარად არ შეესაბამება საპროცესო კანონით დადგენილ იმ წესებსა და მოთხოვნებს, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული.

7. გარდა აღნიშნულისა, ყურადღება უნდა მიჰქცეოდეს და სათანადო შეფასება მისცემოდა ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის მიმდინარეობისას დაშვებულ სხვა დარღვევებსაც, რაც არ გაუკეთებია საქმის განმხილველ სასამართლოს. ჩხრეკის დაწყებისას ფოტოსურათებზე არ დაფიქსირებულა იმ საძიებელ ოთახში არსებული თავდაპირველი მდგომარეობა, სადაც ნივთმტკიცებები იქნა აღმოჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკისას მიმდინარეობდა ფოტოგადაღება. კერძოდ, ჩხრეკის ოქმში აღნიშნულია, რომ საძიებელ ოთახში, სანოლზე, ბალიშის ქვეშ, ნაპოვნი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი №..., ..., მჭიდითა და მასში

არსებული საბრძოლო მასალით – 8 ცალი ვაზნით, ხოლო იმავე ოთახის კარის შიგნითა მხარეზე, სახელურზე ჩამოკიდებულ შავ ჩანთაში აღმოჩნდა ცარიელი მჭიდი. მაგრამ ფოტოებზე ყველა აღნიშნული ნივთმტკიცება სანოლზეა ერთად დაყრილი და გადაღებული – პისტოლეტი, ცარიელი მჭიდები, ვაზნები, შავი ჩანთა და არა მათ თავდაპირველ ადგილზე, მაგალითად: ფოტოებზე არ ჩანს კარის სახელურზე ჩამოკიდებული შავი ჩანთა, ამ ჩანთის შიგთავსი ცარიელი მჭიდით, სანოლზე ბალიშის თავდაპირველი მდგომარეობა, რომლის ქვეშაც იარაღი ინახებოდა, ასევე არ არის ფოტოზე დაფიქსირებული ბალიშის ალების პროცედურა, რის შედეგადაც მის ქვეშ იარაღი იქნა აღმოჩენილი. ამავე დროს, შემდგომში ჩხრეკის დამსწრე პირების მიერ დაკითხვებისას მიცემული ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ჩხრეკაში მონაწილე ექსპერტი მისი დაწყებიდანვე არ მონაწილეობდა ამ საგამოძიებო მოქმედებაში, იგი მოგვიანებით გამოცხადდა ჩხრეკის ადგილზე და შემდეგ ჩაერთო მასში, მაგრამ ეს ნივთმტკიცებები უკვე მის გამოცხადებამდე იქნა აღმოჩენილი და ამოღებული, რის გამოც მას არ უნახავს ჩხრეკისას კონკრეტულად სად და რა ვითარებაში იპოვეს ისინი.

8. ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისა და მის შედეგად მოპოვებული ნივთმტკიცებების კანონიერების საკითხსა და მასთან დაკავშირებით თავის პრეტენზიაზე დაცვის მხარე ამარაღებულ მიაქცია სასამართლოების ყურადღებაზე მოაღნიშნულ მნიშვნელოვან დარღვევებზე მითითებით, კერძოდ, წინასასამართლო სხდომაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, მაგრამ ამას სათანადო რეაგირება არ მოჰყვა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით დაშვებული ყველა საპროცესო დარღვევა, რომლებზეც ზემოთ იყო მითითებული, ერთობლიობაში აღებული, საფუძველს აცლის ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობასა და, რაც მთავარია, მათ კანონიერებას. აღნიშნულის გამო არ შეიძლება ისინი საფუძველად დაედოს ზ. მ-ას მსჯავრდებას, თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილში განმტკიცებული ფუნდამენტური პრინციპისა, რომლის მიხედვით – მტკიცებულებების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ფუნდამენტური პრინციპის დარღვევით დაედო მსჯავრი ზ. მ-ას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ – ცეცხლსასროლი იარაღისა და

საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნასა და შენახვაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მიერ – ასევე, მართლსაწინააღმდეგო ტარებაშიც, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

9. განხილული გარემოებების გამო, მტკიცებულებით ძალას ვერ შეიძენს ქ. ..., ... ქუჩაზე, 2013 წლის 3 მაისს მომხდარი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ის მასრები, რომლებიც, მოცემულ საქმეზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 2014 წლის 12 აგვისტოს ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღით გასროლილი ვაზნებისგანაა დარჩენილი. ეგრეთ წოდებული „მონამღული ხის ნაყოფის“ ცნობილი პრინციპის შესაბამისად, არაკანონიერად მოპოვებული და არასანდო მტკიცებულებისგან მიღებული სხვა ახალი მტკიცებულებაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირის მსჯავრდებისათვის, რადგან პირველადი წყაროს სამართლებრივი დეფექტი ასევე დეფექტურს ხდის მისგან ნაწარმოებ მტკიცებულებებსაც. ამიტომ 2013 წლის 3 მაისს მომხდარი შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრები, რომლებიც საფუძვლად დაედო ზ. მ-ას მსჯავრდებას ისეთ დანაშაულში, როგორიცაა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 120-ე მუხლებითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არ უნდა მიეღო ისეთ მტკიცებულებად, რომელიც ვარგისია გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

10. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ზ. მ-ას მსჯავრდებას ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნის, შენახვისა და ტარების ნაწილში, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, არ გააჩნია კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ უპირობო მოთხოვნას წარმოადგენს სასამართლო განაჩენის მიმართ. სააპელაციო პალატამ ამ ნაწილში ზ. მ-ას ბრალეულობაზე მსჯელობისას და მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის საუარესოდ შებრუნებისას სათანადო ყურადღებისა

და შეფასების გარეშე დატოვა ზემოაღნიშნული გარემოებები.

11. სააპელაციო პალატამ ზ. მ-ას მსჯავრი დასდო აგრეთვე ისეთი ქმედების ბრალეულად ჩადენაში, როგორცაა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 120-ე მუხლებით. საქმის მასალებიდან ცნობილია, რომ სახელმწიფო ბრალდებამ ზ. მ-ას ბრალი წაუყენა დაზარალებულ რ. მ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და დაზარალებულ გ. კ-ს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ჩადენაში ცეცხლსასროლი იარაღის – „მაკაროვის“ სისტემის, №..., ... პისტოლეტით განხორციელებული გასროლებით, რომელსაც ის მართლსაწინააღმდეგოდ ფლობდა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა შემთხვევის ადგილზე – ქ. ..., ... ქუჩაზე მისი მონაწილეობით მომხდარი კონფლიქტის დროს.

12. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მათ თაობაზე საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და მათი მკაცრი ლოგიკური ანალიზის საფუძველზე აღნიშნულ ბრალდებასთან მიმართებით ჩამოაყალიბა მართებული და დასაბუთებული დასკვნა ამ ეპიზოდთან დაკავშირებით წარდგენილ ბრალდებაში ზ. მ-ას უდანაშაულობის თაობაზე. დასკვნაში სასამართლომ სავესებით სწორად მიუთითა, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა და საქმეში არ მოიპოვება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა მომხდარი შემთხვევის დროს ზ. მ-ას მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა და ამ იარაღით გასროლების განხორციელება დაზარალებულთა მიმართ. საკასაციო პალატაც მიიჩნევს, რომ ეს ვერსია არ არის დადასტურებული თუნდაც ერთი პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებით მაინც. მის საფუძველიანობას ასევე არ ადასტურებს შემთხვევის ადგილზე მყოფი დაზარალებულებისა და მოწმე ნ. ლ-ს ჩვენებები, რომლებიც ვარაუდსაკი არ გამოთქვამენ ამ ვერსიის სასარგებლოდ. დაზარალებულები ვერ მიუთითებენ, ვინ ისროლა მათი მისამართით, გამოორიცხავენ მათ მიმართ ასეთი ქმედების ჩადენას ზ. მ-ას მიერ, შემთხვევის ადგილზე მისი ყოფნის მიუხედავად.

13. რაც შეეხება ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნას შემთხვევის ადგილიდან ამოღებული რამდენიმე მასრის იმ ცეცხლსასროლი იარაღისადმი კუთვნილების შესახებ, რომელიც 2014 წლის 12 აგვისტოს ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად იქნა ამოღებული, ვერ გამოდგება და-

ზარალეულთა ჯანმრთელობის დასაზიანებლად მსჯავრდებულის მიერ მიზანმიმართული გასროლების დასასაბუთებლად შემდეგ გარემოებათა გამო: როგორც უკვე აღინიშნა, ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით დაშვებული უხეში საპროცესო დარღვევების გამო, ცეცხლსასროლი იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი №..., ..., კარგავს კანონიერი მტკიცებულების მნიშვნელობას, ხოლო აქედან გამომდინარე – ის მასრებიც, რომლებიც ამ იარაღიდან არის გასროლილი. გარდა ამისა, ეს გარემოება რომც არ იქნეს მხედველობაში მიღებული, დათვალიერებისას ამოღებული მასრებით დადასტურებულია შემდეგი გარემოება: შემთხვევის ადგილზე გასროლები განხორციელებულია სამი სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღით, ამასთან, საერთოდ ვარაუდის დონეზეც კი, დაუდგენელია იმ მომენტში ვინ ფლობდა მათ, ვინ ისროდა ამ იარაღებით და რა მიზნით – დაზარალებულებზე თავდასხმის, თუ პირიქით – თავდაცვის მიზნით.

14. განხილული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გაამართლა ზ. მ-ა მის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით, ამავე კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. თუმცა, ამ სასამართლომ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებისას ჯეროვანი შეფასება არ მისცა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ზ. მ-ას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკის ჩატარებისას და მისი დაკანონების საკითხთან დაკავშირებით დაშვებულ უხეშ საპროცესო დარღვევებს, რაც შეუძლებელს ხდიდა ამ ჩხრეკით მოპოვებული ნივთმტკიცების – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის საქმეზე მტკიცებულებად დაშვებასა და ბრალდების ამ ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთებისათვის გამოყენებას.

15. ასეთ პირობებში ყოველგვარ დასაბუთებულ საფუძველსაა მოკლებული სააპელაციო სასამართლოს გადანყევტილება ზ. მ-ას მსჯავრდების შესახებ, რომ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით. იგივე უნდა ითქვას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზ. მ-ას მსჯავრდებაზე სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 120-ე მუხლებით, საამისოდ სათანადო მტკიცებულებითი ბაზის უქონლობის გამო. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მსჯავრდების ამ ნაწილ-

თან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები, ძირითადად, ვარაუდებს ეყრდნობა, რასაც საფუძვლად არ უდევს უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, ასეთის ფაქტობრივად არარსებობის გამო.

16. ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, არც სააპელაციო სასამართლომ მისცა ადეკვატური შეფასება ზემოხსენებულ ჩხრეკასა და ამ გზით მტკიცებულების მოპოვებასთან მიმართებით დაშვებულ უხემ საპროცესო დარღვევებს და თავისი განაჩენით ისე შერაცხა ზ. მ-ას ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით მისთვის წარდგენილი ბრალი. რაც შეეხება იმავე განაჩენით ზ. მ-ას სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 120-ე მუხლებით მსჯავრდებას ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მცდელობაში, უნდა აღინიშნოს შემდეგი: სააპელაციო სასამართლო იძულებული იყო, ელიარებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნის სისწორე იმის თაობაზე, რომ უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობის არარსებობის გამო ვერ დასტურდებოდა მსჯავრდებულის მიერ დაზარალებულებისათვის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებების მიყენება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ, კანონიერებისა და დამაჯერებლობის თვალსაზრისით, მტკიცებულებების არასანდოობისა და არასაკმარისობის პირობებში, რატომღაც მაინც მიიჩნია შესაძლებლად ზ. მ-ას ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 118-ე მუხლების პირველი ნაწილებიდან იმავე კოდექსის მე-19 და 120-ე მუხლებზე გადაკვალიფიცირება და მისთვის მსჯავრის დადება.

17. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიერთებულ იმ მტკიცებულებებს შორის, რომლებსაც ის დაეყრდნო, ერთიკი არ არის ისეთი, რომელიც იქნებოდა პირდაპირი და კანონიერი მტკიცებულება, დამადასტურებელი იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე ნამდვილად ზ. მ-ა ისროდა ცეცხლსასროლი იარაღიდან დაზარალებულთა მისამართით, მათი ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით. ამის გამოცაა, რომ სააპელაციო სასამართლო თავისი მსჯელობისას და ბრალის დასაბუთებისას უმეტესად ვარაუდების გამოთქმით შემოიფარგლება. მართალია, სასამართლო თავის მსჯელობაში უთითებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად დადასტურებული ბრალის არსებობაზე, მაგრამ სინამდვილეში ის ძირითადი მტკიცებულებები, რომლებსაც ის ეყრდნობა ზ. მ-ის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მცდელობის შერაცხვის ნა-

ნილში და მისი ბრალის დასაბუთებისას, რეალურად ვერ ქმნიან ასეთ ერთობლიობას.

18. საქმე იმაშია, რომ ამ მტკიცებულებათა ნაწილი, ზემოთ მოხმობილ გარემოებათა გამო, კანონიერად ვერ იქნება მიჩნეული. მხედველობაშია გამამტყუნებელი განაჩენით ზ. მ-ის მიკუთვნებული ცეცხლსასროლი იარაღი და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრები, რომლებიც კავშირშია ამ იარაღთან. საპროცესო კანონის იმ მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, რომლებიც საფუძველს აცლის აღნიშნული მტკიცებულებების ლეგიტიმურობას, არ შეიძლება ისინი საფუძვლად დაედოს ზ. მ-ას მსჯავრდებას.

19. რაც შეეხება მოწმე ნ. ლ-ს ჩვენებას, რომლითაც დასტურდება მომხდარი შემთხვევის ადგილზე ზ. მ-ას ყოფნა, ის არ არის პირდაპირი გამტკიცებელი იმისა, რომ ნამდვილად ზ. მ-ა ისროდა ცეცხლსასროლი იარაღიდან, ვინაიდან ამ მოწმეს ასეთი რამ არ უნახავს. დაზარალებულთა ჩვენებებით კი, რომლებიც გამორიცხავენ ზ. მ-ას მათზე შესაძლო თავდასხმას, საერთოდ გაუგებარი რჩება ამ უკანასკნელის როლი მოვლენათა განვითარებაში, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია არა ერთი, არამედ – სამი სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის მასრები. სხვა სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც შესაძლებელი იქნებოდა განხილულ ეპიზოდში ზ. მ-ას ბრალის დადასტურება იმაში, რომ სწორედ ის ახორციელებდა გასროლებს დაზარალებულთა ჯანმრთელობის დაზიანების, თანაც მხოლოდ მსუბუქი დაზიანების განზრახვით, საქმეში არ მოიპოვება. ამიტომ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. მ-ას მსჯავრდებისას არასწორად გამოიყენა მატერიალური სამართლის ნორმები (საქართველოს სსსსსსსს სამართლის კოდექსის მე-19 და 120-ე მუხლები) მისი ქმედების კვალიფიკაციისათვის, რადგან სამისოდ არ არსებობდა ჯეროვანი საფუძველი.

20. ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, საკასაციო პალატა ზ. მ-ას მსჯავრდებას ვერ მიიჩნევს კანონიერად და დასაბუთებულად. ასეთი პოზიცია ეფუძნება, ერთი მხრივ, ზ. მ-ას ბრალდების საქმეში არსებული მასალების ობიექტურ, მიუკერძოებელ ანალიზსა და შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, კონსტიტუციური მნიშვნელობის ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპის დაცვის აუცილებლობას, რაზედაც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის ბოლოდროინდელ გადანყვეტილებებში, რათა არ

მოხდეს ადამიანთა უსაფუძვლო მსჯავრდება. ამ შემთხვევაში საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება, რომელშიც ხაზგასმითაა მითითებული პირის მსჯავრდებისათვის უტყუარი მტკიცებულებების არსებობის აუცილებლობაზე, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა ადასტურებდეს მის ბრალს დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, აღასრულოს მართლმსაჯულება, არ უნდა იქნეს დასუსტებული ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებელ და ობიექტურ დამკვირვებელს გაუჩენს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდებაზე. გარდა ამისა, საგულისხმოა ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმავე გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული პოზიცია, რომლის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადანაცვითს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. ამავე გადაწყვეტილების ლოგიკური ანალოზიდან გამომდინარე დასკვნის მიხედვით, პირის მსჯავრდება დაუშვებელია, როცა არ არსებობს დანაშაულში მისი მამხილებელი პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა და, შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ ირიბი ჩვენებებისა და სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებების საფუძველზე.

21. საკასაციო პალატის საბოლოო დასკვნით, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა ბოლომდე და თანმიმდევრულად ვერ დაიცვეს აღნიშნული მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის, როგორც ადამიანის თავისუფლების ყველაზე დიდი გარანტის მოქმედების შეუქცევადობას. აღნიშნულმა გარემოებამ კი განაპირობა ზ. მ-ას უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი მსჯავრდება, რითაც დაირღვა მისი უფლებები, გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საქროცესო კანონმდებლობით.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო ზ. მ-ა

უნდა გამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 120-ე მუხლებით, იმავე კოდექსის 236-ე მუხლის პირველი – მე-2 ნაწილების საფუძველზე შერაცხულ ბრალდებებში და იგი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ზ. მ-ას ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. კ-სა და ა. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენი ზ. მ-ას მიმართ;
3. ზ. მ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 19,120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდეს;
4. ზ. მ-ა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან სასამართლო სხდომის დარბაზიდან;
5. გამართლებულ ზ. მ-ას განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;
6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განაჩენი დანარჩენ (ნივთმტკიცების) ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დავის შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№632აპ-15

7 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
მ. ვაჩაძე

განიხილა მსჯავრდებულ ე. მ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განაჩენით ე. მ., – დაბადებული ... წლის ...ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ელდარ მიქაძეს განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 სექტემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და საბოლოოდ ე. მ-ეს განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. ფოთის საქალაქო სასამართლომ წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინებულად მიიჩნია, რომ ე. მ-ემ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა ჩვენების მიცემის იძულება, ე.ი. უკანონო ქმედებით ეჭვმიტანილის იძულება ჩვენების მიცემისათვის, რასაც თან ერთვოდა ძალადობა, აბუჩად აგდება ან წამება, რაც გამოინახა შემდეგში:

3. 2001 წლის 14 ივლისს, ღამის საათებში, დაახლოებით 02 საათიდან 04 საათამდე პერიოდში, დაუდგენელმა პირმა გაქურდა ქ. ...ში, ...-ში მცხოვრები მ. ს-ას ბინა, საიდანაც წაიღეს „ფუნაის“ ფირმის ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი მართვის

პულტით. აღნიშნული ბინა მდებარეობდა ... შს სამმართველოს ...- ტერიტორიაზე.

4. 2001 წლის 14 ივლისს, ღამით, დაახლოებით 5 საათზე, ქ. ...ში, ...- ხიდის მახლობლად, ქ. ...ის სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა – კ. ლ-ამ და თ. შ-ამ დააკავეს ...- წელს დაბადებული თ. მ., რომელიც გადაიყვანეს ...-ის სატრანსპორტო პოლიციის ქვეგანყოფილების შენობაში, სადაც იგი ყოველგვარი პროცესუალური დოკუმენტის შედგენის გარეშე, განზრახ უკანონოდ იყო დაკავებული 07:10 საათამდე.

5. ... სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილე მ. მ-მა, რომელიც ასრულებდა ... ხელმძღვანელობის დანაშაულებრივ დავალებას, თ. მ-ას დაკავების დროს დაშვებული კანონდარღვევების გამოსწორების მიზნით, რომ თითქოსდა დანაშაული თ. მ-ას ჩადენილი ჰქონდა ...- შს სამმართველოს და არა სატრანსპორტო პოლიციის ტერიტორიაზე, დაახლოებით 07:10 საათისათვის თ. მ. სატრანსპორტო პოლიციის შენობიდან გადაიყვანა ...-ში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე. მ. მ-თან ერთად ... ტერიტორიაზე მყოფმა ამავე სამმართველოს ინსპექტორებმა – ე. ს-ამ და კ. ხ-ამ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, გააფორმეს საპროცესო დოკუმენტი, რომელშიც მიუთითეს, რომ თითქოს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩაუტარეს თ. მ-ას პირადი ჩხრეკა, აგრეთვე ამოიღეს მოქალაქე მ. ს-ას ბინიდან ფარულად გატაცებულად მიჩნეული ნივთები, რაც ხელმოწერით დაადასტურეს შ. ბ-ამ, ე. ს-ამ და კ. ხ-ამ. აღნიშნულის შემდეგ თ. მ. უკანონოდ გადაიყვანეს ქ. ... შს სამმართველოში, სადაც ისე, რომ არ არსებობდა თ. მ-ას ეჭვმიტანილის სახით დაკავების ოქმი, განზრახ, უკანონოდ დააკავეს და მოათავსეს ქ. ...ის შს სამმართველოს დროებითი მოთავსების საკანში.

6. იმავე დღეს თითქოსდა შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ნივთმტკიცებები წარედგინა ქ. ...ში, ...ში მცხოვრებ მ. ს-ას. მ. ს-ას სახლის დათვალიერების შემდეგ, საპროცესო ნორმების დარღვევით, უკვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მასთან მისადაგების მიზნით, მ. ს-ას ჩამოერთვა ახსნა-განმარტება. მას შემდეგ, რაც ეს მასალები გადაეცა ქ. ...ის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსს – მ. ს-ს, მან მოკვლეული მასალებისა და მ. ს-ას ახსნა-განმარტებების საფუძველზე ქ. ...ში შს სამმართველოს მორიგე რ. გ. უკანონო მითითებით აიძულა, რომ 2001 წლის 14 ივლისს ყალბად, მისი წინამორბედის, თ. ბ-ას სახელით შეედგინა ოქმი, თითქოსდა დილის 6 საათზე უცნობი მოქალაქის სატელეფონო

შეტყობინების მიღების შესახებ, ქ. ...ში, ...-ში მცხოვრები მ. ს-ას ბინის ქურდობის ფაქტზე, რაც ქ. ...ის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსმა – მ. ს-მა დაანერა ...ის შს სამმართველოს ...- უფროსს – პ. ჯ-ეს და ...ის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე მ. მ-ს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე თვითონ აღძრა თ. მ-ას მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

7. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს წარმოებაში მიიღო ...ის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე მ. მ-მა და გამოიტანა დადგენილება თ. მ-ას ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ. ამის შემდეგ თ. მ. მოთავსდა ქ. ...ის შს სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში. მ. ს-მა სხვა დანაშაულებათა გახსნისა და თანამონაწილეთა დასახელების მიზნით, მისი უკანონო ბრძანებისა და დავალების საფუძველზე, მიუხედავად პასუხისმგებელი მორიგის – რ. გ-ის მხრიდან განეული წინააღმდეგობისა, თ. მ. დაახლოებით 15:00 საათის შემდეგ ...ის შს სამმართველოს ... ოპერატიულ თანამშრომლებს – კ. ა-ას, ა. ს-სა და ჰ. კ-ეს ააყვანინა პოლიციის შენობის მე-2 სართულზე, ოპერატიული მუშაკის – ზ. ხ-ას სამუშაო კაბინეტში. მათ მოგვიანებით შეუერთდნენ ამავე ქვეგანყოფილების ოპერატიული თანამშრომლები – ე. მ. და პ. ჯ., ისინი შეიარაღებულები იყვნენ „მაკაროვის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღებით, ხოლო პ. ჯ-ეს ჰქონდა ასევე რეზინის ხელკეტიც.

8. ამის შემდეგ ე. მ-ემ, კ. ა-თან, პ. ჯ-სა და ჰ. კ-თან ერთად, აღიარებითი ჩვენების გამოძალვის მიზნით, თ. მ., ქვედა საცვლის ამარა, ძალის გამოყენებით, მარცხენა ხელით ხელბორკილით მიაბა ოთახში არსებული სეიფის სახელურზე. ასევე ძალადობით, ხელკეტით ცემისა და ბლაგვ საგანზე არაერთხელ მიხეთქების შედეგად, რასაც თან ერთვოდა მისი აბუჩად აგდება და წამება, თ. მ-ას გამოსძალეს თითქოსდა გ. გ-თან ერთად მ. ს-ას ბინის ქურდობის ჩადენის აღიარებითი ჩვენება და ასევე, სხვა დანაშაულთა ჩადენის, მათ შორის ნაქურდალი ნივთების ჯ. გ-სა და ს. დ-თვის მიყიდვის აღიარებითი ჩვენება. თ. მ-გან აღიარებითი ჩვენების გამოძალვა გაგრძელდა დაახლოებით 21:30 საათამდე, რა დროსაც ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, ხელკეტითა და მკვრივი, ბლაგვი საგნით ცემით, მკვრივ საგანზე მიხეთქებით, გამოძიებით დაუდგენელი, მჩხვლეტავი საგნის დარტყმით თ. მ-ას მიაყენეს სხეულის სხვადასხვა სახის, სიცოცხლისათვის სახიფათო, ჯანმრთელობის განზრახ მძი-

მე დაზიანებები, რასაც მოჰყვა თ. მ-ას დაუდგენელ ვითარებაში შენობის მეორე სართულიდან გადმოვარდნა. იგი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, მაგრამ მიუხედავად განუული სამედიცინო დახმარებისა, 22:40 საათზე გარდაიცვალა.

9. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 19 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ე. მ-ემ და მისი ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ბ. ო-ემ, რომლებმაც ითხოვეს ე. მ-ის მიმართ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 19 სექტემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

10. ბრალდების მხარემ მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენება და ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 19 სექტემბრის განაჩენის საქართველოს მოქმედი სსკ-ის 59-ე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანა.

11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ ე. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ბ. ო-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 19 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება: ე. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით (2001 წლის ივლისში მოქმედი რედაქცია) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და ე. მ-ს განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რამაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე შთანთქა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ე. მ-ეს სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, მოსახდელად განესაზღვრა ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოს 2015 წლის 10 ივლისის განაჩენით დანიშნული და ამნის-ტიით შემცირებული დამატებითი სასჯელი – თანამდებობის და-კავების უფლების ჩამორთმევა 9 თვის ვადით. ე. მ-ეს სასჯე-ლის მოხდის ათვლა დაეწყო 2015 წლის 23 ოქტომბრიდან. მას-ვე, სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფ-ნის პერიოდი – 2011 წლის 7 ოქტომბრიდან 2011 წლის 24 ნოემ-ბრის ჩათვლით, 2014 წლის 4 აგვისტოდან 2014 წლის 21 დეკემ-ბრის ჩათვლით და 2014 წლის 22 დეკემბრიდან 2015 წლის 23 ოქტომბრამდე.

12. კასატორი – მსჯავრდებული ე. მ. ითხოვს ქუთაისის საა-პელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის გამამტყუ-ნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვება მისი ბრა-ლეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და განაჩენი მხოლოდ ვარაუდებზეა აგებული.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი და სააპელა-ციო ინსტანციის სასამართლოებმა სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცეს ე. მ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და მათ მიერ გამოტანილი დასკვნები ემყარება მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდებს, კერძოდ:

2. ბრალდებულმა ე. მ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ და გან-მარტა, რომ 2001 წლის 14 ივნისის მდგომარეობით მუშაობდა ...ის შს სამმართველოს ...- კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. აღნიშნულ დღეს მ. ს-მა იგი სიტ-ყვიერად გაათავისუფლა, რადგან მის დას მამამთილი ჰყავდა გარდაცვლილი და ...ში უნდა წასულიყო. ვინაიდან წინა დღის ნამორიგეველი იყო, პ. ჯ-ის ოთახში ეძინა სავარძელზე შუად-ღის 15.00 საათამდე. პ. ჯ. როდესაც მივიდა, უთხრა სახლში წა-სულიყო და იქ დაესვენა. პ-მ ასევე უთხრა, რომ ქურდობის საქ-მეზე მუშაობდნენ. ე. მ. წამოვიდა სახლში, დაისვენა, მოწეს-რიგდა და დაახლოებით 20.00 საათისათვის სამმართველოში მიბ-რუნდა, რადგან ავტომანქანა უნდა ეთხოვა ...ში პანაშვიდზე წა-სასვლელად. მანქანა ვერ ინათხოვრა და ამის გამო წასვლა გა-დადო. 20:00 საათზე ჩატარდა თათბირი, რომელსაც დაესწრო ე. მ-ც და დამთავრების შემდეგ თათბირიდან გამოსული, მივიდა მ. მ-ის კაბინეტთან, სადაც ჰყავდათ თ. მ.. მ. მ-მა მას სთხოვა თ. მ-ას სხვა ოთახში გადაყვანა, რადგანაც თვითონ ჩრეკის ჩასა-ტარებლად მიდიოდა. თ. მ. ე. მ-მ, კ. ა-ამ და პ. კ-ემ სხვა ოთახში

გადაიყვანეს. ოთახში როდესაც შევიდნენ, ხელბორკილდადებული თ. მ. დასვეს სკამზე, სეიფის გვერდით. ცოტა ხანში ოთახში შევიდა მ. მ., რომელსაც ვიდეომაგნიტოფონი ეკავა ხელში და თ. მ.-ას ჰკითხა რალაც, რაზედაც იგი დაეთანხმა. მალევე ე. მ.-ეს მობილურ ტელეფონზე დაურეკა პ. ჯ.-ემ და სთხოვა თ. მ.-თან დალაპარაკება. თ. მ.-მ მობილურ ტელეფონში ვილაცას უთხრა „პუშკინა“ ვარო და ტელევიზორი გაატანე მაგათო. ამის შემდეგ ე. მ.-ემ ა-ას, ნ-სა და კ-ეს უთხრა, რომ წყლის დასალევად გავიდოდა. კორიდორში იყო გამოსული, ხმაურის ხმა რომ შემოესმა, ამ დროს კ. ა-ას ხმა გაიგონა, თ. მ. ფანჯრიდან გადახტაო. ე. მ. მივიდა ფანჯარასთან და რომ გადაიხედა, დაინახა თ. მ.. ე. მ.-ეს თ. მ.-თან სხვა არანაირი შეხება არ ჰქონია. არანაირი მტკიცებულება არ არსებობს თ. მ.-ას წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ, გარდა მ. მ.-ის ჩვენებისა, რომელმაც პირადი თავისუფლების სანაცვლოდ რამდენჯერმე შეცვალა ჩვენებები.

3. დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ.-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით მისი მეუღლე ა. მ. ...ის სატრანსპორტო პოლიციაში მუშაობდა. აღნიშნულ დღეს ა. და თ., კუთვნილ ნაკვეთში ნამუშევრები, დაღლილები სახლში იყვნენ. ა-ის ჩასძინებია. მოგვიანებით გაუღვიძებიათ და უთქვამთ, რომ თ. იყო დაკავებული. როდესაც მისულა სატრანსპორტო პოლიციაში, თ-თვის უკითხავს, რა ქენიო, რაზეც მას უპასუხია, მე არაფერი მომიპარავს და რას მამბრებენ, არ ვიციო. დილით გაიგო, რომ ...-ის შს სამმართველოში იყო გადაყვანილი. როდესაც მისულა შს სამმართველოში, იქ რ. გ. იყო მორიგე, რომელმაც უთხრა, არ მოუყვანიათ ჯერ თ-იო. მერე მეორე სართულზე ასულა, სადაც ხმაურის ხმა გაუგონია, წასულა იმ ოთახისაკენ და ღია კარში თ. დაუნახავს, რომელსაც უთქვამს „მამაჩემო, ადვოკატი ამიყვანე, თორემ რალაცას გამიჩალიჩებენო“. ამის შემდეგ მისულა ჭ-თან, რომელსაც 100 აშშ დოლარი მოუთხოვია. როდესაც მობრუნებულია, პ. ჯ.-ეს უთქვამს, ქურდია შენი შვილიო, შემდეგ უთქვამს, გააკეთე რაც გითხრეს და არ იქნება პრობლემაო. სამმართველოს წინ იჯდა, ასე 17.00 საათი იქნებოდა, ყვირილის და გინების ხმა რომ შემოესმა, რომელშიც მისი შვილის, თ-ის ხმა ამოიცნო. რ. გ-ათვის უთხოვია, რომ გაეტარებინა ზევით, მაგრამ მას უპასუხია, ბრძანება მაქვს არ ავიშვაო. ამ დროს მოგუდული დაგდების ხმა შემოესმა, რასაც უცებ პოლიციელები გამოყვინენ და დაუნახავს სისხლში ამოსვრილი თ.. თ-ს უთქვამს, მამა, ცემაში მომკლესო. ამის შემდეგ ჩაუსვამთ ავტომატქანაში და საავადმყოფოში გა-

დაუყვანიათ. ა-ის თქმით, აღნიშნულ დღეს ე. მ-ეც სამმართველოში იყო.

4. მოწმე მ. მ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 14 ივნისის მდგომარეობით მუშაობდა ...ის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ. აღნიშნულ დღეს, დაახლოებით 6-7 საათზე, დაურეკა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა შ. ბ-ამ და უთხრა, რომ ...ის სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში დაკავებული ჰყავდათ თ. მ. ქურდობის ფაქტზე. მას დაავალეს მისულიყო სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში და თ. მ. გადაეყვანა დაკავების ადგილზე. როდესაც მივიდა, გაიგო, რომ დაკავებული პიროვნება იყო თ. მ., რომელიც გადაიყვანა ... მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დახვდა სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომელი, იქ იყო აგრეთვე ნაქურდალი ნივთები – ტელევიზორი ვიდეომანიტოფონი და პულტი. შემდეგ იქ მივიდა შ. ბ., რომელმაც მიიტანა ...ის შს სამმართველოს უფროსის – თ. ს-ას მიერ გაცემული და ბეჭედდასმული დოკუმენტი და დაავალეს გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარება. იქ მივიდა ასევე პ. ჯ., რომელმაც მიიყვანა ორი დამსწრე და მიიტანა ფოტოაპარატი, რომლითაც გადაიღეს რამდენიმე სურათი. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების შემდეგ დაბრუნდა სამმართველოში და მასალები შეუტანა სამმართველოს უფროსს – თ. ს-ს. იქ იყო ასევე მ. ს-იც, რომელმაც უთხრა, რომ დაკავების ოქმი და პატაკები არ იყო საქმის მასალებში. ამის შემდეგ ყველა ხელმოწერილი დოკუმენტი გადაიტანა პროკურორ ხ-სთან, რომელსაც უთხრა, რომ საქმეში არ იყო დაკავების ოქმი და პატაკები, ხოლო პროკურორმა უპასუხა, რომ ის საქმის კურსში იყო. ცოტა ხანში პ. ჯ-ემ და ა. ს-მა თ. მ. მიიყვანეს სამმართველოში. მან ჩამოართვა თ.-ას ახსნა-განმარტება და დაასრულა მასთან მუშაობა. შეადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, რომლებიც დაამტკიცებინა პროკურორს და როდესაც ჩათვალა, რომ თ. მ-თან სამუშაო დასრულებული იყო, ჩაიყვანა სამორიგეო ნაწილში. ამის შემდეგ შევიდა კრიმინალური პოლიციის უფროს მ. ს-თან, რომელსაც მოახსენა, რომ თ. მ-თან ყველა საგამოძიებო მოქმედება დამთავრებული იყო, ხოლო თ. მ. მოთავსებული იყო სამორიგეო ნაწილში, რაზედაც მ. ს. გაბრაზდა და უთხრა, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია თ. მ-ას მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზეც, კონკრეტულად – მკვლელობის საქმეზე, რაზედაც უნდა გაეგრძელებინა მუშაობა და დაავალა, რომ სასწრაფოდ უკან ამოეყვანა თ. მ.. მ. მ-მა დადლილობის გამო უარი უთხრა. ამის შემდეგ მ. ს-მა შიდა ტელეფონით დაუ-

რეკა მორიგეს და უთხრა, რომ მ. გამოეტანებინა მის მიერ ჩაგზავნილი ხალხისათვის, თან ტელეფონში ჩხუბობდა, რომ ის იყო იმ დროისათვის უფროსი და მას უნდა დამორჩილებოდნენ. ამის შემდეგ მ. მ. წავიდა სახლში. საღამოს 20:00 საათისთვის დედამისმა გააღვიძა და უთხრა, რომ სამსახურში იბარებდნენ სასწრაფოდ. როდესაც სამსახურში მიბრუნდა, მ. ს-მა უთხრა, რომ თ. მ-ამ აღიარა სხვა დანაშაულები. ამის შემდეგ მ. ს-ის ზენოლის შედეგად, იძულებული გახდა წასულიყო საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად. წასვლამდე საჭირო დოკუმენტების ასაღებად წავიდა თავისი კაბინეტისკენ. სანამ იქ შევიდოდა, გაიგონა გვერდითა კაბინეტიდან გამოსული ჩხუბისა და გინეზის ხმა, რაზედაც დაინტერესდა თუ რა ხდებოდა და შეალო ამ კაბინეტის კარი, სადაც დაინახა, რომ თ. მ. ქვედა საცვლის ამაღრა, ნაწამებ-ნაცემი, ცალი ხელით მიბმული იყო იქვე მდგარ სეიფზე და იატაკზე იჯდა. მას სხეულზე ზენოლის კვალი ეტყობოდა, კერძოდ, ტანი და მკლავი დანითლებული ჰქონდა. ამ კაბინეტში ასევე იყვნენ ე. მ., პ. ჯ., კ. ა. და თ. კ.. ისინი ტაბელური იარაღებით იყვნენ შეიარაღებულები, ხოლო პ. ჯ-ეს ხელკეტიც ეჭირა. აღნიშნულთან დაკავშირებით შეკამათება მოუვიდა პ. ჯ-თან, რაზედაც პ. ჯ-ემ უთხრა, რომ იგი არ იყო მისი უფროსი და არ ჰქონდა რეაგირების უფლება. ამის თაობაზე იგი შევიდა მ. ს-თან და უთხრა ნანახის შესახებ, რაზედაც ს-მა უპასუხა „ექ არის პოლიცია და იგი არ იყო ზედამხედველი პროკურორი“. შემდეგ იგი წავიდა საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად დ-ის ოჯახში, საიდანაც ამოიღო „ფუნაის“ ფირმის ვიდეომაგნიტოფონი. როდესაც დაბრუნდა სამმართველოს შენობაში, შეხვდა სამმართველოს უფროსი თ. ს., რომელმაც უთხრა, რომ შესულიყო მასთან და მოეხსენებინა მომხდარის შესახებ. ამ დროს გაიგონა ყვირილის ხმა „გაიქცა, გაიქცაო“. გარეთ გავიდა და გაიგონა ვილაცის ნათქვამი, თ. მ. ფანჯრიდან გადახტაო. როდესაც ქვემოთ ჩავიდა, დაინახა თ. მ. სკამზე იჯდა და გულმკერდის არედან სისხლი მოსდიოდა. იგი ჩასვეს ავტომანქანაში და გადაიყვანეს საავადმყოფოში. ცოტა ხანში შეიტყო, რომ თ. მ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

5. მოწმე რ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით მუშაობდა ქ. ...ის შს სამმართველოში მორიგე-ინსპექტორად. აღნიშნულ დღეს ...ის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსმა – მ. ს-მა შეადგენინა ტელეფონით შეტყობინების ოქმი ვინმე მ. ს-ას ბინის ქურდობის ფაქტზე, რომ თითქოს აღნიშნული პირის საცხოვრებელი ბინიდან მოიპარეს ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი, რაც მ. ს-ამ

ტელეფონით შეატყობინა მორიგე ბ-ას, რომელიც წინა დღით იყო მორიგე. დაახლოებით შუადღისას სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე მ. მ-მა სამორიგეოში შეიყვანა თ. მ.. მ-ს ხელთ ჰქონდა დადგენილება პირის დაკავების შესახებ, რის შედეგადაც დაკავებული მოათავსეს იზოლატორში. მას ამ დროს არანაირი დაზიანების კვალი არ ემჩნეოდა. ცოტა ხანში სამორიგეოში შევიდა ...- სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი ა. ს. და უთხრა, რომ მ. ს-ის დავალებით თ. მ. უნდა აეყვანა ზევით. აღნიშნულზე რ. გ-ემ უარი განუცხადა, ვინაიდან მას არ ჰქონდა უფლება დაკავებული გაეტანებინა ერთი ადამიანისათვის. დადგენილი წესის მიხედვით, დაკავებული უნდა გაეყვანა სამ ადამიანს. ცოტა ხანში მას ტელეფონით დაუკავშირდა მ. ს., ...ის შს სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, რომელიც გაბრაზებული იყო და უთხრა, რომ თ. მ. გაეყოლებინა მის მიერ გამოგზავნილი კაცისთვის, ვინაიდან ის იყო უფროსი და მის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა. თ. მ. მეორე სართულზე წაიყვანეს ა. ს-მა, ჰ. კ-ემ და კ. ა-ამ. ამის შემდეგ მეორე სართულიდან პერიოდულად ისმოდა ყვირილის ხმა. საღამოს, დაახლოებით 21.30 საათზე, გაიგონა ჩამოვარდნის ხმა, რასაც წინ უსწრებდა მინის მტვრევის ხმა. მან დაინახა მინაზე პირქვე დავარდნილი თ. მ., რომელსაც სისხლი მოსდიოდა, იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში. მოგვიანებით გაიგო, რომ თ. მ. გარდაიცვალა.

6. მოწმე გ. ს-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით მუშაობდა ქ. ...ის შს სამმართველოში ოპერატიული მორიგის თანაშემწედ. აღნიშნულ დღეს მასთან ერთად სამუშაოს ასრულებდნენ უფროსი მორიგე – ინსპექტორი რ. გ. და დმი-ის მორიგე კ. კ.. დაახლოებით 15:00 საათზე ...ის შს სამმართველოს სამორიგეო ნაწილში მ. მ-მა შემოიყვანა დაკავებული თ. მ.. მ-ს თან ჰქონდა პირის ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების ოქმი, რომელიც გადასცა მორიგეს და უთხრა, რომ პროკურატურა საქმის კურსშია და ჩაიბარე დაკავებულიო. თ. მ-ას მოყვანიდან დაახლოებით 40 წუთში სამორიგეოში შემოვიდა ა. ს. და მორიგეს უთხრა, რომ თ. მ. მ. ს-თან უნდა აეყვანათ დაკითხვაზე. რ. გ-მ ა. ს-ს უპასუხა, რომ სანამ სამი კაცი არ იქნებოდა, მანამ დაკავებულს ვერ გაატანდა. ა. ს-ს გასვლიდან დაახლოებით 10 წუთში სამორიგეოში გაისმა ზარის ხმა. რ. გ-მ უპასუხა ტელეფონს და თქვა, რომ მას არ ჰქონდა უფლება დაკავებული ერთი კაცისთვის გაეყოლებინა. რ. გ-ემ აღნიშნა, რომ ტელეფონით მ. ს-მა დაურეკა და უთხრა თ. მ. გაეყოლებინა ა. ს-თვის. ცოტა ხანში სამორიგეოში შემოვიდნენ ა. ს., კ. ა. და ჰ. კ..

თ. მ. გაატარეს „დაკავებულთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში“ და გაიყვანეს სამორიგეოში. ამის შემდეგ დაკავებული თ. მ. აღარ უნახავს.

7. მოწმე კ. კ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით მუშაობდა ქ. ...ის შს სამმართველოში დმი-ის მორიგედ. აღნიშნულ დღეს, დაახლოებით 12.00 საათზე, მ. მ-მა მიიყვანა დაკავებული თ. მ., რომელიც ჩააბარა რ. გ-ეს და წავიდა. დაკავებულის ჩაბარებიდან რამდენიმე ხანში სამორიგეოში მივიდა ოპერ-მუშაკი ა. ს., რომელსაც უნდოდა დაკავებული თ. მ-ას წაყვანა, რაზეც რ. გ-ემ უარი უთხრა. ცოტა ხანში სამორიგეოში გადმორეკა მ. ს-მა შიდა ტელეფონით და რ. გ-ეს ეჩხუბა, თუ რატომ არ გააყოლა დაკავებული. ამის შემდეგ სამორიგეოში შემოვიდნენ ა. ს., ჰ. კ. და კ. ა., რომლებმაც ხელი მოაწერეს ჟურნალში, თ. მ-ას ხელბორკილი დაადეს და აიყვანეს მეორე სართულზე. წაყვანიდან დაახლოებით ორი საათის შემდეგ მას ესმოდა ყვირილისა და ჩხუბის ხმა მეორე სართულიდან. სალამოს 21:30 საათისთვის მან გაიგონა იზოლატორის ეზოში დაცემის ხმა, რასაც რამდენიმე წამის დაგვიანებით მოჰყვა შუშის მსხვერვის ხმა. იგი იმ წუთასვე გავიდა გარეთ და დაინახა მიწაზე პირქვე დავარდნილი თ. მ., რომლის პერანგიდანაც სისხლი ჟონავდა. ამის შემდეგ ის გადაიყვანეს საავადმყოფოში. მან მოგვიანებით შეიტყო მ-ას გარდაცვალების შესახებ. მას მ. ს. რ. გ-ის პირით დაემუქრა, რომ არ ეთქვა, თუ ვინ აიყვანა მასთან თ. მ. და აყვანის დროდ დაეფიქსირებინათ სალამოს 20.00 საათი. ასევე მ. ს-მა შეუთვალა, რომ თითქოს თ. მ-ას თხოვნით იქნა აყვანილი მ. მ-თან, რადგანაც ის სამორიგეოში მ. მ-მა ჩააბარა. მოწმემ განმარტა, რომ ჟურნალში გაკეთებული ჩანაწერი, რომ თითქოს თ. მ. სამორიგეოში 13.50 საათზე იქნა ჩაყვანილი და სალამოს 20.00 საათზე მისივე თხოვნით აიყვანეს მეორე სართულზე მ. მ-თან, არ არის სწორი.

8. მოწმე რ. კ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2001 წელს მუშაობდა ...-ის სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში მორიგე-ინსპექტორის თანამდებობაზე. 2001 წლის 14 ივლისს, დილის 4 საათზე, მოესმა საუბარი. როდესაც კარი გააღო, ნახა, რომ საუბრობდნენ თ. შ. და კ. პ.. მათი საუბრიდან გამომდინარე გაიგო, რომ თ. შ. დახმარებას ითხოვდა. თ. შ-ას გაყვინენ კ. პ., მ. ა. და მ. ლ.. გასული იქნებოდა ერთი საათი, როცა განყოფილებაში შემოვიდნენ კ. ლ., თ. შ. და კ. პ., რომლებმაც მოიყვანეს დაკავებული თ. მ.. როდესაც ჰკითხა თ. შ-ას და კ. ლ-ას, მათ უპასუხეს, რომ ეს პიროვნება იყო სხვისი ქონების ქურდობაში ეჭვმიტანილი, რომელიც დააკავეს ...- ხიდის ტერიტორიაზე. დაახლოებით

5 წუთის შემდეგ მოვიდა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ე. კ., რომელიც ჩააყენეს მომხდარის შესახებ საქმის კურსში. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მოვიდა დაკავებულის მამა ა. მ., რომელსაც შვილის ნახვა უნდოდა. თ. მ. გაატარეს „დაკავებულთა წარმოდგენის ჟურნალში“, სადაც დამკავებლად მიუთითეს თ. შ. და კ. ლ.. დაახლოებით 7 საათი იქნებოდა, როდესაც სატრანსპორტო პოლიციის განყოფილებაში მოვიდა მ. მ., რომელმაც მოახერხა ხელი პიროვნების ჩაბარებაზე და წაიყვანა თ. .

9. მოწმე მ. ს-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2001 წლის 14 ივლისს, ღამის 2 საათზე გააღვიძა უცნობმა პიროვნებამ, რომელმაც სთხოვა მისთვის სიგარეტი მიეყიდა. როდესაც ოთახში შებრუნდა, დაინახა, რომ ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი და პულტი არ იყო ადგილზე, ფანჯარა კი ღია იყო. დილით, როდესაც პოლიციელები მოვიდნენ, ...-ის ქვეგანყოფილების უფროსმა – პ. ჯ-ემ მას უთხრა, რომ ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი ჰქონდა მანქანაში და ენახა, მისი იყო თუ არა. ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი და პულტი აღმოჩნდა მისი. ვინაიდან ასე იოლად იქნა ნაპოვნი ნივთები, მას პოლიციაშიც არ განუცხადებია ამის შესახებ. პოლიციელები შევიდნენ მასთან სახლში და ჩაატარეს პროცედურები, ჩამოართვეს ახსნა-განმარტება, სადაც ჩანერეს, რომ თითქოს ტელეფონით შეატყობინა პოლიციას ბინის გაქურდვის შესახებ. აღნიშნულის შემდეგ ის დაიბარეს პოლიციაში, მიატანინეს ტელევიზორისა და ვიდეომაგნიტოფონის პასპორტები, ცნეს დაზარალებულად, ჩამოართვეს ჩვენება და დაუბრუნეს კუთვნილი ნივთები. მან სამმართველოს შენობის დერეფანში დაინახა თ. მ., ის ბიჭი, ვისაც მისი ნივთების ქურდობას ედავებოდნენ, სალამოს კი გაიგო მისი გარდაცვალების შესახებ.

10. მოწმე ვ. ხ-ამ განმარტა, რომ 2001 წლის 14 ივლისის მდგომარეობით მუშაობდა ...-ის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების ინსპექტორად. ამ პერიოდში ს-ი იყო კრიმინალური პოლიციის უფროსი. აღნიშნულ დღეს 10-დან 11 საათამდე თავი გაითავისუფლა მეუღლის დაბადების დღესთან დაკავშირებით; სტუმრები ჰყავდა რაიონიდან და ამიტომ სამსახურში არ ყოფილა. მომდევნო დღეს ის მუშაობდა შ-ას მკვლელობის საქმეზე, სადაც თ. მ. არ იმხილებოდა. თ. მ-ას გარდაცვალების დეტალები არ იცის.

11. მოწმე ზ. მ-ემ აჩვენა, რომ 1999 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ...-ის პოლიციაში დროებითი დაკავების იზოლატორში. მისი სახელით შეადგინეს ცნობა, რომ თითქოს მ. ს-ამ პოლი-

ციას ტელეფონით შეატყობინა ქურდობის შესახებ. ვის მიერ გაკეთდა აღნიშნული, არ იცის. 2001 წლის 14 ივლისს, დილის 10.00 საათამდე, მუშაობდა და შემდეგ რ. გ-ის ჯგუფმა გადაიბარა მორიგეობა. მოგვიანებით გაიგო თ. მ-ას ფანჯრიდან გადმობტომისა და გარდაცვალების შესახებ.

12. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა ლ. რ-მ განმარტა, რომ მან ქალაქ ...ში, ექსპერტიზის ბიუროს შენობაში, გამოიკვლია თ. მ-ას გვამი, რაც გ. ც-სა და ...ის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ დ. დ-თან ერთად კომისიურად ჩაატარა. ასევე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული აქვს კომისიური ექსპერტიზა, რომელშიც მონაწილეობდნენ ბ. კ., რ. ბ. და ნ. კ.. გვამის გამოკვლევა დაიყო ორ ნაწილად, ჯერ ჩატარდა გვამის გარეგანი დათვალიერება თ. მ-ას საცხოვრებელ სახლში, რომელსაც უამრავი ადამიანი ესწრებოდა, რა დროსაც შედგა გვამის გარეგანი დათვალიერების ოქმი. აღნიშნულის შემდეგ გვამი გადაასვენეს ქალაქის საავადმყოფოში, სადაც განხორციელდა შინაგანი გამოკვლევა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სიკვდილის მიზეზი იყო გულმკერდის მარცხენა მხარეს, მეორე მესამე ნეკნთა შუა გულმკერდის ღრუში შემავალი, ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ხასიათის ჭრილობა, რომელიც აზიანებდა ღრუ-ვენას და იწვევდა მწვავე სისხლნაკლებობას, რაც მიუკუთვნებოდა სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებას, რომელიც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და რასაც მოჰყვა კიდევ შედეგად თ. მ-ას გარდაცვალება. თ. მ-ას სხეულზე ასევე აღნიშნებოდა ბლავგი საგნით მიყენებული მრავალი დაზიანება, რაც დეტალურად არის აღწერილი დასკვნაში. ისინი სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებებია და სიკვდილთან რაიმე კავშირი არ აქვთ. თ. მ-ას გვამის შინაგანი გამოკვლევის დროს ასევე ნანახი იქნა თირკმლების, ელენთისა და ღვიძლის სუბკაფსულარული გასკდომა, ანუ ისეთი სახის გასკდომა, როდესაც თვითონ კაფსულა არ იყო გახეთქილი, მაგრამ პარენქიმა (მის ქვეშ არსებული ქსოვილი) იყო გამსკდარი. ასეთი ტრავმები დამახასიათებელია ინერციული, სხეულის მყისიერი შეჩერებისათვის, გარკვეული სიმძლიდან გადმოვარდნისათვის, მყისიერი დამუხრუჭებისათვის და ა.შ. თ. მ-ას გვამზე არსებული ყველა ტრავმა მისი სიცოცხლისდროინდელი იყო, რომელიც მიყენებული ჰქონდა გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე.

13. სასამართლო-სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის №.../ - დასკვნით დადგენილია, რომ თ. მ-ას გულმკერდის წინა ზედაპირზე, მარჯვენა ნახევარში, მკერდის ძვლის საზღვარზე, მეორე-მესამე კუნთთაშუა სივრცეში აღნიშნებოდა ნაჩხვლეტ-

ნაკვეთი ჭრილობა, რომელიც მიემართებოდა წინიდან უკან, ოდნავ ზემოდან ქვემოთ და მარჯვნიდან მარცხნივ, შედიოდა გულმკერდის მარჯვენა ნახევარში, აზიანებდა ზემო ღრუ ვენას სანათურში შეღწევით. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავი საგნის მოქმედებით, რომელსაც გააჩნია მჭრელი კიდეები და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს, რასაც მოჰყვა თ. მ-ას სიკვდილი. თ. მ-ას სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, რომელიც განვითარდა გულმკერდის წინა ზედაპირზე მარჯვენა ნახევარში არსებული გულმკერდის ღრუში შემავალი ჭრილობის შედეგად, ზემო ღრუ ვენის დაზიანების გამო. თ. მ-ას გვამზე არსებული მკვრივი, ბლავი საგნით მიყენებული დაზიანებები შესაძლებელია მიეღო ცემის შედეგად, იმ ვითარებაში, რაც მითითებულია საქმის გარემოებაში. თ. მ-ას გვამის გამოკვლევით ნანახი ელენთის, ღვიძლის და ორივე თირკმლის წინა ზედაპირებზე არსებული სუბკაფსულური გასკდომა განვითარებულია სიკვდილის წინ დროის მოკლე მონაკვეთში და წარმოადგენს მოძრავი სხეულის წინა ზედაპირით არასწორ ბრტყელ სიბრტყეზე დაცემისას ამ ორგანიზმის შერყევით გამოწვეულ ინერციულ დაზიანებას. აღნიშნული დაზიანებები მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს.

14. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. პალატა მიუთითებს, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რაც მიუთითებდა ე. მ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაზე. სააპელაციო პალატის დასკვნა ე. მ-ის ბრალეულობის თაობაზე ეფუძნება ზემომითითებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საკასაციო სასამართლო აანალიზებს რა აღნიშნულ მტკიცებულებებს, მიაჩნია, რომ არც ერთი მათგანი, არც ცალკე აღებული და არც ერთობლიობაში, არ მიუთითებს ე. მ-ის მიერ თ. მ-თვის ჩვენების გამოძალვისა და მისთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტზე, კერძოდ:

- ძირითადი მოწმის – მ. მ-ის ჩვენების მიხედვით, ე. მ. იმყოფებოდა იმ ოთახში, სადაც იყო თ. მ.. ხოლო, კონკრეტულად რა ქმედებას ახორციელებდა ე. მ., ანუ მონაწილეობდა თუ არა იგი თ. მ-ს ცემასა და ჩვენების გამოძალვაში, მ. მ-მა ვერ მიუთითა

და განმარტა, რომ კონკრეტული ფაქტი არ დაუნახავს. შესაბამისად, მ. მ-ის ჩვენება ე. მ-ის ბრალეულობას ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს.

- დაზარალებულის უფლებამონაცვლე ლ. მ-მ უშუალოდ ე. მ-თან დაკავშირებით განმარტა, რომ მეუღლისგან – ა. მ-სგან გადმოცემით იცის, რომ შემთხვევის დღეს ე. მ-ც სამმართველოში იმყოფებოდა, რასაც თავად ე. მ-ც არ უარყოფს. თუმცა აღნიშნული მოწმის ჩვენება ე. მ-სთვის წარდგენილ ბრალდებას არც პირდაპირ და არც ირიბად არ ადასტურებს.

- რაც შეეხება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და ექსპერტ ლ. ჩ-ას ჩვენებას, პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული დასკვნა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თ. მ-ას მიყენებული ჰქონდა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რაც გახდა კიდევ მისი გარდაცვალების მიზეზი. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების (სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას და ექსპერტ ლ. ჩ-ს ჩვენება) ანალიზის შედეგად საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას დაასკვნას, რომ თ. მ-ას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების ფაქტი გამომწვეული იყო ე. მ-ის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით.

15. განაჩენში მითითებულ სხვა მტკიცებულებებს რაც შეეხება, ისინი საერთოდ არ არიან შემხებლობაში ე. მ-ის ბრალეულობის საკითხთან.

16. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშო-

ბილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადანყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ¹.

17. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან².

18. საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით აღიარებული ზემოაღნიშნული სტანდარტები განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც. კერძოდ: სსსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის, სსსკ-ის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის, 503-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 508-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა პირის ბრალეულობის შესახებ.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის დასკვნა იმის შესახებ, რომ ე. მ-ემ ჩაიდინა თ. მ-ას ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება განსაკუთრე-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

² იხ. El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia №39630/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადანყვეტილება და Hassan v The UK №29750/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადანყვეტილება.

ბული სისასტიკით, ჯგუფურად და ასევე, ჩვენების მიცემის იძულება, რასაც თან ერთვოდა ძალადობა, აბურად აგდება ან წამება, არის მხოლოდ ვარაუდი, რაც საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ე. მ-ს მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ე. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი და ე. მ-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულებში, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის „ვ“, „თ“ ქვეპუნქტებითა და 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით.
3. ე. მ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო ხდომის დარბაზიდან.
4. ე. მ-ის განემართოს უფლება საქართველოს სსსკ-ის 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შესახებ.
5. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება და საქმის გადაგზავნა იმავი
სასამართლოსთვის ახალი სასამართლო
განხილვისათვის**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№587აპ-15

10 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის პროკურორ ვასილ სამხარაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის განაჩენით ო. ჩ-ი, – დაბადებული 19... წელს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63–64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მსჯავრდებულ ო. ჩ-ს საქართველოს სსკ-ის 65-66-ე მუხლების საფუძველზე დაევალა, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, ამასთან, მის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოს – მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. აღნიშნული განაჩენით ო. ჩ-ს მსჯავრი დაედო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპი-

რატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 22 აგვისტოს თბილისის სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა გასცა სააღსრულებო ფურცელი №..., რომლის მიხედვით, მოქალაქე კ. ს-ეს დაეკისრა მოპასუხე გ. მ-ის სასარგებლოდ – 39.600 აშშ დოლარის გადახდა. იმავე დღეს სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეცა თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელ ო. ჩ-ს, რომელმაც ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 63¹-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით, 2005 წლის 23 აგვისტოს მოვალე კ. ს-ეს ჩააბარა გაფრთხილება სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ ისე, რომ მისი ქონება არ აღწერა და არ დააყადაღა.

2005 წლის 9 სექტემბერს აღმასრულებელ ო. ჩ-ის ნერილის საფუძველზე აუდიტორულმა ფირმამ – „...“ თბილისში, ... ქუჩის №...-ში მდებარე, მოვალის – კ. ს-ის ბინა შეაფასა – 85.000 აშშ დოლარად, თუმცა, სააღსრულებო ფურცელში ცალსახად იყო აღნიშნული აღსასრულებელი პრეტენზია და დავის საგანი – 39.600 აშშ დოლარი.

2005 წლის 14 სექტემბერს აღმასრულებელ ო. ჩ-ის სახელზე სააღსრულებო ბიუროში შევიდა კრედიტორ გ. მ-ის განცხადება იძულებითი აუქციონის დანიშვნის შესახებ, რის შემდეგაც, 16 სექტემბერს, ო. ჩ-ა მიმართა გაზეთ „...“, რათა გამოქვეყნებულიყო განცხადება. ამავე პერიოდში კ. ს-ის რძალმა – ნ. ს-ემ კრედიტორს შესთავაზა მისულიყო საშუამავლო ფირმა „...“ ინდმენარმე მ. ი-სთან, სადაც ბინის გადაგირავების შემდგომ გადასცემდა მას დაკისრებულ თანხას და პროცენტს, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. საშუამავლო ფირმა „...“ ინდმენარმე მ. ი-სთან ასევე მივიდა აღმასრულებელი ო. ჩ-ი, რომელიც ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და დაინტერესებული იყო აუქციონზე ბინის იაფად გაყიდვით. მან კრედიტორ მ-ს მოსთხოვა თანხის გაზრდა ნ. ს-თვის, რაც კრედიტორმა შეასრულა. ნ. ს-ე დათანხმდა უმიზეზოდ გაზრდილი თანხის გადახდას და საჯარო რეესტრიდან ბინის გადასაგირავებლად კრედიტორისა და აღმასრულებლისაგან მოითხოვა ამონაწერი, რაზეც ო. ჩ-ა უარი განაცხადა. იგი ინახავდა საჯარო

რეესტრიდან ამონაწერს და არ აძლევდა ნ. ს-ესა და ინდემწარმე მ. ი-ეს.

2005 წლის 27 სექტემბერს ჩატარდა აუქციონი, რა დროსაც ო. ჩ-მა დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, აუქციონზე უძრავი ქონების საწყის ფასს წარმოადგენს ამ ქონებაზე ყადაღის დადების აქტში მითითებული ფასი. აღმასრულებელს კი ქონებაზე ყადაღის დადების აქტი არ შეუდგენია, რაც გათვალისწინებულია ამავე კანონის 29-ე და 48-ე მუხლებით დადგენილი წესით. აუქციონზე ბინის შემძენი გახდა მოქალაქე დ. მ-ი. ბინის ფასმა შეადგინა 59.500 აშშ დოლარი. აღმასრულებლის მიერ უკანონოდ ჩატარებულმა აუქციონმა ფიზიკური პირისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის პროკურორმა ვ. ს-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის ნაწილში, კერძოდ, მსჯავრდებულისათვის საბოლოო სასჯელად – 2 წლითა 3 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის პროკურატურის პროკურორი ვასილ სამხარაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განაჩენის შეცვლას სასჯელის ნაწილში და მსჯავრდებულისათვის „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გათვალისწინებით, საბოლოო სასჯელის სახით – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქ-

მედი რედაქცია) 562-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო წესით განაჩენის გაუქმებისა და შეცვლის საფუძველია: სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა. ამავე კოდექსის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არსებითად ითვლება ამ კოდექსის მოთხოვნათა ისეთი დარღვევები, რომლებმაც შეზღუდეს პროცესის მონაწილეთა უფლებები, ხელი შეუშალოს საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ო. ჩ-ის სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სასამართლო განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმართა საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სსსკ-ით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოტანილი აქვს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, კერძოდ: განაჩენის გამოტანის დროს იხელმძღვანელა ახალი სსსკ-ის 298-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის მოქმედი რედაქციის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რითაც არსებითად დაირღვა კანონის მოთხოვნა.

4. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სახეზეა საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი ო. ჩ-ის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში საქმეზე არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა უნდა წარმართოს და განაჩენი გამოტანილ უნდა იქნეს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის პროკურორ ვასილ სამხარაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის განჩენი ო. ჩ-ის მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა

განაჩენი საქართველოს სახელით

№რპ-16

6 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ანა კალანდაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, თ. მ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი

ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, კერძოდ:

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის განაჩენით თ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით, 7 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, 5 წლით პირობითი მსჯავრი, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რომელიც არ არის აღსრულებული.

3. ნარკოტიკული დანაშაულისათვის ნასამართლევი თ. მ-ს 2013 წლის 9 მაისს, ნარკოლოგიური შემოწმებისას, კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების – მეტადონის, კოკაინის, ამფეტამინის, მეტამფეტამინისა და ექსტაზის ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით, უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ივლისის განაჩენით თ. მ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

5. თ. მ-ს აქვს საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

6. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი ა. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად თ. მ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას; თ. მ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალების მიხედვით, თ. მ-ს საქართველოს სსკ-ის

273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდება წარედგინა 2015 წლის 4 მაისს, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი მტკიცებულებები: პატრულ-ინსპექტორ ი. ნ-ის პატაკი და ადმინისტრაციული მასალები, ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 ივნისის განაჩენი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის განაჩენი, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ი. ნ-ის ჩვენება, აღსრულების ეროვნული ბიუროდან მიღებული წერილი.

3. აღნიშნული მტკიცებულებები არც დაცვის მხარემ გახადა სადავოდ. ბრალდებულმა თ. მ-მ აღიარა ჩადენილი დანაშაული, კერძოდ: 2010 წლის 10 სექტემბრის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რაც არ გადაუხდია. ამის შემდეგ, 2013 წლის 9 მაისს, ნარკოლოგიური შემოწმებისას, მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების – მეტადონის, კოკაინის, ამფეტამინის, მეტამფეტამინისა და ექსტაზის მოხმარების ფაქტი, რასაც აღიარებს.

4. გარდა აღიარებითი ჩვენებისა, ბრალდების მხარემ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება თ. მ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ:

5. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 ივნისის განაჩენით თ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და განაჩენთა ერთობლიობით მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რაც არაა გადახდილი.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის განაჩენით თ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და განაჩენთა ერთობლიობით მიესაჯა 7 წლით, 7 თვითა და 7 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 2 წელი, 7 თვე და 7 დღე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 5 წელი ჩაეთვალა პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით, რაც არაა გადახდილი.

7. ადმინისტრაციული მასალებით დასტურდება, რომ 2013 წლის 9 მაისს თბილისში, ... ქუჩაზე, ადმინისტრაციული წესით დააკავეს

თ. მ-ი, რომელიც იწვევდა ეჭვს, რომ ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყო. პატრულ-ინსპექტორ ი. ნ-ის ჩვენებიდან ირკვევა, რომ 2013 წლის 9 მაისს ადმინისტრაციული წესით დააკავა თ. მ-ი, რომელსაც ნარკოლოგიური შემონმების შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტი. ნარკოლოგიური შემონმების ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 2013 წლის 9 მაისს, ნარკოლოგიური შემონმებისას, ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგად, თ. მ-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების – მეტადონის, კოკაინის, ამფეტამინის, მეტამფეტამინისა და ექსტაზის მოხმარების ფაქტი.

8. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის განჩინებით თ. მ-ის მიმართ გავრცელდა „ამნიციის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი, რომლის თანახმადაც, თ. მ-ი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან. სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად შეეხო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ როგორც რეალურ სასჯელს, ისე პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადას, გარდა ჯარიმისა.

9. თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მიღებული წერილების თანახმად, თ. მ-ს ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 ივნისის განაჩენითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის განაჩენით დანიშნული ჯარიმა – 2000 ლარი არ გადაუხდია.

10. ამდენად, 2013 წლის 9 მაისის მდგომარეობით, თ. მ-ი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირია, ვინაიდან მას არ გადაუხდია სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 ივნისის განაჩენითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 სექტემბრის განაჩენით სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ჯარიმა არ არის გადახდილი, დასტურდება არა მარტო თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მიღებული წერილებით, არამედ თავად ბრალდებულის ჩვენებით, რომელიც ადასტურებს, რომ ჯარიმა არ გადაუხდია. თბილისის სააღსრულებო ბიუროდან მიღებული წერილით ასევე ირკვევა, რომ ბიუროს თ. მ-ვის გაგზავნილი აქვს შეტყობინება გადაწყვეტილების ნებაცყოფლობით შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩაჰბარდა მოვალის ოჯახის წევრს. ვინაიდან მოვალემ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ არ წარადგინა ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი

ქვეთარი, თბილისის სააღსრულებო ბიურომ მოვალეს რეგისტრაციაში გაატარა მოვალეთა რეესტრში, შესაბამისად, 2013 წლის 9 მაისის მდგომარეობით, იგი ნასამართლევია ნარკოტიკული დანაშაულისათვის.

11. თ. მ-ის მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მაგრამ ამნისტიის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლება ერთნაირად და პროპორციულად გავრცელდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ როგორც რეალურ, ისე პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, გარდა ჯარიმისა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ეხებოდა ჯარიმებს, თ. მ-ს კი სასჯელად დანიშნული ჰქონდა ჯარიმა, რომელიც არ აქვს გადახდილი, 2013 წლის 9 მაისს, როდესაც თ. მ-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფაქტი, იგი იყო ნასამართლობის მქონე ნარკოტიკული დანაშაულისათვის.

12. ნარკოტიკული დანაშაულისათვის ნასამართლევ თ. მ-ს 2013 წლის 9 მაისს კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალებების – მეტადონის, კოკაინის, ამფეტამინის, მეტამფეტამინისა და ექსტაზის ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით, უკანონოდ მოხმარების ფაქტი, ანუ სახეზე გვაქვს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

13. 2013 წლის 2 ოქტომბერს თ. მ-ი საქართველოს პრეზიდენტმა შეინყალა, მას მოეხსნა ნასამართლობა და ასევე გათავისუფლდა ძირითადი და დამატებითი სასჯელებისაგან.

14. საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან თ. მ-მ ქმედება ჩაიდინა 2013 წლის 9 მაისს, ამ დროისათვის მის მიმართ დანიშნული ჯარიმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იყო გადახდილი და შესაბამისად, ის ითვლებოდა ნასამართლობის მქონედ. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის შეწყალების შესახებ განკარგულების მიუხედავად, სახეზეა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დისკრეციული უფლებამოსილების თანახმად, პროკურორს, ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, შეეძლო განეხორციელებინა თ. მ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

15. პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ პროცესის მწარმოებელ ორ-

განოს უფლება არ ჰქონდა, 2015 წლის 4 მაისს თ. მ-ის მიმართ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან ბრალის წარდგენის დროისთვის გამოძიებას ხელთ ჰქონდა თ. მ-ის მიმართ 2013 წლის 27 თებერვალს გამოტანილი განჩინება ამნისტიის გამოყენების შესახებ და საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის შეწყალების შესახებ განკარგულება, რაც იყო არსებითი მტკიცებულება ნასამართლობის საკითხის გასარკვევად და რაც გამოძიებას ბრალის წარდგენისას სათანადოდ უნდა შეეფასებინა. 2015 წლის 4 მაისს, თ. მ-ს მიმართ ბრალის წარდგენისას, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის შეწყალების შესახებ განკარგულებით მას ნასამართლობა ჰქონდა მოხსნილი წინა განაჩენით დარჩენილი ჯარიმის ნაწილში და აღნიშნულის გათვალისწინებითა და საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნების დაცვით გამოძიებას საფუძვლად არ უნდა დაედო ნასამართლობის მოხსნა.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის შეწყალების შესახებ განკარგულების მე-4 პუნქტში გაკეთდა დათქმა, თუ ვისზე არ შეიძლება გავრცელებულიყო აღნიშნული შეწყალება, კერძოდ: იმ პირთა მიმართ, რომლებიც განკარგულების გამოცემის დროს იმყოფებოდნენ პატიმრობის კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ დანესებულებებში ან რომელთა მიმართ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და იმყოფებოდნენ ძებნაში. ასეთ პირთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა თ. მ-ი და მას მოეხსნა ნასამართლობა განაჩენით დანიშნული ჯარიმის ნაწილშიც. თუმცა, თ. მ-ი ნასამართლობის არმქონედ ჩაითვალა 2013 წლის 2 ოქტომბრიდან და იმ შემთხვევაში, თუ იგი ახალ დანაშაულს ჩაიდენდა 2013 წლის 2 ოქტომბრის შემდეგ, მის მიმართ ნებისმიერი საკითხი გადაწყდებოდა როგორც ნასამართლობის არმქონე პირის მიმართ. მაგრამ თუ თ. მ-ი არ დააკმაყოფილებდა განკარგულების მე-4 პუნქტში აღნიშნულ დათქმას, 2013 წლის 2 ოქტომბრის შემდეგაც ისევ ჩაითვლებოდა ნასამართლობის მქონედ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ 2015 წლის 4 მაისს, თ. მ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროს, ის, პრეზიდენტის შეწყალების გამო, უნდა ჩაითვალოს ნასამართლობის არმქონედ 2013 წლის 2 ოქტომბერს პრეზიდენტის შეწყალებამდე ჩადენილი დანაშაულის დროს. პირიქით: თ. მ-ი 2013 წლის 9 მაისს, ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დროს, იყო ნასამართლობის მქონე და შესაბამისად, სახეზეა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა. თუ თ. მ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყებოდა 2013 წლის 9 მაისს

და არა – 2015 წლის 4 მაისს, მასზე საერთოდ ვერ გავრცელდებოდა პრეზიდენტის შეწყობის განკარგულება და იგი 2013 წლის 2 ოქტომბრის შემდეგაც ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის ჩაითვლებოდა ნასამართლობის მქონედ. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს ანალოგიურ საქმეებზე როგორც 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვებილებზე (საქმე № 1ბ/535-15; 167აპ-14; 1/2753-15; 1/6945-14; 1/7587-14; 1/7304-14).

17. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. მ-ის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებას, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ხოლო სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი პიროვნება, გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება, კერძოდ, თ. მ-მ აღიარა დანაშაული, რისთვისაც მას უნდა დაენიშნოს შესაბამისი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორ ანა კალანდაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 17 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი თ. მ-ის მიმართ.

3. თ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3 (სამი) წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლებები, აგრეთვე აფთია-

ქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თ. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამომგანაჩენის გადასინჯვის წესი

სააპელაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამომგანაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს იხილავს სასამართლოს კანონიერ ქალაქში შესულ განაჩენზე და სხვა შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებაზე

განჩინება საქართველოს სახელით

№9აგ-16

29 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამომგანაჩენის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აგვისტოს განაჩენით გ. თ-ე

ცნობილ იქნა დამნაშავედ და დაუსწრებლად მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით – 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 120-ე მუხლით – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. თ-ეს განესაზღვრა 9 წლითა და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა უნდა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

2. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებული გ. თ-ე გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აგვისტოს განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით დადგენილი სასჯელისაგან, ხოლო ამავე კოდექსის 19,108-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი გაუნახვერდა და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

3. 2015 წლის 14 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატმა ლ. ზ-მ და მოითხოვა მსჯავრდებულ გ. თ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

5. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატმა ლ. ზ-მ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაშვება იმავე საფუძველებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-

სის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუმეგობლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამომძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამარ-

თლომ საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა, ხოლო მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის ახლად გამოვლენილ გარემოებას, რადგან მსჯავრდებულ გ. თ-ს საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ამავე კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა მის დაუსწრებლად, უფლება აქვს, განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში: დაპატიმრებიდან, ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

5. რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიას – ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისათვის აუცილებელი არ არის საქმეზე იყოს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ამავე კოდექსის 310-ე მუხლით დადგენილი წესით ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს იხილავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და სხვა შემაჯამებელ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს შუამდგომლობის დაუმკველად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სის-

ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. თ-ს ადვოკატ ლ. ზ-ს შუამდგომლობის დაუმკველად ცნობის თაობაზე დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება

განჩინება საქართველოს სახელით

№500აგ-15

20 მაისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე, (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შ. და ვ. დ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 აგვისტოს განჩინით შ. დ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში – „...“ სისტემის №... პისტოლეტისა და მისთვის განკუთვნილი ვაზნების ტარებისა და გადაზიდვის ნაწილში; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ავტომატური ცეც-

ხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გადაზიდვის ნაწილში; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ... მმ კალიბრიანი „...“ სისტემის ავტომატური იარაღის ვაზნებისათვის განკუთვნილ მჭიდებში მოთავსებული 60 საბრძოლო ვაზნისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 საბრძოლო ვაზნის შექმნისა და შენახვის ნაწილში.

შ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ შ. დ-ეს განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2005 წლის 22 აგვისტოდან.

ვ. დ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვის ნაწილში; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ... მმ კალიბრიანი „...“ სისტემის ავტომატური იარაღის ვაზნებისათვის განკუთვნილ მჭიდებში მოთავსებული 60 საბრძოლო ვაზნისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 საბრძოლო ვაზნის შექმნისა და შენახვის ნაწილში.

ვ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ ვ. დ-ს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2005 წლის 22 აგვისტოდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 26 ნოემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 აგვისტოს განაჩენში შევიდა ვ. დ-ს მიმართ სასიკეთო ცვლილება:

შ. დ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2

და მე-3 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში – „...“ სისტემის №... პისტოლეტისა და მისთვის განკუთვნილი ვაზნების ტარებისა და გადაზიდვის ნაწილში; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვის ნაწილში; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ... მმ კალიბრიანი „...“ სისტემის ავტომატური იარაღის ვაზნებისათვის განკუთვნილ მჭიდებში მოთავსებული 60 საბრძოლო ვაზნისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 საბრძოლო ვაზნის შექმნისა და შენახვის ნაწილში.

შ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ შ. დ-ეს განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2005 წლის 22 აგვისტოდან.

ვ. დ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვის ნაწილში; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში – ... მმ კალიბრიანი „...“ სისტემის ავტომატური იარაღის ვაზნებისათვის განკუთვნილ მჭიდებში მოთავსებული 60 საბრძოლო ვაზნისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 2 საბრძოლო ვაზნის შექმნისა და შენახვის ნაწილში.

ვ. დ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ ვ. დ-ეს განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2005 წლის 22 აგვისტოდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 27 ივლი-

სის განჩინებით მსჯავრდებულების – შ. და ვ. დ-სა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.

2015 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართეს შ. და ვ. დ-მა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2005 წლის 22 აგვისტოდან 2008 წლის 2 მაისამდე შ. დ-ე იმყოფებოდა პატიმრობაში არაადამიანური მოპყრობის, ნაშები-სა და ღირსების შემლახველ პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ შ. დ-ე იყო მძიმე ავადმყოფი, დაავადებული დიაბეტის პირველი ფორმით, მას არც დროებითი დაპატიმრების საკანში და არც საგამოძიებო იზოლატორში 22 აგვისტოდან – 4 დღის განმავლობაში არ მიენოდებოდა ინსულინი, რითაც სასიკვდილოდ განირეს იგი. მისსავე საკანში იმყოფებოდა მისი შვილი – ვ. დ-ე, რომელიც დაკბინა მორიელმა. ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მათი ადეკვატური მკურნალობა. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა მათთვის აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის შესახებ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2015 წლის 24 მარტს გამოიტანა განჩინება (გადაწყვეტილება), რომლის თანახმად გათვალისწინებულ იქნა საქართველოს მთავრობის პირობები კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მასში მითითებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაუსაბუთებელი პატიმრობით მათ უდიდესი ზიანი მიადგათ, რაც დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, ამავდროულად მიადგათ ასევე მატერიალური ზიანი.

შ. და ვ. დ-ს დაკავებისას დაირღვა მთელი რიგი საპროცესო მოთხოვნები: არ გააცნეს დაკავების ოქმი, არ ჩააბარეს ასლი, არ აცნობეს დაკავების მიზეზი, არ გააცნეს უფლებები. არც ერთ ოქმზე არ არის მამა-შვილის ხელმოწერა. პროკურატურის მუშაკებმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით განახორციელეს წინასწარი გამოძიების დაწყება. ყველა პროცესუალური დოკუმენტი შეადგინეს ფალსიფიკაციისა და სიყალბის გზით, ამიტომაც არ გააცნეს არც ერთი მათგანი მამა-შვილ დ-ს. რეალურად ბრალდების წარდგენა დაკავებული შ. დ-ის არ მომხდარა. მამა-შვილს კანონიერად გაფორმებული აქვს 17 დასახელების ცეც-

ხლსასროლი იარაღი, ზოგი – შენახვისა და ზოგი – ტარების უფლებით. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრები არ არის გასროლილი იმ იარაღიდან, რომელიც მამა-შვილ დ-ს ჰქონდათ გაფორმებული, რაც დასტურდება გამოძიების მიერ ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით. გამოძიებას დ-გან არ ამოუღია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომლიდანაც ისინი თითქოსდა ისროდნენ. საქმეს არ ერთვის ნივთმტკიცება – ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა. არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება ბრალდება, რომ მამა-შვილმა შეიძინა, გადაზიდა და გადაიტანა უკანონოდ ცეცხლსასროლი იარაღი, რაც განაჩენით არის დადასტურებული. ასევე არც ერთი მოწმე არ ამტკიცებს, რომ მამა-შვილმა ჩაიდინა ხულიგნობა.

2014 წლის 13 მაისის წერილით საქართველოს მთავრობა აღიარებს მამა-შვილის – შ. და ვ. დ-ის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლების დარღვევას.

შესაბამისად საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა, შუამდგომლობის ავტორები ითხოვდნენ წარმოდგენილი შუამდგომლობის დასაშვებად ცნობას და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის განჩინებით შ. და ვ. დ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

შ. და ვ. დ-ბი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის განჩინების გაუქმებას; შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას, მასში მითითებული გარემოებების შესაბამისად და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 აგვისტოს განაჩენის გადასინჯვას; ამასთან, კასატორები საჩივარში აპელირებენ იმაზე, რომ მათი შუამდგომლობა განიხილა სააპელაციო სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის სა-

ფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ: განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუმეგობლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საქმის მასალებით მიხედვით, კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეოთხე სექციის 2015 წლის 24 მარტის განჩინებით (გადანყვეტილებით) საჩივარი №... საქმეზე „მ. და ვ. დ-ები საქართველოს წინააღმდეგ“ ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 13 მაისის წერილით სასა-

მართლოს შესთავაზა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობამ აღნიშნა: „მთავრობას სურს, რომ ცალმხრივი დეკლარაციის გზით დანაშაულები აღიაროს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ბატონი შ. დ-სა და ბატონი ვ. დ-ს მკურნალობის პროცესში დადგენილი კონკრეტული ხარვეზების შედეგად და კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევა, მომჩივნების წინააღმდეგ გამოყენებულ აღმკვეთ ზომად დაკავების გადანყვეტილებაში საკმარისი დასაბუთების არარსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში მთავრობა კისრულობს ვალდებულებას, თითოეულ მომჩივანს გადაუხადოს 6000 ევრო მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ ითხოვა მოცემული საქმის საქმეთა ნუსხიდან ამოღება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მთავრობის ცალმხრივ დეკლარაციაში მითითებული აღიარებების ბუნებიდან გამომდინარე, ასევე შეთავაზებული კომპენსაციის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ საჩივრის განხილვის გაგრძელება აღარ იყო გამართლებული და მიიღო გადანყვეტილება საქმის სიიდან ამოღების თაობაზე, კონვენციის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შ. და ვ. დ-ის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი უნდა გადაისინჯოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის ზემოაღნიშნული განჩინების (გადაწყვეტილების) საფუძველზე, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენი შეიძლება გადაისინჯოს, თუ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განაჩენი, რომლის გადასინჯვასაც მოითხოვენ შ. და ვ. დ-ები, არ ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის განჩინებით დადგენილ შ. და ვ. დ-ების მიმართ კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის მოთხოვნების დარღვევას (შ. და ვ. დ-ების მკურნალობის პროცესში დაშვებული ხარვეზების გამო და მათ წინააღმდეგ გამოყენებულ აღ-

მკვეთ ზომად დაკავების გადაწყვეტილებაში საკმარისი დასაბუთების არარსებობა); ამდენად, ამ მოტივით განაჩენის გადასინჯვა საფუძველს მოკლებულია.

პალატა ასევე მიიჩნევს, რომ კასატორებმა ვერ წარმოადგინეს რაიმე ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მათ უდანაშაულობას. რაც შეეხება კასატორების პოზიციას, რომ საჩივარში მითითებული მტკიცებულებები ფალსიფიცირებულია, რის გამოც ისინი სამართლებრივად ხელმეორედ უნდა შეფასდეს, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მტკიცებულებები შეაფასა სამივე ინსტანციის სასამართლომ და მათი ხელმეორედ შეფასება სცილდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველთა სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინებით (გადაწყვეტილებით) არ დაუდგენია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც თავის მხრივ საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გახდებოდა საკასაციო საჩივარში მითითებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

კასატორები – შ. და ვ. დ-ები საკასაციო საჩივარში მიუთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე: „ფირალი ორუჯოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“, „ლონდა თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ და აღნიშნავენ შემდეგს: მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, სასამართლომ ამორიცხა საქმე „ლონდა თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. გარდა ამისა, აღიარებული იყო ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, გამომხატული მომჩივნის წინააღმდეგ შიდასამართლებრივი პროცედურების უსამართლობასა და მისთვის ფულადი კომპენსაციის შეთავაზებაში. ხსენებულ დეკლარაციაში ასევე აღიარებული იყო მომჩივნის უფლება, მოეთხოვა მის ქვეყანაში შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განახლება. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის ფორმულირების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ხსენებული დებულება მართლაც ითვალისწინებდა პირის პროცესუალურ შესაძლებლობას, რომ სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა მოეთხოვა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შემთხვევაში, როდესაც ევროპული სასამართლომ აღიარა მისი უფლებების დარღვევა.

ყვეტილებისა თუ განჩინების საფუძველზე, რომელშიც დადგენილი იყო კონვენციის რომელიმე დებულების დარღვევა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორების მიერ მითითებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებით: „ფირალი ორუჯოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ“ დადგინდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა სამართლიანობის მოთხოვნას, ხოლო 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სტრასბურგის სასამართლომ სიიდან ამორიცხა საქმე „ლონდა თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, ვინაიდან დეკლარაცია შეიცავდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევის ცალსახა აღიარებას და მისთვის ფულადი კომპენსაციის შეთავაზებას. აგრეთვე, აღიარებს მომჩივნის უფლებას, მოითხოვოს შესაბამისი შიდა სამართალწარმოებით საქმის ხელახალი განხილვა. სტრასბურგის სასამართლომ დასაბუთებისას მხედველობაში მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის ფორმულირება, დაადასტურა, რომ შიდა კანონმდებლობის დებულება ითვალისწინებდა ეროვნული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის პროცედურულ შესაძლებლობას იმ საფუძველით, რომ არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება ან განჩინება, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით. 2014 წლის 13 იანვრის გადანყვეტილებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, დაეყრდნო რა სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქმეზე „თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 2012 წლის 16 ოქტომბერს მიღებულ განჩინებას საქმის სიიდან ამორიცხვის თაობაზე, საქმის ხელახალი განხილვის მიზნით, გადანყვიტა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხელმეორედ დაწყება. აღნიშნული გადანყვეტილება მიღებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის შესაბამისად. მოგვიანებით ქალბატონი თაქთაქიშვილი გაამართლეს წარდგენილ ბრალდებაში, რომლისთვისაც იგი თავდაპირველად დამნაშავედ ცნეს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ შ. და ვ. დების მიმართ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ვერ გადაისინჯება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის განჩინების (გადანყვეტილების) საფუძველზე, ვინა-

იდან არ დადგენილა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რაც მომჩივანს საშუალებას მისცემდა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის შესაბამისად, მოეთხოვა სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვის მიზნით საქმის წარმოების ხელმეორედ დაწყება.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ პოზიციას, რომ მათი შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განიხილა სასამართლოს უკანონო შემადგენლობამ, ვინაიდან არსებობდა საქართველოს სსსკ-ით გათვალისწინებული მოსამართლის აცილების საფუძველი, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი არ ითვალისწინებს აცილების ისეთ კანონისმიერ საფუძველს, რომელიც საქმის გამოძიებისას მონაწილე პროკურორს ან საქმის არსებით განხილვაში მონაწილე მოსამართლეს უზღუდავს უფლებას, მონაწილეობდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში.

საკასაციო პალატა იზიარებს ასევე სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება შ. და ვ. დ-ების შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

შ. და ვ. დ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 ნოემბრის განჩინება შ. და ვ. დ-ების შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადანინჯვის შესახებ შუამდგომლობის
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის
დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№334აგ-15

4 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ს სა-
კასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუ-
თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2015 წლის 13 აგვისტოს განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 მაისის
განაჩენით რ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქარ-
თველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით –
6 წლით, 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 1 წლით
თავისუფლების აღკვეთა; დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და
დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა 7 წლით თავისუფ-
ლების აღკვეთა, რასაც დაემატა ქუთაისის სააპელაციო სასა-
მართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენით სსკ-ის 177-ე
მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის
მოუხდელი ნაწილი – 4 წელი და განაჩენთა ერთობლიობით სა-
ბოლოოდ მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის
მონბა დაეწყო 2011 წლის 18 მარტიდან.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 24 იანვრის
განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის სა-
ქართველოს კანონის საფუძველზე რ. კ-ს ერთი მეოთხედით შე-
უმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა
8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის
განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11
მაისის განაჩენი შეიცვალა: რ. კ-სათვის საქართველოს სსკ-ის

178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ და ამნისტიის აქტის საფუძველზე შემცირებულ სასჯელს – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას დაემატა სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული და ასევე ამნისტიის აქტის საფუძველზე შემცირებული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 4 თვე და 15 დღე, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენით დანიშნული და ამნისტიის საფუძველზე შემცირებული სასჯელიდან – 1 წელი, 6 თვე და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2011 წლის 18 მარტიდან.

2015 წლის 7 აგვისტოს მსჯავრდებულმა რ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ – საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე – მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვისა და ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 აგვისტოს განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული რ. კ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს განჩინების გაუქმებას და საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის – 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთის მოხსნას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 მაისის განაჩენის მიხედვით, რ. კ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გამოიხატა იმაში, რომ რ. კ-მ ჩაიდინა განზრახ მძიმე დანაშაულისათვის

ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის უკანონოდ ტარება.

2013 წლის 11 დეკემბრის კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 8 იანვარს, შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დისპოზიციის ნაწილი იმ მიმართებით, რომ ამ დანაშაულის შემადგენლობას იძლევა ცივი იარაღის ტარებისათვის განმეორებით ადმინისტრაციულსახედელდადებული ან ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახედელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რა დროსაც მნიშვნელობა არა აქვს არც წარსულში ნასამართლობას და არც ასაკს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შემადგენლობა მოგვცა პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენამ არაერთგზის, ან განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

ამდენად, აღნიშნული კანონის თანახმად, ვინაიდან მსჯავრდებული რ. კ-ა არ არის განმეორებით ადმინისტრაციულსახედელდადებული პირი ცივი იარაღის ტარებისათვის და არც ადმინისტრაციულსახედელდადებული – ნარკოტიკების მოხმარებისათვის, ესე იგი მის ქმედებაში არ არის სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, შესაბამისად, წარსულში მისი ნასამართლობა განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ამ ეტაპზე არ გვაძლევს საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა განაჩენის გადასინჯვის გზით ახალ კანონთან მსჯავრდებულის ქმედების შესაბამისობის თაობაზე.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულს შუამდგომლობაში არა აქვს მითითებული რაიმე ახლად გამოვლენილ გარემოებაზე, რაც შეიძლება გამხდარიყო განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ყოველივე აღნიშნულის გამო, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. კ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იყო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენებული და დასაბუთებული, რის გამოც მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

აქედან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 აგვისტოს განჩინება მსჯავრდებულ რ. კ-ს შუამდგომ-

ლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და წარმოება უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 აგვისტოს განჩინება მსჯავრდებულ რ. კ-ს მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადანიშნვის შესახებ შუამდგომლობის
დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების
გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის
დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№4აგ-16

29 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ძ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით გ. ძ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 24, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გაუნახვერდა და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ხ. ს-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თ. ხ-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდი) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა – 1 000 000 ლარი.

სსკ-ის 59-ე მუხლის 11-ლი ნაწილის თანახმად, სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა: სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელიდან – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 24,362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელიდან – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ხ. ს-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელიდან – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თ. ხ-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელიდან – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და გ. ძ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 1 000 000 ლარი.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 11 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ძ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით გ. ძ-ს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის შესაბამისად, გაუნაზღვრდა სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვით; მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა: სსკ-ის 24,362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული და სსკ-ის 59-ე მუხლის 11-ლი ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ხ. ს-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდი) დანიშნული და სსკ-ის 59-ე მუხლის 11-ლი ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თ. ხ-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდი) დანიშნული და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 11-ლი ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა; ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული და სსკ-ის 59-ე მუხლის 11-ლი ნაწილის საფუძველზე მოსახდელად განსაზღვრული სასჯელი 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, გ. ძ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლით, 6 თვითა და 22 დღით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 12 ივნისის №12/06/07 განკარგულებით მსჯავრდებული გ. ძ. შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 8 ოქტომბრის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის განაჩინებით სსკ-ის 182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 24,362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 194-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

6. 2015 წლის 25 ნოემბერს მსჯავრდებულ გ. ძ-ის ინტერესე-

ბის დამცველმა, ადვოკატმა ი. ბ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს სსსკ-ის 310–314-ე მუხლების შესაბამისად, ითხოვა მსჯავრდებულ გ. ძ-ის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 8 თებერვლის განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შემდეგი მოტივებით:

- კასატორის მითითებით, 2006 წლის 2 მაისის პრეზიდენტის განკარგულებით შპს „... ..“ კრედიტის სახით გამოეყო 5 500 000 ევრო, რაც უნდა მოხმარებოდა ყურძნის კონცენტრატის წარმოების ხელშეწყობას კახეთის რეგიონში. ხელისუფლება მოითხოვდა უმოკლეს ვადაში ყურძნის კონცენტრატის დამამზადებელი ხაზის შექმნასა და დამონტაჟებას ...-ში და ამ მიზნით საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ზ. ნ-მა საქართველოში მოიწვია იტალიური ფირმა „... ..“-ს წარმომადგენლები და მათგან მიიღო დასტური, რომ უმოკლეს ვადაში საქართველოში ამოქმედებოდა ყურძნის კონცენტრატის დამამზადებელი ხაზი. 2006 წლის მაის-სექტემბერში შპს „... ..“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და უმოკლეს ვადაში ...-ში დაამონტაჟა და აამოქმედა ყურძნის კონცენტრატის დამამზადებელი ხაზი, რის შემდეგაც დაიწყო მოსახლეობისაგან ყურძნის მიღება და კონცენტრატის დამამზადება. შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ სს „... ..“ და სს „... ..“ ანგარიშებზე 2 057 170 ლარის ჩარიცხვით ამ თანხების მითვისებას კი არ ჰქონდა ადგილი, არამედ ამით დაიფარა ის დავალიანება, რაც წარმოეშვა შპს „... ..“-ს სს „... ..“ და სს „... ..“-ს მიმართ, საიდანაც აღებული სესხებით ანაზღაურდა ...-ში ყურძნის კონცენტრატის ხაზის დასამონტაჟებლად იჯარით აღებული ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოსაწყობად წინასწარ განეული სამშენებლო სამუშაოების ხარჯები. შუამდგომლობის ავტორს ერთ-ერთ ახლად გამოვლენილ გარემოებად მიაჩნია სამშენებლო კომპანია „... ..“ 2013 წლის 11 ივნისის ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ ამ კომპანიამ, შპს „... ..“ 2006 წლის მაისში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ...-ში, ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე, ჩაატარა სამშენებლო სამუშაოები და საერთო ჯამში მათგან მიიღო 1 470 430 ლარი.

- ადვოკატმა ი. ბ-მა ასევე ერთ-ერთ ახლად გამოვლენილ გარემოებად მიუთითა კომპანია „... ..“-ს კომერციული დირექტორის ა. პ-ს პასუხზე, რომელიც 2014 წლის 14 იანვარს D3 ფოსტით მიიღეს და რომლის თანახმადაც, კომპანია „... ..“-ს კომერციული დირექტორი ა. პ. ატყობინებს, რომ: „იტალიის მხარე ადასტურებს, რომ „ქართული პროდუქტის“ მიერ მათთვის გა-

დარიცხული 4 000 000 ევრო მთლიანად მოხმარდა 2006 წლის 3 მაისის №.../.../... კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას და ამ პროექტის რეალიზაციაზე გახარჯული თანხა 4 000 000 ევრო მთლიანადაა ასახული საქართველოს საბაჟოსათვის წარდგენილ ინვოისებში“. რაც შეეხება იმას, თუ რატომ განსხვავდება იტალიის საბაჟოდან ამოღებულ ინვოისებში დაფიქსირებული თანხა საქართველოს საბაჟოდან ამოღებულ ინვოისებში მითითებული თანხისგან, განმარტავენ შემდეგ: „იტალიიდან გამოგზავნილი მონყობილობის ღირებულება მთლიანად შეესაბამება სინამდვილეს. იტალიის საბაჟოზე განცხადებულ ღირებულებასა და კონტრაქტის მთლიან ღირებულებას შორის სხვაობა წარმოიქმნა იმიტომ, რომ კომპანიის ინტერესებისათვის ჩვენ განვაცხადეთ მხოლოდ იმ საქონლის ღირებულება, რომელიც წარმოებული და ექსპორტირებულ იქნა იტალიიდან, რათა დაუმსახურებლად არ გადაგვეხადა გადასახადი ისეთი მომსახურებისათვის, რომელთა მიწოდება და შეკვეთა ხორციელდებოდა საზღვარგარეთიდან (და რომლებიც არ ექვემდებარებოდა დაბეგვრას იტალიაში). თუ „...- ...“ მიაწოდებდა იტალიის საბაჟოს 4 000 000 ევროს ოდენობის საექსპორტო ანგარიშ-ფაქტურებს, ცრუ მონაცემების დეკლარირების გარდა, ის იძულებული გახდებოდა, უსამართლოდ გადაეხადა გადასახადები, რომელთა გადახდა, გარდა ამისა, მოუწევდა აგრეთვე მომსახურების საზღვარგარეთელ მიმწოდებლებსაც. მეორე მხრივ, საქონელი უნდა შემოსულიყო საქართველოს საბაჟოზე ...-ს 4 000 000 ევროს თანხის ოდენობის ინვოისით, რაზეც იზრუნა ჩვენმა აგენტმა. ეს განხორციელდა ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, რომელმაც არ იცოდა ამ აქტის შესახებ, ვინაიდან ეს საკითხი ეხებოდა მხოლოდ იტალიაში დაბეგვრას და არ ეხებოდა საქართველოს“. შუამდგომლობის ავტორს მიანიჩია, რომ გ. ძ-ის ბრალდება ამ ეპიზოდში სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ა. ი-ს 2010 წლის აგვისტოში მიცემული ჩვენებებით, რომლებიც სასამართლოს არ უნდა მიეღო მტკიცებულებად, რადგან იგი დაინტერესებული პირია. ა. ი. აშანტაყუბდა გ. ძ-ს და სთხოვდა 6 000 000 აშშ დოლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა განცხადების შეტანით და სისხლის სამართლის საქმის აღძვრით, რასაც ადასტურებს გ. ძ-ათვის 2009 წლის 6 ივლისს გაგზავნილი მისი წერილი, რაც ასევე არ იყო ცნობილი სასამართლოსათვის განაჩენის დადგენის დროს და რადგან მან შანტაჟით ვერ მიაღწია საწადელს, დაიწყო თანამშრომლობა საქართველოს საგამოძიებო ორგანოებთან.

• შუამდგომლობაში ადვოკატმა ი. ბ-მა ასევე ახლად გამოვ-

ლენილ გარემოებად მიუთითა, რომ ყურძნის კონცენტრატის წარმოების ხელშეწყობისათვის შპს „...- ...“ გახარჯა 6 203 691 ევრო, ანუ იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე პრეზიდენტის განკარგულებით იყო გათვალისწინებული, რაც დასტურდება ე. ხ-ის 2014 წლის 23 აპრილის გამოკითხვის ოქმითა და საქმეში არსებული დოკუმენტაციით.

- ხ. ს-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდთან დაკავშირებით შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა, რომ ხ. ს-ეს აღიარებითი ჩვენებები მიცემული აქვს მძიმე ფსიქოლოგიური ზეგავლენის შედეგად, რის გამოც მისი ჩვენება არ უნდა ყოფილიყო გაზიარებული.

- თ. ხ-ის აუდიტორული დასკვნის ეპიზოდთან დაკავშირებით კი ადვოკატმა განაცხადა, რომ თ. ხ. დაკითხულია წინასწარი გამოძიების დროს, თუმცა, ბრალდების მხარემ იგი სასამართლოში დასაკითხ მოწმეთა სიაში შეგნებულად არ შეიყვანა, ვინაიდან სასამართლოზე მისი დაკითხვით ამკარა გახდებოდა ბრალდების აბსურდულობა, ხოლო 2014 წლის 23 აპრილს, მოწმის სახით გამოკითხვისას, თ. ხ-მა დაადასტურა, რომ გ. ძ-თან არავითარი შეხვედრა არ ჰქონია და აუდიტი ჩაატარა ფინანსთა სამინისტროს დავალებით და ურთიერთობაც მხოლოდ ამ სამინისტროს თანამშრომლებთან ჰქონდა.

- შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა ასევე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაგზავნილ დასკვნაზე, რომელშიც კომიტეტმა აღნიშნა, რომ „შესწავლილი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა გ. ძ-ის მიმართ სამართალწარმოების განხორციელებისას პოლიტიკური მოტივის არსებობა და „სამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნების სავარუდო დარღვევები“.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. მსჯავრდებულ გ. ძ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ზ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 8 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას შუამდგომლობაში მითითებული მოტივებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააა-

ნალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონაშობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელ-

მაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტებს, რომ სამშენებლო კომპანია „...-“ 2013 წლის 11 ივნისის ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ ამ კომპანიამ შპს „...- ...-საგან“ 2006 წლის მაისში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ...-ში, ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე, ჩაატარა სამშენებლო სამუშაოები და საერთო ჯამში მათგან მიიღო 1 470 430 ლარი – ვერ ჩაითვლება კანონით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად, ვინაიდან თავად შუამდგომლობის ავტორი მიუთითებს, რომ აღნიშნულის თაობაზე შპს „...- ...-ის“ გენერალური დირექტორები – რ. თ. და ა. ი. თავიანთ ჩვენებებში მიუთითებდნენ.

4. პალატა ეთანხმება ასევე მსჯელობას იმის შესახებ, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებად ვერ მიიჩნევა ა. ი-ს მიერ გ. ძ-თვის გაგზავნილი წერილი, ვინაიდან, როგორც შუამდგომლობის ავტორი უთითებს, ა. ი-მ გ. ძ-ს წერილი გაუგზავნა 2009 წლის 6 ივლისს, ასევე ა. ი-ს, როგორც ადვოკატი ი. ბ. აცხადებს, ურთიერთსაინააღმდეგო ჩვენებები მიცემული აქვს განაჩენის დადგენამდე; გარდა ამისა, ა. ი-ს მიერ ურთიერთსაინააღმდეგო ჩვენებების მიცემა დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რაც წარმოდგენილი არაა.

5. ადვოკატ ი. ბ-ის მიერ შუამდგომლობაში მითითებული გარემოება, რომ ყურძნის კონცენტრატის წარმოების ხელშეწყობისათვის შპს „...- ...-“ გახარჯა 6 203 691 ევრო, ანუ იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე პრეზიდენტის განკარგულებით იყო გათვალისწინებული, მისივე მითითებით, დადასტურებულია საქმეში არსებული საბუღალტრო დოკუმენტაციით, შესაბამისად, ცხადია, აღნიშნული ასევე ვერ მიიჩნევა ახლად გამოვლენილ გარემოებად.

6. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას ხ. ს-თან დაკავშირებითაც და მიუთითებს, რომ ფაქტი ხ. ს-ის მიერ ჩვენებების მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიცემის შესახებ უნდა დასტურდებოდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

7. რაც შეეხება შუამდგომლობაში მითითებულ იმ გარემოებას, რომ თ. ხ. ბრალდების მხარემ სასამართლოზე დასაკითხ მონმეთა სიაში შეგნებულად არ შეიყვანა, საკასაციო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და მიუთითებს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს განაჩენის გადა-

სინჯვის საფუძველს, ვინაიდან ხსენებულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა საქმის არსებით განხილვამდე და მათ შესახებ ცნობილი იყო სასამართლოსა და მხარეებისთვის.

8. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. ბ-ის მიერ შუამდგომლობასა და საჩივარში მითითებულია ისეთი გარემოებების შესახებაც, რაც აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ:

- კომპანია „...- ...“-ს კომერციული დირექტორის – ა. პ-ის წერილი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, უშუალო შემხებლობაშია გ. ძ-ის ბრალეულობასთან; რაც შეეხება სააპელაციო პალატის არგუმენტაციას აღნიშნული მტკიცებულების ახლად გამოვლენილად არ მიჩნევის თობაზე, იმ მოტივით, თუ რატომ, ვერ მოიპოვა იგი დაცვის მხარემ საქმის არსებით განხილვამდე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში კასატორი უთითებს იმ ობიექტურ გარემოებებზე, რის გამოც ვერ მოხერხდა მისი მოპოვება, კერძოდ: გ. ძ-ის მიმართ წინასწარი გამოძიება და სასამართლო პროცესები ჩატარდა მის დაუსწრებლად, ვინაიდან იგი იყო ძებნილი, რის გამოც დაცვის მხარეს არ ჰქონდა მასთან კონტაქტი. დალუქული იყო მისი კომპანიები და დოკუმენტაციები, რაც ობიექტურად ხელისშემშლელი იყო დაცვის მხარისათვის მტკიცებულებათა დროულად მოპოვებაში.

9. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ძ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გ. ძ-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იყო კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დაყენებული და დასაბუთებული, რის გამოც მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. ძ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და წარმოება უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. ძ-ის მიმართ.
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირების საფუძველით, განაჩინოს გადასინჯვის დაუშვებლობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№8აგ-16

28 ივნისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ზ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის განჩინებით ჯ. ზ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 41–42-ე მუხლების საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი. საქართველოს სსკ-ის 63–64-ე მუხლების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ძირითადი სასჯელი ჩაეთვალი პირობითი და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 8 წელი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 მარტის გან-

ჩინებით პირობით მსჯავრდებულ ჯ. ზ-ეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის განაჩენით ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული 7 წელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით – 1 წლითა და 9 თვით და დარჩა 5 წელი და 3 თვე. მასვე პირობითად ჩათვლილი 7 წელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით – 1 წლითა და 9 თვით და დარჩა 5 წელი და 3 თვე. ასევე, გამოსაცდელ ვადად დადგენილი – 8 წელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით – 2 წლით და დარჩა 6 წელი. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

2013 წლის 10 დეკემბერს მსჯავრდებულმა ჯ. ზ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. კ-ემ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა და გამოსაცდელი ვადის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ჯ. ზ-ესა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. კ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულმა ჯ. ზ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. კ-ემ საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსათვის იმის მითითება, რომ მან განსახილველად დაუშვას ზემოაღნიშნული შუამდგომლობა იმავე მოტივებით, რაზეც მათ მითითებული ჰქონდათ შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ: განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დად-

გენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამომძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორების მიერ მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლება საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად, რადგან, მართალია, სისხლის სამართლის კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც შემცირდა გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა და ამჟამად მოქმედი კანონ-

მდებლობა ითვალისწინებს 1-დან 6 წლამდე გამოსაცდელ ვა-
დას (სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის
შემთხვევაში), მაგრამ აღნიშნულ ცვლილებას ვერ მიეცემა
უკუქცევითი ძალა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახ-
მად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების
დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.
სისხლის სამართლის კანონს, რომელიც ანებს ქმედების დანა-
შაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,
თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს
ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სას-
ჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სან-
ქციის ფარგლებში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მსჯავრდებულ ჯ. ზ-
ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის
„ა“, „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნული პირობითი მსჯავრი არის არა
სასჯელი, არამედ სასჯელის მოხდის კანონით გათვალისწინე-
ბული სპეციალური რეჟიმი, რომელშიც ცვლილების შეტანა ვერ
გახდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გა-
დასინჯვის საფუძველი.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამარ-
თლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და აღ-
ნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სა-
მართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა
დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-
ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ზ-სა და მისი ინტერესების დამცველის,
ადვოკატ რ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება მსჯავ-
რდებულ ჯ. ზე-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ
რ. კ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს
უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის
დასაშვებობის ეტაპზე, სასამართლო არარის
უფლებამოსილი შეაფასოს მტკიცებულება,
რომელსაც ეფუძნება გადასასინჯი გადაწყვეტილება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№396აგ-15

15 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. გ-ს სა-
კასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 მაისის
განაჩენით გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სის-
ხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მი-
ესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის
ათვლა დაეწყო 2014 წლის 13 მაისიდან. მასვე 2 წლით ჩამოერ-
თვა ა/მანქანის მართვის უფლება. გ. გ-ს სასჯელის მოხდის ვა-
დაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 12 დე-
კემბრიდან იმავე წლის 13 დეკემბრის ჩათვლით.

2. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამარ-
თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივ-
ლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 იანვრის განჩინებით და-
უშვებლად იქნა ცნობილი მსჯავრდებულ გ. გ-ს საკასაციო სა-
ჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის განაჩენზე.

4. 2015 წლის 16 სექტემბერს მსჯავრდებულმა გ. გ-მა ახლად
გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა

პალატას და მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ბ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინებით მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად.

6. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაშვება იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც უთითებდა სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამონმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ – განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამოძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფ-

ლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებული გ. გ-ი მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას. კასატორის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული გარემოება წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.

4. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობის დასაშვებობის შემონმების ეტაპზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, შეაფასა საქმეში არსებული

მტკიცებულებები მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით და მიიჩნია, რომ გადასასინჯი განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია.

5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე არ იყო უფლებამოსილი, შეეფასებინა მტკიცებულებები, რომლებსაც ეფუძნება გადასასინჯი განაჩენი. გადანყვეტილება იმის თაობაზე, ირიბი ჩვენებების გაუზიარებლობის შემთხვევაში საკმარისია თუ არა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს მხოლოდ შუამდგომლობის დაშვებისა და კანონით დადგენილი წესით განხილვის შედეგად.

6. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას, რომ განჩინების მიმღები სასამართლო შემადგენლობის ერთ-ერთ მოსამართლეს თვითაცილება უნდა განეცხადებინა, ვინაიდან მოცემულ საქმეზე პირველი ინსტაციით განაჩენი გამოიტანა მისმა მეუღლემ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებულ თვითაცილების საფუძველს, რის გამოც იგი ვერ იქნება გაზიარებული.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ იყო დასაბუთებული, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე და შუამდგომლობა დაშვებულ უნდა იქნეს განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 სექტემბრის განჩინება მსჯავრდებულ გ. გ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპალი

ზოგადი ნაწილი

სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები

სისხლის სამართლის კანონის უკუძალა 3

სასჯელის დანიშვნა

სასჯელის შემსუბუქება 21

სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს 27

პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი „მარიხუანა“-ს
შექმენა-შენახვისათვის დანიშნული სასჯელის
მოხდისაგან გათავისუფლება 32

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების
(„მარიხუანა“) უკანონოდ მოხმარებისათვის
სასჯელის განსაზღვრის წესის თაობაზე 39

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების
უკანონოდ მოხმარებისათვის ნასამართლელი
პირის მიმართ სასჯელის განსაზღვრის წესის თაობაზე 44

კერძო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი
მოგერიების ფარგლების გადაცილებით 49

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქურდობის შემადგენლობის ობიექტური მხარის
არსებობისათვის დანაშაულის ჩადენის დროის
დადგენის მნიშვნელობის შესახებ 60

ქურდობის წინასწარი შეთანხმებით,
ჯგუფურად მსჯავრდების ნაწილში
გამამართლებელი განაჩენის დადგენა 66

დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში

საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლით
(გადასახადისათვის თავის არიდება) გათვალისწინებული
დანაშაულის ამსრულებლის განმარტება 73

დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

საბრძოლო მასალის უკანონო შექმენა, შენახვა, ტარება 80

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

„პოლიციელზე თავდასხმა“-დან ქმედების გადაკვალიფიცირება „პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით“ ქმედებაზე 84

სისხლის სამართლის პროცესი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების სფერო

კანონის ანალოგიის გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 95; 101; 106

მტკიცებულება

მხარეთა მიერ მტკიცებულებების ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესი 111

საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა 120

საკასაციო განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა 141

გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა 155

განაჩენის გაუქმება და საქმის გადაგზავნა იმავე სასამართლოსთვის ახალი სასამართლო განხილვისათვის 171

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა 175

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

სააპელაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარს იხილავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ განაჩენზე და სხვა შემთხვევებზე 182

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინების უცვლელად დატოვება 186

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაუშვებლად
ცნობის თაობაზე განჩინების გაუქმება და
საქმის დაბრუნება სასამართლოსთვის დასაშვებობის
საკითხის გადასაწყვეტად 196; 199

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო,
პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის შემცირების
საფუძვლით, განაჩენის გადასინჯვის დაუშვებლობა 208

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დასაშვებობის ეტაპზე,
სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მტკიცებულება,
რომელსაც ეფუძნება გადასასინჯი გადაწყვეტილება 212